საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი
№124 (12 194)
29 მაისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ევროსეზონი 2007/08

# თითქმის ყველა გარკვეულია

## ვის შეიძლება ვეთამაშოთ?





ევროპული სეზონი თითქმის დასრულდა და შესაბამისად, თითქმის მთლიანად დაკომპლექტდა მომავალი წლის ევროტურნირებში მონაწილეთა სია. ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით, შეგიძლიათ გაიგოთ, თუ რა ეტაპიდან ჩაებმებიან ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო გუნდები ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშებებში. ჩვენ კი, ქართული კლუბების ბედი უფრო გვაწუხებს და მოდით გავიგოთ, თუ რა საწყისი სასტარტო პოზიციები აქვთ საქართველოდან ევროთასებზე გასულ კლუბებს - "ოლიმპს", "ამერსა" და თბილისის "დინამოს.

ქვეყნის ჩემპიონი რუსთავის "ოლიმპი" ჩემპიონთა ლიგაზე პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება. აქ, მის გარდა, კიდევ 27 გუნდია და ისინი ორ ნაწილად არიან დაყოფილნი - განთესილებად და განუთესავებად. "ოლიმპი" განთესილთა სიაში მოხვდა და პირველ ეტაპზე მისი მეტოქე 14 განუთესავიდან ერთ-ერთი იქნება. თუ რუსთაველები შემდეგ წრეში გავლენ, II საკვალიფიკაციოში ისინი უკვე განუთესავთა შორის მოხდებიან. აქ განთესილ გუნდებს შორის, უკვე სერიოზული მეტოქეები იქნებიან - "რეინჯერსი", "ბეშიქთაში", "გენკი", "ზალცბურგი" და სხვები.

**I საკვალიფიკაციო ეტაპი (28 გუნდი)**

| განთესილები | კოეფ | განუთესავები | კოეფ |
|---|---|---|---|
| დინამო (ხორვატია) | 17.533 | ბატე (ბელარუსი) | 1.540 |
| აპოელ (კვიპროსი) | 6.492 | ტირანა (ალბანეთი) | 1.265 |
| დომზალე (სლოვენია) | 5.272 | ლევადია (ესტონეთი) | 1.210 |
| ელფსბორგი (შვედეთი) | 4.478 | პიუნიკი (სომხეთი) | 1.155 |
| სარაევო (ბოსნია) | 4.190 | ხაზარი (აზერბაიჯანი) | 1.045 |
| ვენტსპილსი (ლატვია) | 3.860 | ასტანა (ყაზახეთი) | 0.770 |
| ჟილინა (სლოვაკეთი) | 3.575 | ლინფილდი (ჩრ. ირლანდია) | 0.715 |
| დერი (ირლანდია) | 3.145 | ნიუ საინტსი (უელსი) | 0.660 |
| ჰაფნარი (ისლანდია) | 2.650 | ჰბ ტორსჰავნი (ფარერები) | 0.550 |
| კაუნასი (ლიტვა) | 2.420 | დუდელანჟი (ლუქსემბურგი) | 0.550 |
| ტამპერე (ფინეთი) | 2.420 | მარსაქსლოკი (მალტა) | 0.550 |
| შერიფი (მოლდოვა) | 2.365 | რეინჯერსი (ანდორა) | 0.000 |
| ოლიმპი (საქართველო) | 2.035 | მურატა (სან მარინო) | 0.000 |
| პობედა (მაკედონია) | 1.925 | ზეტა (ჩერნოგორია) | 0.000 |

**II საკვალიფიკაციო ეტაპი (28 გუნდი)**

| განთესილები | კოეფ | განუთესავები | კოეფ |
|---|---|---|---|
| სტიაუა (რუმინეთი) | 55.255 | ბეითარი (ისრაელი) | 6.338 |
| რეინჯერსი (შოტლანდია) | 47.064 | ზაგლებე (პოლონეთი) | 5.609 |
| ბეშიქთაში (თურქეთი) | 43.791 | დომზალე (სლოვენია)* | 5.272 |
| უკრაინა-2 | 38.726 | ელსფბორგი (შვედეთი)* | 4.478 |
| ლევსკი (ბულგარეთი) | 38.112 | სარაევო (ბოსნია)* | 4.190 |
| რუსენბორგი (ნორვეგია) | 31.509 | ვენტსპილსი (ლატვია)* | 3.860 |
| ცრ. ზვეზდა (სერბეთი) | 19.256 | ჟილინა (სლოვაკეთი)* | 3.575 |
| კოპენჰაგენი (დანია) | 19.129 | დერი (ირლანდია)* | 3.145 |
| დინამო (ხორვატია)* | 17.533 | ჰაფნარი (ისლანდია)* | 2.650 |
| გენკი (ბელგია) | 15.594 | კაუნასი (ლიტვა)* | 2.420 |
| ლიბერეცი (ჩეხეთი) | 13.851 | ტამპერე (ფინეთი)* | 2.420 |
| დებრეცენი (უნგრეთი) | 11.675 | შერიფი (მოლდოვა)* | 2.365 |
| ზალცბურგი (ავსტრია) | 9.104 | ოლიმპი (საქართველო)* | 2.035 |
| აპოელ (კვიპროსი)* | 6.492 | პობედა (მაკედონია)* | 1.925 |

** - პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვების შემთხვევაში*

უეფას თასზე ორი თბილისური კლუბი - "დინამო" და "ამერი" ითამაშებენ. პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, ეს გუნდები ცენტრალური ალმოსავლეთის რეგიონში მოხვდნენ, სადაც სულ 22 კლუბია შეკრებილი. "დინამო" და "ამერი" სხვადასხვა ბანაკში არიან. პირველი მათგანი განთესილია, საქართველოს თასის მფლობელი კი განუთესავი. მეორე საკვალიფიკაციოში გასვლის შემთხვევაში, თბილისური კლუბები ისევ ცენტრალური ალმოსავლეთის რეგიონში მოხვდებიან, მაგრამ "დინამო" ამჯერად განუთესავთა შორის იქნება. აქ ქართველთა სავარაუდო მეტოქეებში არიან: "ბაზელი", "ზენიტი", "აუსტრია", "სიონი", "იაბლონეცი", "გროცლინი"...

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

**ცენტრალური ალმოსავლეთის რეგიონი (22 გუნდი)**

| განთესილები | კოეფ | განუთესავები | კოეფ |
|---|---|---|---|
| არტმედია (სლოვაკეთი) | 13.575 | ნისტრუ (მოლდოვა) | 2.365 |
| გროცლინი (პოლონეთი) | 11.609 | ამერი (საქართველო) | 2.035 |
| შვეიცარია | 7.869 | ვადუცი (ლიხტენშტაინი) | 1.980 |
| რიდი (ავსტრია) | 6.104 | დინამო ბრ (ბელარუსი) | 1.540 |
| მატერსბურგი (ავსტრია) | 6.104 | დინამო მნ (ბელარუსი) | 1.540 |
| მტკ (უნგრეთი) | 5.675 | ბანანცი (სომხეთი) | 1.155 |
| ბელჩატოვი (პოლონეთი) | 5.609 | მიკა (სომხეთი) | 1.155 |
| ჰონვედი (უნგრეთი) | 4.675 | მკტ-არაზი (აზერბაიჯანი) | 1.045 |
| დინამო (საქართველო) | 4.035 | ნეფთჩი (აზერბაიჯანი) | 1.045 |
| მორავცე (სლოვაკეთი) | 3.575 | ალმათი (ყაზახეთი) | 0.770 |
| ზიმბრუ (მოლდოვა) | 3.365 | აქტობე (ყაზახეთი) | 0.770 |

სრულად იხილეთ გვ. 6



# რაო?



ანჩელოტი:

# კალაძეს შეუძლია, წავიდეს

5




# მომავლის ფორვარდი

ახალი სახე საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. ვინ არის ლევან მჭედლიძე?

2

# ბოლო წუთის სინდრომი

ორი ფრე შოტლანდიაში. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ელიტრაუნდი დაასრულა

2

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



U-17. საქართველო-მაკედონია. ლევან მჭედლიძე (5)

ინტერვიუ ლევან მჭედლიძესთან

# თამაშით დავამტკიცებ...

თბილისის "დინამოს" ყოფილ მეკარის კარლო მჭედლიძის ვაჟებმა გიორგიმ და ლევანმა ფეხბურთელის გზა აირჩიეს. ამჟამად ორივეს სახელი "ემპოლის" უკავშირდება. თუმცა უფროსი გიორგი დროებით სერია C-ს ერთ-ერთი ლიგის კლუბშია განათხოვრებული. უმცროსი ლევანი ახლახან გახდა 18 წლის და შესაბამისად, "ემპოლიმ" მასთან პროფესიული კონტრაქტიც ახლახან გააფორმა. ასე რომ, ლევან მჭედლიძეს მომავალი სეზონიდან უკვე შეეძლება "ემპოლის" რიგებში ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობა. მანამდე კი ის მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში თამაშობდა. "ემპოლის" თავკაცობა მასში დიდ პოტენციალს ხედავს და მაღალ დონეზე სათამაშოდ ამზადებს.

ლევანმა შარშან, შემოდგომაზე 17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოგვაწონა თავი და უმალ 19-წლამდელებში უხმეს, ბოლო აკორდი კი ეროვნულ ნაკრებში გამოძახება იყო. ლევან მჭედლიძეს გუშინ შოტლანდიაში დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

- კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ გუნდში გამოძახების შესახებ შაბათს მამცნო. მითხრა, რომ მოსწონს ჩემი თამაში, მენდობა და სურს, ეროვნული ნაკრების დონეზე მომსინჯოს. ასეთი ნდობისთვის დიდი მადლობა ვუთხარი.

**- რამდენად მზად ხარ ეროვნული ნაკრებში სათამაშოდ?**

- საკუთარ თავზე საუბარი არ მჩვევია, მაგრამ აშკარად ვგრძნობ, რომ კარგ ფორმაში ვარ. ისიც კარგად ვიცი, რომ ეროვნული ნაკრები სხვა დონეს მოითხოვს, მაგრამ, მჯერა, ეს შემიძლია. ტოპმიოლერის დონის სპეციალისტები არ ცდებიან. მწვრთნელი რომ არ შემცდარა, ამას თამაშით დავამტკიცებ.

**- მაღალია, ბურთს კარგად ფლობს, გოლის ალღოც აქვს და მოხდენილი დარტყმაც... კლაუს ტოპმიოლერმა ამ სიტყვებით დაგახასიათა...**

- (იცინის) ეს ნამდვილად არ ვიცოდი. რადგან კლაუს ტოპმიოლერმა ამ სიტყვებით დამახასიათა, სხვა რა მეთქმის, მოხარული და ბედნიერი ვარ.

**- ტოპმიოლერმა ისიც გვითხრა, არც იმას გამოვრიცხავ, ლევან მჭედლიძეს სრული ორი ტაიმი რომ მივცეო. საამისოდ მზად ხარ?**

- დიახ, ვფიქრობ, შევძლებ და იმედი მაქვს, თამაშიც გამომივა.

**- შესაძლოა ფიზიკურად მზად იყო, მაგრამ კარგი დებიუტისთვის ფსიქოლოგიური მზადყოფნაც საჭიროა...**

- ფსიქოლოგიურადაც მზად ვარ. ასე რომ, პრობლემა არ უნდა მქონდეს.

**- გასულ სეზონში "ემპოლის" რიგებში მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში გიწევდა თამაში. მაინც რამდენ შეხვედრაში ითამაშე?**

- ათიოდე მატჩში ვითამაშე და 8 გოლი გავიტანე. 18 წლის უკვე შევსრულდი და იტალიიდან გამომგზავრების წინ "ემპოლისთან" პროფესიული კონტრაქტიც გავაფორმე. ასე რომ, ახალი სეზონიდან უკვე მთავარ გუნდშიც შემეძლება თამაში. ისე კი აქამდეც "ემპოლის" ძირითად გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი.

ბოლოს შოტლანდიაში გამგზავრებამდე, ხუთშაბათს ვითამაშე "ემპოლიში", სერია C2-ში მოასპარეზე მეტოქე 8:0 დავამარცხეთ. მე ჰეთ თრიკი გავაკეთე.

**- შოთა არველაძემ საბოლოოდ გადაწყვიტა ნაკრებიდან წასვლა. კლაუს ტოპმიოლერი მის შემცვლელს ეძებს და სამომავლოდ ფსონს შენზეც აკეთებს...**

- არველაძე უმაღლესი კლასის ფორვარდია და მე ნამდვილად ვერ შევედრები. თუ ტოპმიოლერი ჩემში ამხელა პოტენციალს ხედავს და "ახალ არველაძედ" უნდა გამზარდოს, ბუნებრივია თავს არ დავზოგავ.

**- დაბოლოს, 19-წლამდელთა ელიტრაუნდში ასპარეზობაზე რას იტყოდი?**

- პორტუგალიასთან მატჩში იღბალი ჩვენს მხარეს რომ ყოფილიყო, მოვიგებდით. შოტლანდიასთან კი მსაჯების სუბიექტურობამ წაგვაგებინა. მეორე მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტი იყო. სამწუხაროდ ფინალურ ეტაპზე ვერ გავედით, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ჰაინც ტოპმიოლერმა მებრძოლი გუნდი ჩამოაყალიბა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრები

# ჯვაროსნები ფრანკფურტში შეიკრიბნენ

გუშინ, გამთენიისას, ეროვნული ნაკრები თბილისიდან გერმანიას გაემგზავრა - გუნდმა 2 და 6 ივნისს, შესაბამისად, ლიტვასა და საფრანგეთთან მატჩებისთვის, მოსამზადებელი შეკრება ფრანკფურტში დაიწყო.

ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** თქმით, თბილისიდან შემდეგი ფეხბურთელბი გაემგზავრნენ: **გრიგოლ ჭანტურია, გიორგი შაშიაშვილი, გიორგი ონიანი, მათე ლვინიანიძე, ზურაბ ხიზანიშვილი, დავით კვირკველია, ოთარ მარცვალაძე, ლადო ბურდული, დავით მუჯირი, ლაშა სალუქვაძე, ნუკრი რევიშვილი.** ამ მოთამაშეებს ნაკრებში გამოძახებული ლეგიონერები დღეს შეუერთდებიან. შუაევროპული დროით 18 საათზე კი ჩვენი ეროვნული გუნდი ფრანკფურტში პირველი ვარჯიშს გამართავს.

**დავით ცაბაძე**

19-წლამდელთა ნაკრები. ელიტრაუნდი

# საქართველო ბოლოა, პორტუგალია გავიდა

| საქართველო-თურქეთი | 1:1 |
| --- | --- |

1:0 წინამძღვრიშვილი (80. ყენიას პასით), 1:1 ქელეში (90).

საქართველო: მაკარიძე, თომაშვილი, სანაია, ნ. კვასხვაძე (65. თარგამაძე), ბჟალავა, ნიკოლაიშვილი, ბარაბაძე, ბენაშვილი, ყენია, გოცირიძე, წინამძღვრიშვილი,

სათადარიგოები: თევდორაძე, გვაძაბია, ფანცხავა.

გაფრთხილება: გოცირიძე (25).

გაძევება: გოცირიძე (40).

გუშინ, შოტლანდიაში, 19-წლამდელთა ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდი დასრულდა. პორტუგალიასთან უგოლო თამაშისა და შოტლანდიასთან მარცხის (1:2) შემდეგ, **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდს თურქეთთან მოუწია დაპირისპირება. მართალია, მეორე ტაიმში ჩვენმა გუნდმა გახსნა ანგარიში, მაგრამ მოგება და კარის გაჯახუნება ვერ შევძელით. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს 50 წუთის განმავლობაში კაცნაკლულად მოუწიათ თამაში, ანგარიშის გათანაბრების შემდეგ, მეორე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ...

როგორც ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ** შოტლანდიაში დაკავშირებისას გვითხრა, თამაშმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. პირველი საგოლე მომენტი ქართველებმა შექმნეს, მაგრამ **წინამძღვრიშვილის** თავური ხარიხამ აისხლიტა. 15 წუთში კი უკვე **მაკარიძემ** გამოავლინა ოსტატობა და რთული ბურთი აილო, სულ მატჩის განმავლობაში ჩვენს მეკარეს 3-ჯერ მოუხდა, "მკვდარი" ბურთის აღება. ჰაინც ტოპმიოლერი ორივე მეკარის თამაშით უაღრესად კმაყოფილი დარჩა. გოლკიპერთა გარდა, გამორჩეული იყვნენ **ყენია, მჭედლიძე, ბჟალავა,** წინამძღვრიშვილი...

ბოკერიას თქმითვე, ელიტრაუნდზე დამსწრე სპეციალისტებმა აღნიშნეს ჩვენი ნაკრების გამართული, გუნდური თამაში და... უიღბლობა. შოტლანდიელთა თავკაცმა **არჩი ნოქსმა** კი კოლეგასთან საუბარში აღიარა, არბიტრი რომ არ დაგვეხმარებოდა, მოგება ძალზე გაგვიჭირდებოდაო.

რაც შეეხება გოლებს, მე-80 წუთზე წინამძღვრიშვილმა ყენიასთან კედელი გაითამაშა და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. ათიოდე წუთში თურქებმა წონასწორობა აღადგინეს. არბიტრის მიერ დამატებულ 3 წუთში კაცნაკლულ ქართველებს ორი საგოლე მომენტი ჰქონდათ. ჯერ იყო და წინამძღვრიშვილმა მცველს ბურთი თავზე გადაავლო, უკეთეს პოზიციაში მყოფ **ბარაბაძეს** დაუგორა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ოდნავ ააცილა. მერე კი 35 მეტრიდან **ბენაშვილის** ძლიერად დარტყმული ჯარიმა, მეკარემ ვერ შეიმაგრა. ყველას **თომაშვილმა** დაასწრო, მაგრამ და 1 მეტრიდან ბურთი კარს გადააცილა.

ამ მატჩის პარალელურად პორტუგალიამ შოტლანდია 4:2 დაამარცხა, რითაც ჯგუფში პირველი ადგილი და ფინალურ ეტაპზე გამსვლელი ერთადერთი საგზური მოიპოვა. მეორეზე თურქეთი გავიდა, მესამეზე შოტლანდია, საქართველო კი მეოთხეზე.

**დავით ცაბაძე**

21-წლამდელთა ნაკრები. მეტოქე

# ესპანეთი ცნობილი სახეებით მოდის

21-წლამდელთა ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები 5 ივნისს იწყებს. სასტარტო მატჩი ჯგუფის ფავორიტ ესპანეთთან გვაქვს. რაც შეეხება ჯგუფის სხვა მეტოქეებს, ესენი არიან პოლონეთი, რუსეთი და ყაზახეთი.

ცოტა ხნის წინათ ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა გაგაცანით. თუმცა მას მერე **ინიაკი საესის** ჩამონათვალში გარკვეული ცვლილებები შევიდა. ესპანელებმა საბოლოო სია გუშინ გამოაქვეყნეს:

მეკარეები: **რობერტო ხიმენესი (ატლეტიკო), ანტონიო ადანი (რეალი).**

მცველები: **მიგელ ტორესი (რეალი), ხერარდ პიკე (სარაგოსა), მარკ ტორეხონი (ესპანიოლი), სესარ არსო (უელვა), იგნასიო მონრეალი (ოსასუნა), ხოსე ენრიკე (ვილიარეალი).**

ნახევარმცველები: **მანუელ ხურადო (ატლეტიკო), რაულ გარსია (ოსასუნა), ხავიერ მარტინესი (ატლეტიკი), მიგელ პალარდო (ვალენსია), სისინიო გონსალესი (ვალიადოლიდი), პედრო ლეონი (მურსია), ალეხანდრო ალვარო (სევილია), მარკოს გარსია (ვილიარეალი).**

თავდამსხმელები: **ბოიან კრკიჩი (ბარსელონა), ფრანჩესკო ხიმენესი (ვეხინდარიო).**

როგორც ხედავთ, ინიაკი საესის სიაში, 17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული "ბარსელონას" ფორვარდი, წარმოშობით სერბი, **ბოიან კრკიჩიც** არის შეყვანილი.

ესპანური წყაროების ცნობით, საესმა გუნდი გუშინ, 28 მაისს, ვალენსიაში შეკრიბა. მეტოქე 3 ივნისს ჩამოფრინდება და სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდება. ესპანელები სამშობლოში, თამაშის დასრულებისთანავე გაბრუნდებიან. საქართველო-ესპანეთის 21-წლამდელთა მატჩი, 5 ივნისს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, 20 საათზე დაიწყება. შეხვედრას სლოვენიელი მსაჯები გაუძღვებიან.

**დავით ცაბაძე**

# ზურაბ სოტკილავას, ფეხბურთის სამახსოვროდ



**ზურაბ სოტკილავა** 70 წლისაა. გასული საუკუნის მეორე ნახევარში იგი ფეხბურთს თამაშობდა თბილისის "დინამოში". შემდეგ მომღერლის კარიერა არჩია და მსოფლიო აღიარებაც მოიპოვა. ზურაბ სოტკილავა ახლა თბილისშია საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით.

იუბილარს დაბადების დღეს ორიგინალური ნამუშევრით მიულოცავს ოჩამჩირელი ზურაბ მიქავა, რომელმაც თავი ბევრ ცნობილ ადამიანს დაამახსოვრა საკუთარი ხელით დამზადებული ფეხბურთის სასუვენირო ბურთით. ზურაბი ყოველი ახალი საჩუქრით "ლელოში" გვსტუმრობს ტრადიციულად. გუშინაც გვეწვია.

"ჩემი 95-ე ნამუშევარი ბატონ ზურაბ სოტკილავას მივუძღვენი. ვფიქრობ, ვეტერან ფეხბურთელს და დიდ ხელოვანს ეს საჩუქარი მისი ახალგაზრდობისა და თბილისის "დინამოში" გატარებული წლების სიმბოლოდ დარჩება სუვენირების მდიდარ კოლექციაში" - თქვა ზ. მიქავამ.

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# შეითანი და მისტერ ბინი

61 მატჩი, 26 გოლი - ასეთია 34 წლის **შოთა არველაძის** სანაკრებო მონაგარი. ის ეროვნულ გუნდში აღარ ითამაშებს, თუ **კლაუს ტოპმიოლერმა** მისი თხოვნა შეასრულა და შოთა თბილისში ბოლო სანაკრებო მატჩს ჩაატარებს, ეს იქნება არველაძის გაცილება ქართული ფეხბურთიდან.

კაფანდარა ბიჭი, რომელსაც გულის შუილები ჰქონდა, ბურთს მაინც დასდევდა... "ავაზა", 35-ე სკოლა, უმცროს **მიშა მესხთან** გატარებული ზაფხულის თვეები ბახმაროში, იქაური არაყანი და პირადი მწვრთნელი **ჯემალ ჩიმაკაძე** - ასე გამოიწრთო ფეხბურთისთვის შოთა არველაძე. ის ერთადერთია პოსტსაბჭოთა სივრცეში, სხვადასხვა ქვეყნების უმაღლეს ლიგებში ორასზე მეტი გოლი რომ გაიტანა, სულ 257.

შოთა იყო, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ევროტურნირზე პირველი გოლი რომ გაიტანა. ის პირველი ქართველი იყო, უცხო ქვეყნის უმაღლესი ლიგის ბომბარდირი რომ გახდა...

**ქინქლაძე, ჯამარაული, ყაველაშვილი, ჯანაშია** - ნიჭიერი თაობა წამოვიდა 90-იან წლების დასაწყისში, მაგრამ მისგან მხოლოდ შოთამ მოახერხა სტაბილურად უმაღლეს დონეზე თამაში.

თურქეთში შეითანი და ჯამბაზი იყო, ჰოლანდიაში მისტერ ბინი, რეინჯერსელობისას კი მას **მარკ ჰეიტლიმ** ერთხელ Boy With golden eggs უწოდა.

და ვინ იყო შოთა საქართველოსთვის? იმ ნაკრების მოთამაშე, რომელსაც პრინციპულ, გადამწყვეტ მატჩში არასდროს მოუგია; იმ ნაკრებისა, რომლის ფეხბურთელებზეც ხშირად უთქვამთ, ფეხებს უფრთხილდებიან, ტრავმას იმიზეზებენ და ნაკრებში არ თამაშობენო; იმ ნაკრებისა, რომელსაც აქამდე არასდროს ჰქონია განვითარების გეგმაზომიერი, წლებზე გათვლილი პოლიტიკა; ნაკრებისა, რომელსაც ხშირად აგინებდნენ და ლანძღავდნენ...

არველაძემ ასეთ ნაკრებში ყველაზე მეტი, 26 გოლი გაიტანა. ნაკრების ფორვარდებიდან მას ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული და ამასაც ხომ შეძლება უნდა.

საქართველოს ნაკრების გარდა შოთას არასდროს უთამაშია მაჩანჩალა გუნდში. "დინამო", "ტრაბზონი", "აიაქსი", "რეინჯერსი" და "ალკმაარი" - არველაძეს ამ გუნდებში თამაშების 75-80 პროცენტი მოგებული აქვს, ნაკრებში კი პირიქით.

კარიერის ბოლოს მას შეეძლო "ბლექბერნში" ან "ლევანტეში" გადასვლა, მაგრამ "ალკმაარი" არჩია, რადგან იქ მწვრთნელი ლუის ვან გაალია. შოთა ალბათ ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას იღებდა.

რუსეთთან მატჩის წინ კი ის სანაკრებო შეკრებიდან წავიდა... მომდევნო შესარჩევ ციკლში მისი შეცდომის შემდეგ ბერძნებმა გამთანაბრებელი გაუტანეს **ალან ჟირესის** გუნდს და მერე 3:1 მოიგეს.

მაგრამ გულშემატკივარს ასეთი ამბები მალე ავიწყდება, რადგან შოთას ამ თამაშების შემდეგაც იწვევდნენ ნაკრებში და მას გოლები გაჰქონდა კლუბშიც და ეროვნულ გუნდშიც.

არველაძეს სანაკრებოდ მხოლოდ **გაიოზ დარსაძის** გაწვრთნილ გუნდში არ იწვევდნენ, როცა ის ერედივიზიონის ბომბარდირთა ცხრილს ლიდერობდა, თუმცა ეს დროებითი იყო. შოთამ ამის მერეც ითამაშა ნაკრებში და გოლებიც შეაგდო.

როცა **იოჰან ბოსკამპი** უკვე აღარ იყო საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, მაშინ მითხრა, ზუსტად ვერ გეტყვით, ვინაა ახლა საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი მაგრამ ყველაზე Skilful (ოსტატური) ქართველები შოთა და **ზურაბ ხიზანიშვილი** არიანო.

**შენოლ გიუნეში, მორტენ ოლსენი, კო ადრიაანსე, დიკ ადვოკაატი, ლუის ვან გაალი**... ისინი ყოველთვის კარგ, მათთვის საჭირო ფეხბურთელად მთვლიდნენ და როცა გულშემატკივრები საქართველოში მაგინებდნენ, ბევრს არ ვნაღვლობდი ამის გამოო, მითხრა ერთხელ შოთამ.

ის ნაკრებიდან წავიდა, ისევ "ალკმაარში" ან ყატარში თუ ითამაშებს კიდევ ერთ წელიწადს, მერე კი მწვრთნელობას აპირებს.

**დავით თავართქილაძე**

**შოთა არველაძის ყველა გოლი ეროვნულ ნაკრებში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.09.92 | ამხ. | საქართველო 6:3 აზერბაიჯანი | (1) |
| 19.07.94 | ამხ. | საქართველო 1:1 მალტა | (1) |
| 16.11.94 | ევრო 96 | საქართველო 5:0 უელსი | (1) |
| 14.12.94 | ევრო 96 | ალბანეთი 0:1 საქართველო | (1) |
| 26.04.95 | ევრო 96 | საქართველო 2:0 ალბანეთი | (1) |
| 11.10.95 | ევრო 96 | საქართველო 2:1 ბულგარეთი | (1) |
| 30.03.97 | ამხ. | საქართველო 7:0 სომხეთი | (3) |
| 07.06.97 | მსოფლიო 98 | საქართველო 2:0 მოლდოვა | (1) |
| 14.06.97 | მსოფლიო 98 | პოლონეთი 4:1 საქართველო | (1) |
| 04.09.99 | ევრო 2000 | სლოვენია 2:1 საქართველო | (1) |
| 08.09.99 | ევრო 2000 | საქართველო 2:2 ლიტვა | (1) |
| 09.10.99 | ევრო 2000 | ალბანეთი 2:1 საქართველო | (1) |
| 01.09.01 | მსოფლიო 2002 | საქართველო 3:1 უნგრეთი | (1) |
| 09.09.02 | ევრო 2004 | შვეიცარია 4:1 საქართველო | (1) |
| 06.09.03 | ევრო 2004 | საქართველო 3:0 ალბანეთი | (2) |
| 10.09.03 | ევრო 2004 | ალბანეთი 3:1 საქართველო | (1) |
| 16.11.05 | ამხ. | საქართველო 3:2 იორდანია | (1) |
| 27.06.06 | ამხ. | ახ. ზელანდია 3:1 საქართველო | (1) |
| 16.08.06 | ევრო 2008 | ფარერები 0:6 საქართველო | (3) |
| 06.09.06 | ევრო 2008 | უკრაინა 3:2 საქართველო | (1) |
| 24.03.07 | ევრო 2008 | შოტლანდია 2:1 საქართველო | (1) |

დინამო

# იაშვილს რაპიდიც გამოუჩნდა

**სანდრო იაშვილის** შესაძლო ტრანსფერზე მნიშვნელოვანი მოლაპარაკებებია დაწყებული. გუშინდელ ნომერში გაუწყებდით, რომ მისი "ფრაიბურგში" გადასვლა დგას დღის წესრიგში.

თუმცა ეს არაა ერთადერთი რეალური ვარიანტი. სანდროს ავსტრიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბი ვენის "რაპიდი" აკვირდება. როგორც შევიტყვეთ, ავსტრიელებს თბილისში თავისი დამკვირვებელიც უნდა გამოეშვათ.

წესითა და რიგით, ორივე კლუბის პოზიცია უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო. თუმცა დღემდე მოლაპარაკება მიმდინარეობს. საუბარია არა გასინჯვაზე, არამედ პირდაპირ კონტრაქტის გაფორმებაზე, რაც ბოლო დროს იშვიათი შემთხვევაა. საქართველოდან არათუ გერმანია-ავსტრიის გუნდები, აზერბაიჯანელებიც უკვე გასინჯვაზე იწვევენ ფეხბურთელებს.

უფრო მეტად ავსტრიელები აქტიურობენ. სანდრო იაშვილის მენეჯერი **მალხაზ მუსერიძეა** და როგორც გვითხრეს, ფეხბურთელის თაობაზე მოლაპარაკება მან წამოიწყო. მუსერიძემ ამ საკითხზე საუბარი არ ისურვა. თუმცა "ფრაიბურგის" და "რაპიდის" დაინტერესება არ უარყო: *"ინტერესი არსებობს, მაგრამ რა სტადიაშია მოლაპარაკება, ამაზე დეტალურად საუბარი არ მსურს"*.

**მერაბ მამულაშვილი**



ოლიმპი

# მწვრთნელის ძიებაში

**რევაზ ძოძუაშვილის** და "ოლიმპის" გზები გაიყო. დაჯილდოების შემდეგ ხმები გავრცელდა, თითქოს მთავარი მწვრთნელის საკითხს მეპატრონე 27 მაისს გადაწყვეტდა.

გუშინ "ოლიმპის" აღმასრულებელ დირექტორს **ბადრი ქარქაშაძეს** ვთხოვეთ კომენტარი და მან იგივე გაიმეორა, რაც ერთი კვირის წინათ: *"ძოძუაშვილს ჩვენთან კონტრაქტი დაუმთავრდა, ახალს არ ვუფორმებთ და რამდენჯერ ვთქვათ ერთი და იგივე? ჩვენ არც ერთ ნაბიჯს არ ვდგამთ გუნდის დამფინანსებელთან შეუთანხმებლად. მოკლედ, საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ჩვენ ახალ მწვრთნელს ვეძებთ. დროებით "ოლიმპს" ვარლამ კილასონია გაწვრთნის. საბოლოოდ ჯერ ესეც არ გადაგვიწყვეტია"*.

გუნდში სერიოზული საკადრო ცვლილებები რომ არის მოსალოდნელი, ისედაც ცნობილი იყო. შემტევი ნახევარმცველი **რეზო გეწაძე** რიგის "სკონტოს" დაუბრუნდება - ეს თავად მოთამაშემ გვითხრა.

თუმცა მხოლოდ გეწაძეს არ სურს წასვლა. "ოლიმპმა" ძალიან ბევრ მოთამაშესთან გააფორმა ხანმოკლე ხელშეკრულებები - ძირითადად, სეზონის ბოლომდე. ეს მორიგი სერიოზული საკადრო ცვლილებების წინაპირობაა.

შესაძლოა, კლუბი ლიდერებმა, **გიორგი ონიანმა** და **გიორგი სეთურიძემ** დატოვონ. ჩვენი ინფორმაციით, მათ საერთო აგენტი ჰყავთ, რომელიც დნეპროპეტროვსკის "დნეპრში" მოწყობით აიმედებს. ონიანიც და სეთურიძეც ამბობდნენ, რომ უკრაინაში თამაშს აპირებენ, მაგრამ გუნდს არ ასახელებდნენ. გიორგი ონიანი ჯერ არაფერს გვეუბნება, თუმცა წასვლა რომ სურს, ადასტურებს. მისი და სეთურიძის საკითხი ორ კვირაში უნდა გაირკვეს.

თავდამსხმელი **გიორგი კახელიშვილიც** უცხოეთში აპირებს წასვლას. თუმცა ეს ლამის ყველა ქართველი ფეხბურთელის სურვილია. რომელ მათგანს აუხდება ოცნება, მალე გამოჩნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ტრანსლაცია რელემ ჩაშალა

წლევანდელი 26 მაისის საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის "ყაზბეგის" თასის ფინალი ერთ-ერთ უცხოურ ტელეკომპანიასაც უნდა გადაეცა პირდაპირი ეთერით, თუმცა ეს ვერ მოხერხდა და ვითარებაში გასარკვევად საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ **დიმიტრი რამიშვილს** მივმართეთ.

*"მატჩის ტრანსლაცია რუსულ РТР СПОРТ-ს სურდა, მაგრამ ეს ტექნიკურად ვერ მოხერხდა. სასიგნალო რელეები დაკავებული იყო, "რუსთავი 2-მაც" ოპტიკური კაბელით მიიღო სიგნალი. 26 მაისს ბევრი ღონისძიება ტარდებოდა, განსაკუთრებული დღე იყო და ასეთი პრობლემაც ამიტომ შეიქმნა. თუმცა, როგორც ჩანს, РТР ძალიან მონდომებული არ იყო ამ მატჩის ტრანსლაციისთვის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ტექნიკური პრობლემა მართლაც შეიქმნა. დაინტერესება იყო ერთ-ერთი უკრაინული არხიდანაც, თუმცა უკრაინელები ტრანსლაციაში ფულის გადახდას არ აპირებდნენ და უარი ვუთხარით - გვითხრა რამიშვილმა"*.

**დავით თავართქილაძე**

ევრო 2008. მეტოქეები

# დონადონიმ პიპო დააბრუნა

იტალიის ნაკრებს 2 და 6 ივნისს ორი შესარჩევი მატჩის გამართვა უწევს. "სკუადრა აძურა" გასვლაზე ჯერ ფარერებს შეხვდება, შემდეგ კი კაუნასს ესტუმრება და ლიტვას დაუპირისპირდება. **რობერტო დონადონის** მხრიდან მნიშვნელოვანი სიახლეებია **ალესანდრო გამბერინის, მაქს ტონეტოს, კრისტიანო ლუკარელლისა** და, რაც მთავარია, **ფილიპო ინძაგის** გამოძახება. ცხადია, რომ ამ უკანასკნელს ნაკრებში დაბრუნების პატივი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაღებული ღვაწლისთვის ხვდა წილად. დონადონის სია ასე გამოიყურება:

მეკარეები - **კრისტიან აბიატი** (ტორინო), **მარკო ამელია** (ლივორნო), **ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი);

მცველები - **ანდრეა ბარძალი** (პალერმო), **ფაბიო კანავარო** (რეალი), **ალესანდრო გამბერინი** (ფიორენტინა), **მარკო მატერაცი** (ინტერი), **მასიმო ოდო** (მილანი), **მანუელ პასკუალი** (ფიორენტინა), **მაქს ტონეტო** (რომა), **ჯანლუკა ძამბროტა** (ბარსელონა);

ნახევარმცველები - **მასიმო ამბროზინი** (მილანი), **დანიელე დე როსი** (რომა), **აიმო დიანა** (პალერმო); **ჯენარო გატუზო** (მილანი), **სიმონე პეროტა** (რომა), **ანდრეა პირლო** (მილანი);

თავდამსხმელები - **ალესანდრო დელ პიერო** (იუვენტუსი), **ანტონიო დი ნატალე** (უდინეზე), **ფილიპო ინძაგი** (მილანი), **კრისტიანო ლუკარელი** (ლივორნო), **ფაბიო კვალიარელა** (სამპდორია), **ტომაზო როკი** (ლაციო).

# უკრაინა შევჩენკოს გარეშე

2 ივნისს უკრაინის ეროვნული ნაკრები უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს – პარიზში ფრანგებს დაუპირისპირდება. უკვე გაირკვა, რომ გუნდს ამ შეხვედრაში **ანდრეი შევჩენკო** ვერ დაეხმარება – „ჩელსის“ ფორვარდმა რამდენიმე დღის წინათ საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და მწყობრში შაბათისთვის დაბრუნებას ვერ ასწრებს. მის გარდა, **ოლეგ ბლოხინი** კიდევ ორ ტრავმირებულ წამყვან თავდამსხმელს მოისაკლისებს – კიევის დინამოელებს, **სერგეი რებროვსა** და **არტიომ მილევსკის.** ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ბლოხინმა ნაკრებში დააბრუნა დონეცკის „შახტარის“ ნახევარმცველი **ალექსეი გაი.**

*„ტრავმირებულ ფეხბურთელებს როგორმე შევცვლით, მე უფრო ის მაწუხებს, რომ ნაკრების რამდენიმე წევრს კლუბებში მწირი სათამაშო პრაქტიკა აქვს და მეეჭვება, კარგ ფორმაში იყვნენ“*, - ამბობს ბლოხინი. იგი „სტად დე ფრანსზე“ გამარჯვებისთვის აპირებს ბრძოლას, მაგრამ ფრეც მისაღებ შედეგად მიაჩნია.

მან ეროვნულ გუნდში შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: **ალექსანდრ შოვკოვსკი** („დინამო“ კ.), **მაქსიმ სტარცევი** („დნეპრი“), **ანდრეი პიატოვი** („ვორსკლა“).

მცველები: **ანდრეი ნესმაჩნი** („დინამო“ კ.), **დმიტრი ჩიგრინსკი** („შახტარი“), **ალექსანდრ კუჩერი** („შახტარი“), **ანდრეი რუსოლი** („დნეპრი“), **ვლადიმირ ეზერსკი** („დნეპრი“), **ვიაჩესლავ სვიდერსკი** („ჩერნომორეცი“).

ნახევარმცველები: **ოლეგ გუსევი** („დინამო“ კ.), **რუსლან როტანი** („დინამო“ კ.), **ტარას მიხალიკი** („დინამო“ კ.), **ალექსეი გაი** („შახტარი“), **სერგეი ნაზარენკო** („დნეპრი“), **ოლეგ შელაევი** („დნეპრი“), **ანატოლი ტიმოშჩუკი** („ზენიტი“, რუსეთი), **მაქსიმ კალინიჩენკო** („სპარტაკი“ მ.), **ევგენი ლევჩენკო** ("გრონინგენი", ჰოლანდია).

თავდამსხმელები: **ალექსეი ბელიკი** („შახტარი“), **ანდრეი ვორობეი** („შახტარი“), **ანდრეი ვორონინი** („ლივერპული“, ინგლისი).

**ლევან ჯანეზაშვილი**

საფეხბურთო კლუბ "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია აცხადებს კონკურსს 1991-92 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. აკადემიაში მიმღებთა შერჩევას "დინამოს" გამოცდილი მწვრთნელ-სელექციონერები აწარმოებენ. შერჩევა გაიმართება 7-17 ივნისს.

მსურველები 7 ივნისამდე დაგვიკავშირდნენ ტელეფონის ნომერზე 53-20-76

*ს.კ. "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია*

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

## მაისის ნომინანტები

გია ტუხაშვილის პროექტი

**ფეხბურთელი** — **სანდრო იაშვილი**



ყველაზე გადამწყვეტი სეზონის ბოლო თვეა; სწორედ ამ დროს უნდა გამოიჩინონ თავი იმ ფეხბურთელებმა, თავიანთ გუნდებში ლიდერებად რომ ითვლებიან. მაისში ბევრი ისეთი ფეხბურთელი იყო, თვის ნომინანტობაზე სამართალიანი პრეტენზია რომ უნდა ჰქონოდა: საქართველოს ახალი ჩემპიონის ახალგაზრდა მარჯვენაფლანგელი **გიორგი სეთურიძე** თუ მისი თანაგუნდელი **გიორგი ონიანი**, "ამერის" გამოცდილი მეკარე **ზურაბ ქვაჩახია** თუ მისი ახალგაზრდა პარტნიორი **დიმიტრი ტატანაშვილი**, "ზესტაფონის" უბერებელი ფორვარდი **ზურაბ იონანიძე** (ჩემპიონატების ისტორიაში 200 გოლს ეხუმრებით?) თუ ამავე გუნდის შემტევი ნახევარმცველი **გიორგი ჭელიძე** (ერთ მატჩში ოთხი გოლის გატანა არ არის პატარა ამბავი), "დინამოს" დაცვის ბურჯი **ნედ ზელიჩი** თუ **სანდრო იაშვილი**... იაშვილმა მაისში მეტოქეთა კარში ხუთი გოლი გაიტანა და დამსახურებულადაც გახდა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. სასიამოვნოა, რომ ეს ნიჭიერი ფორვარდი თავის ერთგულ ქომაგებს მრავალფეროვანი თამაშით ახარებს. თანაც, თუ ადრე იაშვილის "კოზირად" თავით თამაში ითვლებოდა, ახლა მისი შესრულებით ყველანაირ გოლს ვხედავდით. აი, როგორც "ბათუმთან" ბოლო ტურში: საშუალო მანძილიდან ჯარიმაც ეფექტური შეასრულა, პენალტიც ზუსტად გამოიყენა და ერთიც "საფირმო" თავური დარტყმით გაიტანა. კი, მაისში იყო ის ერთადერთი მატჩიც ("ოლიმპთან"), რომელშიც იაშვილმა გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ "დინამოს" ახალი ლიდერი მაინც თვის საუკეთესო ფეხბურთელად მივიჩნიეთ.

სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ გვიხდება იმის გამეორება, რომ იაშვილის პროგრესს ყველა ხედავს და ამჩნევს... **კლაუს ტოპმიოლერის** გარდა. მითუმეტეს, რომ საქართველოს ნაკრებს ამჟამად თავდასხმის ხაზში საკადრო პრობლემები აქვს...

## კურიოზი

გინახავთ მატჩი, სადაც მსაჯობა... არ ყოფილა? უფრო ზუსტად, კონკრეტულ შეხვედრას, წესით და რიგით, მსაჯთა ბრიგადა ემსახურებოდა, მაგრამ იმ სამეულმა (მთავარს პლუს ორი გვერდითი) საქმეები აკეთა?!. "ოლიმპი"-"ამერის" თამაშზე მოგახსენებთ, უაღრესად პრინციპულ და ემოციურ დაპირისპირებაზე, ორივე გუნდს რომ საკუთარი მიზანი ჰქონდა. ჰოდა, მსგავსი შეცდომები ბოლოს როდის ვნახეთ, აღარც გვახსოვს. თანაც, ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მართლაც არარსებული "მსაჯობით" უკმაყოფილო (რბილად ვამბობთ) სტუმრებიც იყვნენ და... მასპინძელთა ქომაგებიც. ამიტომაც "მიკერძოებისა" და "არაობიექტურობის" ნაცვლად იმ დღევანდელ "მსაჯთა" ქმედება ჯობია კურიოზად მოვნათლოთ...

არანაკლები კურიოზი მოხდა ჩემპიონატის ბოლო ტურში, როცა "დინამოსა" და "ბათუმის" შეხვედრაში ყურადღების ცენტრში მეკარეები მოექცნენ. ის, რომ, მასპინძელთა გამოცდილ მეკარეს **სოსო გრიშიკაშვილს** ორჯერ მოუხდა შეკამათება მეტოქის ახალგაზრდა ფეხბურთელებთან, მაინც ჩვეულებრივ ეპიზოდად აღვიქვით. ანუ, ისეთი სიტუაცია იყო ორივეჯერ, მეტოქეები ერთმანეთისთვის არაფრის დათმობას რომ არ აპირებდნენ. სამაგიეროდ, იმ უხვგოლიან და, ცოტა არ იყოს, უცნაური სცენარით წარმართული შეხვედრის მეორე ტაიმში ლამის ხელჩართული ჩხუბიც ვიხილეთ... თანაგუნდელებს შორის. ტრიბუნიდან არ ჩანდა, თუ რა ან რატომ ვერ "გაიყვეს" სტუმართა მეკარემ **გიორგი სომხიშვილმა** და მისმა თანაგუნდელმა **არჩილ ბაჯელიძემ**. თანაც, თვითონ ფაქტიც არასასიამოვნო იყო და "გარედანაც" ერთობ ულამაზოდ გამოყურებოდა...

**მწვრთნელები:**
**რევაზ ძოძუაშვილი (ოლიმპი), გიორგი ჩიხრაძე (ამერი)**





გახსოვთ, აპრილში რა დილემის წინაშე დავდექით? ჰო, ეგრე იყო - მწვრთნელებში საუკეთესო ვერ გამოავავლინეთ. ისიც აღვნიშნეთ, რომ მაისში ამ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენა ადვილი იქნებოდა. ერთი შეხედვით, მართლაც "ადვილი" და ლოგიკური არჩევანიც უნდა გაგვეკეთებინა - ვინ იქნებოდა საუკეთესო, თუ არა ჩემპიონი გუნდის მწვრთნელი? ასეც არის: **რევაზ ძოძუაშვილმა** თავისი მდიდარი კოლექცია მორიგი მედლით შეავსო და კარიერაში მესამე გუნდთან ერთად მოიპოვა ჩემპიონობა. შესაძლოა, მეორე წრეში "ოლიმპის" თამაშმა სანახაობრივი ხიბლი დაკარგა, მაგრამ გუნდმა უმთავრეს მიზანს მიაღწია! თანაც, ფაქტია, რომ ძოძუაშვილის არჩეულმა სტრატეგიამ გაამართლა - მაისში მოსაგები მოიგო ("დილასთან" და "ტორპედოსთან") და არაფრისდიდებით არწასაგები მატჩები ფრედ დაასრულა ("დინამოსთან" და "ამერთან"). და მაინც, ძოძუაშვილი... ამ ნომინაციის ერთადერთი გამარჯვებული არ არის. უბრალოდ, ნამდვილად გაგვიჭირდებოდა "ამერის" მთავარი მწვრთნელის **გიორგი ჩიხრაძის** მუშაობა არ დაგვეფასებინა. "ამერმა" მაისში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა, ჩემპიონატშიც ღირსეულად ითამაშა (მესამე ადგილი შარშანდელი დებიუტანტისათვის ურიგო შედეგი არ არის) და თასის გათამაშებას ხომ ლამის "ინტერესი დაუკარგა". არ დავივიწყოთ არცთუ უმნიშვნელო ფაქტიც - 26 მაისის ტრიუმფატორ "ამერს" ჩემპიონატის ბოლო ოთხ მატჩში და თასის ფინალშიც საკუთარ კარში გოლი არ გაუშვია. მოკლედ, შევთანხმდეთ, რომ მაისში ორი საუკეთესო მწვრთნელი გვეყოლება - რევაზ ძოძუაშვილი და გიორგი ჩიხრაძე; რაც მთავარია, ორივემ თანაბრად დაიმსახურა ჩვენი აღიარება!

## მაისის სიმბოლური ნაკრები



გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge





ვაჟა თარხნიშვილი (5) - მოლდოვის ჩემპიონი და ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი მოთამაშე

# ანჩელოტი: კალაძეს შეუძლია, წავიდეს

როგორც გახსოვთ, ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ **კახა კალაძემ** ღიად განაცხადა, რომ "მილანიდან" წასვლაზე სერიოზულად ფიქრობს. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ისიც დაამატა, თუ ჩემით პირადად **ჟოზე მოურინიო** დაინტერესდება, "ჩელსიში" დიდი სიამოვნებით გადავიდოდიო. კახას არ დაუმალავს, რომ "მილანში" არასისტემატური სათამაშო პრაქტიკის გამო უკმაყოფილოა.

მისი ბედი დიდადაა დამოკიდებული **პაოლო მალდინის** გადაწყვეტილებაზე. დღეისათვის, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ როსონერის უბერებელი კაპიტანი მშობლიურ კლუბთან კონტრაქტს კიდევ ერთი წლით გააგრძელებს, რაც კალაძის სათადარიგოთა სკამზე დარჩენისა და შესაბამისად, წასვლის ალბათობას ერთიორად ზრდის.

ამ საკითხზე კომენტარი **კარლო ანჩელოტიმაც** გააკეთა. *"კახა "მილანისთვის" ძალიან საჭირო ფეხბურთელია, მაგრამ თუ აქ დარჩენას არ მოისურვებს, ხელს ნამდვილად არ შევუშლით. კალაძეს მოსაფიქრებლად დრო აქვს, თუ დარჩება, ძალიან გაგვახარებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დავაბრკოლებთ და თავისუფლად შეეძლება, სასურველ კლუბს მიაშუროს"*, - განაცხადა "მილანის" დამრიგებელმა.

გუშინ, კალაძემ "გაძეტა დელო სპორტს" უთხრა, რომ მილანში კონტრაქტის ბოლომდე რჩება.

# ქართველებმა გოლებით დაასრულეს

მოლდოვის ჩემპიონატი დასრულდა, თუმცა ამ ქვეყნის საფეხბურთო ლიგაში ისედაც ყველაფერი კარგა ხნის წინათ გაირკვა. ბოლო ტურში დნესტრისპირეთის დერბი გაიმართა, ჩემპიონმა "შერიფმა" 2:1 მოუგო "ტირასპოლს". ანგარიში მე-16 წუთზე მასპინძელთა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** პენალტის ნიშნულიდან გახსნა. სტუმართა რიგებში 70-ე წუთზე ჩაერთო თამაშში **ვალტერ ხორგუაშვილი**. თარხნიშვილმა ეს სეზონი სამი გოლით დაასრულა. ტურში კიდევ ერთმა ქართველმა გამოიჩინა თავი, "ზიმბრუმ" 3:1 მოუგო "ნისტრუს", მეორე გოლი კი მასპინძელთა მცველმა **მამუკა ლომიძემ** მე-60 წუთზე გაიტანა. **ლადო ახალაიას** "დაჩიამ" სტუმრად "ტილიგული" დაამარცხა - 3:1. "შერიფმა" 92 ქულით მოიგო ჩემპიონატი, "ზიმბრუ" 71 ქულით მეორე ადგილზე გავიდა, "დაჩია" 55 ქულით მეოთხეა, "ტირასპოლი" (46 ქულა) - მეხუთე.

## უიღბლო მეცამეტე

მეცამეტე ტური უიღბლო გამოდგა რუსეთის პირველ დივიზიონში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა კლუბებისთვის. ბრიანსკის "დინამო" შინ 0:1 დამარცხდა "კამაზთან", ხოლო მახაჭყალის "ანჟიმ" სტუმრად ასეთივე ანგარიშით დათმო "სიბირთან". ბრიანსკელთა შემადგენლობაში არ უთამაშია **პაატა ჯინჭარაძეს**. "ანჟის" სასტარტოში ჩვენებურთაგან მხოლოდ **ზურაბ არზიანი** იყო, მეორე ტაიმში გამოჩდნენ **გოჩა ხოჯავა** (56-ე წუთი) და **კახა მჟავანაძე** (63-ე). ანჟიმ ბოლო 15 წუთი ცხრა კაცით ითამაშა. თეთრაძის გუნდი 22 ქულით მეხუთე ადგილზეა და უკვე 9 ქულით ჩამორჩება ლიდერ "შინიკს". ბრიანსკის "დინამოს" 18 ქულა აქვს. კლუბი, რომელმაც სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო, მეცხრე ადგილზეა. "ბალტიკაში" (18 ქულა, მეათე ადგილი) ირიცხება **ლევან მიქაძე**, რომელიც ტრავმის გამო ჯერ ვერ თამაშობს.

## პირველები და ბოლო

ლიტვაში მეცამეტე ტურის მატჩები გაიმართა, რომელშიც ყველაზე დიდ ინტერესს ლიდერთა დაპირისპირება იწვევდა - ჩემპიონი "კაუნასი" "ვილნიუსს" მასპინძლობდა, რომელსაც მხოლოდ ორი ქულით უსწრებდა და თან მეტოქეზე ერთიით მეტი მატჩი ჰქონდა გამართული. მეორე ტაიმში მასპინძელმა **გრიგალევიჩიუსმა** გადამწყვეტი გოლი გაიტანა და "კაუნასს" 1:0 მოაგებინა. ახლა ლიდერთა შორის სხვაობა ხუთი ქულაა. "კაუნასის" რიგებში ორივე ქართველმა ძირითადში ითამაშა, **გივი კვარაცხელიამ** 54-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო, ერთ წუთში კი ის შეცვალეს, **ნუკრი მანჩხავამ** მოედანი მე-80 წუთზე დატოვა. **აკაკი ხუბუტიას** "შილიუტე" სტუმრად "ჟალგირისთან" 0:2 დამარცხდა, ხუბუტიამ პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო, მან მეტოქე საჯარიმოში მოცელა. ასე გავიდა პირველი გოლი სტუმართა კარში. 65-ე წუთზე ქართველი მცველი შეცვალეს. "შილიუტე" ხუთი ქულით ბოლო ადგილზეა.

## გოგინაშვილი თასს შეწვდა

ბელარუსში მეშვიდე ტურის მატჩები გაიმართა. ბრესტის "დინამო" შინ "ვიტებსკთან" 0:1 დამარცხდა. "დინამოელი" **რომან გოგინაშვილი** მოედანზე ტრადიციულად შესვენების შემდეგ გამოჩნდა, მან **სტეპანოვი** შეცვალა. გოგინაშვილმა მსაჯისგან ყვითელი ბარათი, "პრესბოლისგან" კი 4,5 შეფასება დაიმსახურა. უმაღლესი ლიგის დებიუტანტი "სმორგონი" შინ "დარიდას" დაუზავდა - 1:1. **სულიკო კაკაბაძე** 75-ე წუთამდე უტევდა სტუმართა კარს. დამარცხდა **ალექსანდრე შუბლაძის** "დნეპრი", რომელმაც სტუმრად 0:2 წააგო სოლიგორსკის "შახტიორთან". სამივე ქართულ გუნდს 10-10 ქულა აქვს და მე-6 - მე-8 ადგილებს იყოფს.

გუშინ ბელარუსში თასის ფინალი გაიმართა, ბრესტის "დინამო" ჩემპიონ "ბატეს" შეხვდა. მინსკში მატჩს 10 ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო. ძირითად და დამატებით დროში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა - 0:0. პენალტების სერია კი გოგინაშვილის კლუბმა 4:3 მოიგო. რომანი მოედანზე 79-ე წუთზე შევიდა. ქართველმა ნახევარმცველმა პენალტების სერიაში კინაღამ დაღუპა საკუთარი გუნდი, 3:3-ზე გოგინაშვილმა ბურთი ძელს გაარტყა, თუმცა შემდეგ "დინამოს" გოლკიპერმა **ციგალკომ** იყოჩაღა, რომელმაც ბოლო ორი პენალტი მოიგერია. ეს ბრესტული კლუბის ისტორიაში პირველი ტიტულია.

## ფავორიტი ვერ ამართლებს

სეზონის წინ აშკარა ფავორიტად შერაცხული ყარაღანდის "შახტიორი" ჯერჯერობით, ვერ ამართლებს გაცემულ დივიდენდებს. კლუბს ქართული წარმოშობის ბიზნესმენი **გრიგორ ლორია** ხელმძღვანელობს, ყარაღანდელთა კარს მისი შვილი, ყაზახეთის საუკეთესო ფეხბურთელი **დავით ლორია** იცავს. მორიგ ტურში "შახტიორმა" "ორდაბასისთან" შინ 0:0 ითამაშა. სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი სეზონში "შახტიორის" ქართველ ფორვარდ **ლევან მელქაძეს**. "შახტიორი" 11 თამაშიდან 20 ქულით მეხუთე ადგილზეა.

## ქართველთა ავსტრია მორჩა

ჩემპიონატი დასრულდა ავსტრიულ ერსტე ლიგაში. სეზონის მეორე ნახევარში ამ ლიგაში ორმა ქართველმა ითამაშა, "აუსტრია" ლუშტენაუს ღირსებას **მირზა ბუალავა** იცავდა, ხოლო "ჰარტბერგში" ფორვარდი **გივი ჩხეტიანი** თამაშობდა. "აუსტრიამ" სეზონი 50 ქულით მეოთხე ადგილზე დაასრულა და მომავალ სეზონსაც ერსტე ლიგაში გაატარებს, "ჰარბერგი" კი 26 ქულით ბოლო ადგილზე გავიდა. ბოლო ტურში "აუსტრიამ" 4:2 მოუგო "პარნდორფს", ხოლო "ჰარტბერგი" სტუმრად "ლოიბენს" დაუზავდა - 2:2. მირზა ბუალავას არ უთამაშია ბოლო ტურში, რადგან ის 19-წლამდელთა ნაკრებს კაპიტნობდა შოტლანდიაში. გივი ჩხეტიანმა კი შეუცვლელად ითამაშა. მან სეზონი 13 მატჩში გატანილი სამი გოლით დაასრულა. მირზა ბუალავამ მხოლოდ 6 მატჩში ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ალექსანდრე ინწკირველი

# ბაქო ან თბილისი

**აზერბაიჯანულ "ქარვანში" მოთამაშე ქართველთა რაოდენობა ერთით შემცირდება. ალექსანდრე ინწკირველმა კლუბში დარჩენა აღარ ისურვა და ამჟამად ახალი გუნდის ძიებაშია.**

- გუნდში აღარ ვრჩები, კონტრაქტი დამიმთავრდა და არა მგონია, გავაგრძელო, რადგან გუნდში ფინანსური პრობლემებია. პრეზიდენტი შეიცვალა და გუნდიც ისე ველარ ფინანსდება როგორც ადრე.

**- ალბათ, ფინანსური პრობლემების გამოა, რომ "ქარვანმა" ეს სეზონი მეეშვიდე ადგილას დაასრულა...**

- პირველი წრე კარგად ვითამაშეთ, მეორე წრიდან უკვე არეულობა დაიწყო, ხელფასები იგვიანებდა და ბიჭებიც მონდომებით ველარ თამაშობდნენ. ამის შედეგი სახეზეა.

**- ლიმიტი ლეგიონერებზე (3+2) კიდევ არის თუ შეცვალეს?**

- არა, ლიმიტი შეცვალეს. უკვე ერთბაშად ხუთ ლეგიონერს შეუძლია თამაში, მაგრამ გუნდს ერთი ლეგიონერის განაცხადში შეყვანა ოცდასამი ათასი დოლარი უჯდება, ადგილობრივის - ექვსი ათასი.

**- გუნდთან კონტრაქტი უკვე ამოგეწურა, რომელიმე კლუბს ხომ არ გამოუხატავს თქვენდამი ინტერესი?**

- 20 ივნისამდე შესვენებაა, ვარიანტები არის ბაქოდან, ორი სამი გუნდია ჩემით დაინტერესებული, მაგრამ ჯერ მათი დასახელება არ მინდა, ყველაფერი ერთ კვირაში გადაწყდება.

**- საქართველოში დაბრუნებას ხომ არ აპირებ?**

- აქაც არის ვარიანტები თბილისური კლუბებიდან, მაგრამ თბილისში მაშინ წამოვალ, ბაქოში თუ ვერ დავბრუნდი.

**- შენ პირადად სად გირჩევნია თამაში?**

- ფინანსური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ბაქოში თამაში მირჩევნია, ისე კი სახლში ყოფნას რა ჯობია.

**- აზერბაიჯანული ფეხბურთის პროგრესზე ბევრი ითქვა. ახლა როგორი ვითარებაა, პროგრესი გრძელდება თუ არა?**

- საფეხბურთო დონეს რაც შეეხება აშკარად იკლო, შარშან გაცილებით მაღალი დონე იყო, მაგრამ შეიძლება ეს ჩემთვისაა ასე, რადგან ჩვენი გუნდი იყო სუსტი და უამბიციო.

**ავთო ცეცხლაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროთასები 2007-08

# კალენდარი

## ჩემპიონთა ლიგა

**29 ივნისი** - I და II საკვალიფიკაციო ეტაპების კენჭისყრა
**17-18 ივლისი** - I საკვალიფიკაციო ეტაპი (I მატჩები)
**24-25 ივლისი** - I საკვალიფიკაციო ეტაპი (II მატჩები)
**31 ივლისი-1 აგვისტო** - II საკვალიფიკაციო ეტაპი (I მატჩები)
**3 აგვისტო** - III საკვალიფიკაციო ეტაპების კენჭისყრა
**7-8 აგვისტო** - II საკვალიფიკაციო ეტაპი (II მატჩები)
**14-15 აგვისტო** - III საკვალიფიკაციო ეტაპი (I მატჩები)
**28-29 აგვისტო** - III საკვალიფიკაციო ეტაპი (II მატჩები)
**30 აგვისტო** - ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა
**18-19 სექტემბერი** - ჯგუფური ეტაპი. I ტური
**2-3 ოქტომბერი** - ჯგუფური ეტაპი. II ტური
**23-24 ოქტომბერი** - ჯგუფური ეტაპი. III ტური
**6-7 ნოემბერი** - ჯგუფური ეტაპი. IV ტური
**27-28 ნოემბერი** - ჯგუფური ეტაპი. V ტური
**11-12 დეკემბერი** - ჯგუფური ეტაპი. VI ტური
**21 დეკემბერი** - 1/8 ფინალის კენჭისყრა
**19-20 თებერვალი** - 1/8 ფინალი. I მატჩები
**4-5 მარტი** - 1/8 ფინალი. II მატჩები
**7 მარტი** - 1/4 და 1/2 ფინალების კენჭისყრა
**1-2 აპრილი** - 1/4 ფინალი. I მატჩები
**8-9 აპრილი** - 1/4 ფინალი. II მატჩები
**22-23 აპრილი** - 1/2 ფინალი. I მატჩები
**29-30 აპრილი** - 1/2 ფინალი. II მატჩები
**21 მაისი** - ფინალი. მოსკოვი (რუსეთი)

## უეფას თასი

**29 ივნისი** - I საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა
**19 ივლისი** - I საკვალიფიკაციო ეტაპი (I მატჩები)
**2 აგვისტო** - I საკვალიფიკაციო ეტაპი (II მატჩები)
**3 აგვისტო** - II საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა
**16 აგვისტო** - II საკვალიფიკაციო ეტაპი (I მატჩები)
**30 აგვისტო** - II საკვალიფიკაციო ეტაპი (II მატჩები)
**31 აგვისტო** - I რაუნდის კენჭისყრა
**20 სექტემბერი** - I რაუნდი (I მატჩები)
**4 ოქტომბერი** - I რაუნდი (II მატჩები)
**5 ოქტომბერი** - ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა
**25 სექტემბერი** - ჯგუფური ეტაპი. I ტური
**8 ნოემბერი** - ჯგუფური ეტაპი. II ტური
**29 ნოემბერი** - ჯგუფური ეტაპი. III ტური
**5-6 დეკემბერი** - ჯგუფური ეტაპი. IV ტური
**19-20 დეკემბერი** - ჯგუფური ეტაპი. V ტური
**21 დეკემბერი** - 1/16 და 1/8 ფინალების კენჭისყრა
**13-14 თებერვალი** - 1/16 ფინალი. I მატჩები
**21 თებერვალი** - 1/16 ფინალი. II მატჩები
**6 მარტი** - 1/8 ფინალი. I მატჩები
**12-13 მარტი** - 1/8 ფინალი. II მატჩები
**14 მარტი** - 1/4 და 1/2 ფინალების კენჭისყრა
**3 აპრილი** - 1/4 ფინალი. I მატჩები
**10 აპრილი** - 1/4 ფინალი. II მატჩები
**24 აპრილი** - 1/2 ფინალი. I მატჩები
**1 მაისი** - 1/2 ფინალი. II მატჩები
**14 მაისი** - ფინალი. მანჩესტერი (ინგლისი)

## ინტერტოტოს თასი

**23-24 ივნისი** - I რაუნდი (I მატჩები)
**30 ივნისი-1 ივლისი** - I რაუნდი (II მატჩები)
**7-8 ივლისი** - II რაუნდი (I მატჩები)
**14-15 ივლისი** - II რაუნდი (II მატჩები)
**21-22 ივლისი** - III რაუნდი (I მატჩები)
**28-29 ივლისი** - III რაუნდი (II მატჩები)

## ჩემპიონთა ლიგა

| ჯგუფური ეტაპი | III საკვ. ეტაპი | II საკვ. ეტაპი | I საკვ. ეტაპი |
|---|---|---|---|
| მილანი (იტა) | ესპანეთი-3 | სტიაუა (რუმ) | დინამო (ხორ) |
| ესპანეთი-1 | ესპანეთი-4 | რეინჯერსი (შოტ) | ელფსბორგ (შვედ) |
| ესპანეთი-2 | ლაციო (იტა) | გენკი (ბელ) | ჟილინა (სლოვაკ) |
| ინტერი (იტა) | ლივერპული (ინგ) | უკრაინა-2 | აპოელ (კვიპ) |
| რომა (იტა) | არსენალი (ინგ) | ლიბერეცი (ჩეხ) | დომზალე (სლოვე) |
| მანჩესტერი (ინგ) | ტულუზა (საფ) | ბეშიქთაში (თურ) | სარაევო (ბოს) |
| ჩელსი (ინგ) | ვერდერი (გერ) | ლევსკი (ბულ) | ტამპერე (ფინ) |
| ლიონი (საფ) | ბენფიკა (პორ) | ბეითარი (ისრ) | ვენტსპილსი (ლატ) |
| მარსელი (საფ) | აიაქსი (ჰოლ) | რუსენბორგი (ნორ) | შერიფი (მოლ) |
| შტუტგარტი (გერ) | აეკ (საბ) | ზალცბურგი (ავს) | ოლიმპი (საბ) |
| შალკე (გერ) | სპარტაკი (რუს) | ცრ. ზვეზდა (სერ) | კაუნასი (ლიტ) |
| პორტუ (პორ) | დინამო (რუმ) | ზაგლებე (პოლ) | პობედა (მაკ) |
| სპორტინგი (პორ) | სელტიკი (შოტ) | კოპენჰაგენი (დან) | ჰაფნარი (ისლ) |
| ეინდჰოვენი (ჰოლ) | ანდერლეხტ (ბელ) | დებრეცენი (უნგ) | ბატე (ბლრ) |
| ოლიმპიაკოსი (საბ) | უკრაინა-1 | - | დერი (ირლ) |
| ცსკა (რუს) | სპარტა (ჩეხ) | - | ტირანა (ალბ) |
| - | ფენერბაჰჩე (თურ) | - | პიუნიკი (სომ) |
| - | ციურიხი (შვეიც) | - | ლევადია (ესტ) |
| - | - | - | მარსაქსლოკ (მალ) |
| - | - | - | ნიუ სეინტსი (უელ) |
| - | - | - | ლინფილდ (ჩ. ირლ) |
| - | - | - | ხაზარი (აზე) |
| - | - | - | დუდელანჟი (ლუქ) |
| - | - | - | ასტანა (ყაზ) |
| - | - | - | ჰბ ტორსჰავნ (ფარ) |
| - | - | - | რეინჯერსი (ანდ) |
| - | - | - | მურატა (ს-მარ) |
| - | - | - | ზეტა (ჩერ) |

## უეფას თასი

| I რაუნდი | II საკვ. ეტაპი | I საკვ. ეტაპი |
|---|---|---|
| ესპანეთი-თასი | ზენიტი (რუს) | შვეიცარია |
| ესპანეთი-5 | კლუჟი (რუმ) | ლიტექსი (ბულ) |
| ესპანეთი-6 | დანფერმლაინი (შოტ) | ისრაელი |
| ფიორენტინა (იტა) | სტანდარდი (ბელ) | ბრანი (ნორ) |
| პალერმო (იტა) | უკრაინა-4 | ვოლერენგა (ნორ) |
| ემპოლი (იტა) | იაბლონეცი (ჩეხ) | ლილესტრიომი (ნორ) |
| ტოტენჰემი (ინგ) | გალათასარაი (თურ) | რიდი (ავტ) |
| ევერტონი (ინგ) | ერჩიესი (თურ) | მატერსბურგი (ავტ) |
| ბოლტონი (ინგ) | ბაზელი (შვეიც) | პარტიზანი (სერ) |
| სოშო (საფ) | შვეიცარია | ვოივოდინა (სერ) |
| რენი (საფ) | ცსკა (ბულ) | ბეჟანია (სერ) |
| ბორდო (საფ) | ლოკომოტივი (ბულ) | გროცლინი (პოლ) |
| ნიურნბერგი (გერ) | ჰაპოელი თ-ა (ისრ) | ბელხატოვი (პოლ) |
| ბაიერნი (გერ) | ისრაელი | ოდენსე (დან) |
| ლევერკუზენი (გერ) | ფრედრიკსტად (ნორ) | მიდტიულანდი (დან) |
| ბრაგა (პორ) | აუსტრია (ავტ) | ჰონვედი (უნგ) |
| ბელენენსეში (პორ) | - | მტკ (უნგ) |
| ფერეირა (პორ) | - | ჰაიდუკი (ხორ) |
| ალკმაარი (ჰოლ) | - | სლავენი (ხორ) |
| ტვენტე (ჰოლ) | - | ჰელსინგბორგ (შვედ) |
| ჰერენვეენი (ჰოლ) | - | აიკ (შვედ) |
| გრონინგენი (ჰოლ) | - | ჰაკენი (შვედ) |
| ლარისა (საბ) | - | მორავცე (სლოვაკ) |
| პანათინაიკოსი (საბ) | - | არტმედია (სლოვაკ) |
| არისი (საბ) | - | ანორთოსისი (კვიპ) |
| პანიონიოსი (საბ) | - | ომონია (კვიპ) |
| ლოკომოტივი (რუს) | - | კოპერი (სლოვენ) |
| რაპიდი (რუმ) | - | გორიცა (სლოვენ) |
| აბერდინი (შოტ) | - | შ. ბრიეგი (ბოს) |
| ბრიუგე (ბელ) | - | ჭრინსკი (ბოს) |
| მეტალისტი (უკრ) | - | ჰიკ (ფინ) |
| ბოლესლავი (ჩეხ) | - | ჰაკა (ფინ) |
| - | - | მიუპა (ფინ) |
| - | - | მეტალურგსი (ლატ) |
| - | - | სკონტო (ლატ) |
| - | - | ზიმბრუ (მოლ) |
| - | - | ნისტრუ (მოლ) |
| - | - | ამერი (საქ) |
| - | - | დინამო (საქ) |
| - | - | სუდუვა (ლიტ) |
| - | - | ეკრანასი (ლიტ) |
| - | - | ვარდარი (მაკ) |
| - | - | რაბოტნიჩკი (მაკ) |
| - | - | კეფლავიკი (ისლ) |
| - | - | რეიკიავიკი (ისლ) |
| - | - | ვადუცი (ლიხ) |
| - | - | დინამო ბრ (ბლრ) |
| - | - | დინამო მნ (ბლრ) |
| - | - | დროგედა (ირლ) |
| - | - | სტ. პატსი (ირლ) |
| - | - | ბესა (ალბ) |
| - | - | ტეუტა (ალბ) |
| - | - | ბანანცი (სომ) |
| - | - | მიკა (სომ) |
| - | - | ტრანს ნარვა (ესტ) |
| - | - | ფლორა (ესტ) |
| - | - | ჰიბერნიანსი (მალ) |
| - | - | სლიემა (მალ) |
| - | - | კარმარტენი (უელ) |
| - | - | რილი (უელ) |
| - | - | გლენტორან (ჩ. ირლ) |
| - | - | დანგენონი (ჩ. ირლ) |
| - | - | მკტ-არაზი (აზე) |
| - | - | ნეფთჩი (აზე) |
| - | - | ეტცელა (ლუქ) |
| - | - | კაერიენგი (ლუქ) |
| - | - | ალმათი (ყაზ) |
| - | - | აქტობე (ყაზ) |
| - | - | ბ36 ტორსჰავნი (ფარ) |
| - | - | სტეიმური (ფარ) |
| - | - | სტ. კოლომა (ანდ) |
| - | - | ლიბერტასი (ს-მარ) |
| - | - | რუდარი (ჩერ) |
| - | - | ბუდუჩნოსტი (ჩერ) |



სამუელ ეტოო

საავარაუდო ტრანსფერი

# ეტოო: ლივერპული დიდებულია

## სხვათა შორის, ბენიტესს შედეგიანი თავდამსხმელი სჭირდება...

"სანდი მირორმა" **სამუელ ეტოოს** ინტერვიუ გამოაქვეყნა. კამერუნელმა თავდამსხმელმა ბევრი ისაუბრა "ლივერპულზე" და არ დაუმალავს, რომ ამ გუნდში თამაში სურს. ეტოოს ბარსელონური კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. მან მიმომხილველს განუმარტა, რომ მომავალ სეზონს ალბათ ისევ კატალონიაში გაატარებს, თუმცა სამომავლოდ პრემიერლიგაში თამაშის ვარიანტს განიხილავს. სამუელის განცხადება საამო მოსასმენი იქნებოდა **რაფა ბენიტესისათვის**. ის კლუბის ამერიკელი მეპატრონეებისაგან სატრანსფერო ბიუჯეტის დამტკიცებას ელოდება, რათა ძლიერი თავდამსხმელი შეიძინოს. "სანდი მირორში" ვკითხულობთ, რომ ეტოო ბენიტესის ერთ-ერთი სამიზნეა. მის გარდა მწვრთნელი **ფერნანდო ტორესსა** და **დავიდ ვილიას** აკვირდება. ეტოო: *"ლივერპულში" ყველაზე მეტად გუნდურ სულისკვეთებას ვაფასებ და კიდევ ფანებს. მგონი, "ენფილდზე" ჩატარებული მატჩების უმრავლესობას ისინი იგებენ. მათ უდიდესი ძალა აქვთ. არ ვიცი, რა მოხდება მომდევნო ორ წელიწადში. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. "ბარსელონიდან" წასვლაზე ჯერ არ ვფიქრობ. თუ ოდესმე პრემიერლიგას მივაშურებ, ამის შესახებ ჯერ მე გეტყვით და მხოლოდ ამის შემდეგ დაწერენ გაზეთებში."*

ფორვარდს "ბარსელონის" მთავარ მწვრთნელ **ფრანკ რიიკაარდთან** ჰქონდა უთანხმოება. ესპანეთის ჩემპიონატის პირველ წრეში ასეთი ინციდენტიც მოხდა: სანტანდერის "რასინგთან" მატჩში ეტოომ შეცვლაზე თამაში იუკადრისა. მერე თანაგუნდელ **რონალდინიოსაც** დაუპირისპირდა, თუმცა კონფლიქტებს მალე დაესვა წერტილი და ცხოვრება ჩვეული რიტმით გაგრძელდა. სამუელი ამბობს: *"ლივერპულიდან" არავინ შემხმიანებია. ასეთი საკითხები ჩემს დონეზე არ წყდება. ბოლო წლებში ინგლისური ფეხბურთი ძალიან შეიცვალა. ზოგიერთი იქაური კლუბი ოცნების გუნდს მაგონებს."*

## ფიფას ახალი დირექტივა

ფიფამ ზღვის დონიდან 8 200 ფუტზე მაღლა მატჩების ჩატარება აკრძალა. მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ სამედიცინო კომისიის დასკვნით იხელმძღვანელა. მასში დასაბუთებული იყო, რომ დიდ სიმაღლეზე ფეხბურთის თამაში სპორტსმენებისათვის ძალიან სარისკოა. ეს გადაწყვეტილება რამდენიმე ლათინოამერიკული ქვეყნის უკმაყოფილებას გამოიწვევს. ასე მაგალითად, ბოლივიის დედაქალაქი ლა პასი ზღვის დონიდან 11 810 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს და იქ თამაში ყოველთვის განსაკუთრებულ სირთულეებს უკავშირდება. იყო ასეთი შემთხვევაც: წლის დასაწყისში ბრაზილიურმა "ფლამენგომ" კატეგორიულად განაცხადა, რომ ბოლივიურ "რეალ პოტოსთან" სტუმრად ალარასოდეს ითამაშებდა. მატჩი 13 120 ფუტის სიმაღლეზე გაიმართა. "ფლამენგოს" ხელმძღვანელობამ ფიფას აუწყა, რომ მის რამდენიმე მოთამაშეს სული შეეხუთა და მოსასულიერებლად ჟანგბადის ბალონები დასჭირდა. ბოლივიის გარდა, ალპინისტურ სიმაღლეზე, 9 840 ფუტზე, რამდენიმე სტადიონი აქვს პერუსაც.

## ტოტენჰემმა გიგზი მოიკითხა

"ტოტენჰემის" თავკაცმა **მარტინ იოლმა** გადაწყვიტა, ახალგაზრდულ შემადგენლობას გამოცდილი ვარსკვლავი დაახმაროს. მან **რაიან გიგზი** ამოიღო მიზანში და "მანჩესტერთან" მოლაპარაკების დასაწყებად გაემზადა. "სანის" ცნობით, კლუბებმა ეს საკითხი იანვარშიც განიხილეს. მაშინ **სერ ალექს ფერგიუსონმა** გიგზის გაშვებაზე უარი თქვა. მწვრთნელი რაიანთან თანამშრომლობას მომავალ სეზონშიც აპირებს. უელსელი ვარსკვლავი "იუნაიტედში" 1990 წლიდან ასპარეზობს და 504 მატჩში 98 გოლი აქვს გატანილი. მანჩესტერელთა მაისურით სარეკორდოდ ბევრი შეხვედრა **სერ ბობი ჩარლტონმა** ჩაატარა – 606 მატჩი და 199 გოლი.

## ერაყი ბრაზილიელს ჩააბარეს

ერაყის ნაკრების მწვრთნელად ბრაზილიელი **ჟორვან ვიეირა** დაინიშნა. ერაყული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი მიღწევა 1986 წლის მუნდიალზე გასვლაა. მაშინ გუნდს ბრაზილიელები ავარჯიშებდნენ. ასე რომ, ამ ქვეყნის წარმომადგენლის მიწვევა ძველი დიდების აღდგენის სურვილითაა ნაკარნახევი. ვიეირამ ჯერჯერობით მხოლოდ ორთვიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ის გუნდს დასავლეთი აზიის თასისა და აზიის თასის გათამაშებებზე გაიყვანს. მომავალ თანამშრომლობასაც მხოლოდ ამის შემდეგ მოეფინება ნათელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

# აგორდება ახალი სკანდალი?

## სიენასა და რეჯინაში უცნაური ამბები მოხდაო...

სერია A დასრულდა და შესაძლოა, მალე ახალ სკანდალს დაედოს საფუძველი. ბოლო ტურში მართლაც უცნაური შედეგები დაფიქსირდა. გაიმარჯვა ყველა იმ გუნდმა, ვისაც მოგება სჭირდებოდა. პრინციპში, იტალიაში ყოველთვის ასე ხდებოდა და ეს არც არავის უნდა უკვირდეს. მაგრამ როცა "განწმენდაზეა" ლაპარაკი, ალბათ, ასეთ თამაშებს ახლა გაათმაგებული ყურადღებით მოეკიდებიან. ამჯერად, თემა "კიევოს" ნახევარმცველმა **ფრანჩესკო სემიოლიმ** გაახმაურა. კვირას, "კატანიამ" "კიევო" ნეიტრალურ მოედანზე დაამარცხა (2:0) და სერია A-ში დარჩა. ვერონელები კი უმაღლეს დივიზიონს დაემშვიდობნენ. აი, რა თქვა სემიოლიმ:

*"ამ სეზონის წინ, ყველა სუფთა ფეხბურთზე ვლაპარაკობდით, გამომდინარე იქედან, რაც გასულ ზაფხულს მოხდა. მაშინ, ყველაფერი მოჯისა და "მოჯოპოლის" დავაბრალეთ. თითქოს, ვილაცებმა ამით ტვირთი მოიცილეს და "იუვეს" გენერალური მენეჯერი განტევების ვაცად აქციეს. მე არ ვამართლებ მას, მაგრამ ახლა ვხედავთ, რომ მანერები არ შეცვლილა, თითქმის ყველაფერი ძველებურად დარჩა".*

ის, რომ იტალიურ ფეხბურთში ბევრი არაფერი შეცვლილა, ამას მარტო სემიოლი არ ამბობს. მატჩის შემდეგ, მოთამაშეს კვერი დაუკრა "კატანიის" გენერალურმა მენეჯერმა **პიეტრო ლო მონაკომაც**. ფუნქციონერი ჯერ იმითაა უკმაყოფილო, რომ გადამწყვეტი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე გაიმართა, და ეს მაშინ, როცა ერთი თვის წინათ "კატანიას" საკუთარ არენაზე თამაშის უფლება დართეს. მეორე კი ისაა, რომ სიენასა და რეჯოკალაბრიაში საეჭვო ამბები მოხდა:

*"ძალიან ბევრი უცნაურობა დავინახე ბოლო ტურში, იმის წინაც, "ემპოლი"-"რეჯინის" მატჩში. ის, რაც სიენასა და რეჯოკალაბრიაში მოხდა, სერიოზული ყურადღების ღირსია. ახლა რომ ვუფიქრდები, "კიევოს" ბედი, შეიძლება, ჩვენც გაგვეზიარებინა. "კიევო" კი ნამდვილად შემეცოდა. ბოლო ხანებში ამ გუნდმა ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისთვის, მაგრამ... ეჭვი მაქვს, ვილაცამ სპექტაკლები დადგა".*

ვერ გეტყვით, დაინტერესდება თუ არა იტალიის პროკურატურა ბოლო ტურის მატჩებით, მაგრამ ფაქტია და ვეთანხმებით ბატონ ლო მონაკოს, რომ საქმეში გარკვევა აუცილებელია. ვინც "სიენა"-"ლაციოს" მატჩი ნახა, ვფიქრობთ, მსგავსი ეჭვები აუცილებლად გაუჩნდებოდა. ბოლოს კი, "კატანიის" გენერალურმა მენეჯერმა დააყოლა, რომ ამ დღეებში პოსტს დატოვებს. მანვე, თავისებური გამართლება მოუძებნა მწვრთნელ **პასკუალე მარინოს** გადადგომასაც:

*"ჩემი აზრით, მან სწორი ნაბიჯი გადადგა. ახლა, "კატანიას" სჭირდება "მშიერი" მწვრთნელი, რომელსაც მუშაობისთვის გაცილებით მეტი მოტივაცია ექნება".*



კიევო განირეს?

იუვენტუსი

# ლიპი, და რაც შეიძლება სწრაფად!

"იუვენტუსი" აღარ მალავს, რომ ვაკანტურ სამწვრთნელო სკამზე მთავარი კანდიდატურა **მარჩელო ლიპია**. ამის თაობაზე, გუშინ "ბებერი ქალბატონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჟან-კლოდ ბლანმა** ისაუბრა. აი, რა თქვა მან სპეციალურ პრესკონფერენციაზე:

*"ვადასტურებთ, რომ ლიპი გვინდა, თან გვინდა, რაც შეიძლება სწრაფად და ნებისმიერ როლში. "იუვენტუსს" სჭირდება არა მარტო მწვრთნელი, არამედ მწვრთნელი-ლიდერი და ლიპი სწორედ ეს ფიგურაა. ჩვენ ველარ მოვიცდით. უკვე ვიწყებთ მასზე მუშაობას, რათა დროულად დავიყოლიოთ და ერთად შევუდგეთ სამომავლო პროექტის შემუშავებას. მაგრამ თუ ის არ ისურვებს სამწვრთნელო საქმიანობის განახლებას, სხვა გზას ავირჩევთ. ამ მომენტისთვის, ნამდვილად არ ვარ მზად, გითხრათ, თუ ვინ შეიძლება იყოს ლიპის ალტერნატივა. თუმცა ერთი რამ დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ "იუვენტუსს" არ შეეშინდება, ვაკანტური პოსტი რომელიმე ახალგაზრდა მწვრთნელს ჩააბაროს".*

...ეს ახალგაზრდა კი, შეიძლება, **ანტონიო კონტე** იყოს, ან სულაც **ჯანლუკა ვიალი**. ბოლოს, ბლანმა დეშამის გადადგომაზეც გააკეთა კომენტარი: *"ეს გარდაუვალი იყო. დეშამს სურდა, სატრანსფერო ოპერაციებში ყოფილიყო ჩართული, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ამ საქმით კლუბში გენერალური მენეჯერია დაკავებული. ჩვენ მას 2010 წლამდე შევთავაზეთ კონტრაქტი, მაგრამ ეტყობა, ამისთვის მზად არ აღმოჩნდა".*



ტრანსფერი

# ბაშთურქი შტუტგარტში

## ილდირაიმ შვაბებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა

გერმანიის თასის ფინალში დამარცხების შემდეგ "შტუტგარტმა" მორიგი ტრანსფერი სრულყო. გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ "ჰერტას" თურქი ფლეიმეიქერი **ილდირაი ბაშთურქი** მომავალი სეზონიდან შვაბენლანდურ კლუბში ითამაშებს. 28 წლის ნახევარმცველი გერმანიის ჩემპიონმა უფასოდ გადაიბირა, რადგან ილდირაის ბერლინურ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი გახდა. ბაშთურქმა "შტუტგარტთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ორივე მხარის სურვილის შემთხვევაში, კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაგრძელდება. ამრიგად, "ნიურნბერგის" მეკარე **რაფაელ შეფერისა** და "ჰანზას" მცველ **გლედსონის** შემდეგ, ილდირაი შვაბთა რიგით მესამე ახალწვეულია.

*"ეს ის ფეხბურთელია, რომლის შეძენაც ჯერ კიდევ ზამთარში გვინდოდა. დარწმუნებული ვარ, რომ ბაშთურქი ჩემს გუნდში თავის ადგილს მალე იპოვნის,"* - აცხადებს "შტუტგარტის" მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე**. პირველი ნიშანი იმისა, რომ შვაბები თურქზე უდიდეს იმედებს ამყარებენ, გახლავთ ის, რომ ბაშთურქი VFB-ში მე-10 ნომრით ითამაშებს.

ილდირაის, რომელსაც ბუნდესლიგაში 218, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში კი 40 მატჩი აქვს ჩატარებული, შვაბების გარდა დორტმუნდის "ბორუსიაც" ეპატიჟებოდა, მაგრამ ტანმორჩილმა დრიბლიორმა არჩევანი "შტუტგარტის" სასარგებლოდ გააკეთა. მთავარი მიზეზი ისაა, რომ შვაბები ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, BVB კი ევროტურნირების მიღმაა დარჩენილი. *"მიხარია, რომ ჩვენთან გადმოვიდა. ბაშთურქი ის ფეხბურთელია, რომელიც "შტუტგარტს" ძალიან გააძლიერებს. ასეთი დონის ფეხბურთელი განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგისთვის გვჭირდებოდა,"* - ამბობს მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი**.

შვაბებს ახლა ერთი მაღალი დონის ფორვარდის ყიდვა სურთ. ოღონდ, ეს იმაზეა დამოკიდებული, მოახერხებენ თუ არა **იონ დალ ტომასონის** და **დანიელ ლიუბოჟას** სარფიანად გაყიდვას. როგორც იცით, ეს ფეხბურთელები განათხოვრებულები არიან, მაგრამ ცნობილია, რომ "შტუტგარტი" არცერთი მათგანის შერაჩუნებას არ აპირებს. ტომასონი და ლიუბოჟა ტრანსფერზე არიან დაყენებული.

### პაინცე რეალში 5 მილიონად

**გაბრიელ პაინცე** "რეალში" გადასვლას აპირებს. "სანის" ცნობით, არგენტინელი მცველი მადრიდში გაფრინდა, რათა მოლაპარაკებები გამართოს. სამეფო კლუბი 34 წლის **რობერტო კარლოსის** მემკვიდრეს ეძებს. "სანტიაგო ბერნაბეუზე" გატარებული 10 სეზონის შემდეგ ბრაზილიელი ნასასვლელად ემზადება. პაინცემ თქვა, რომ სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, "იუნაიტედი" უპრობლემოდ გაყიდის. "სანის" ვარაუდით, "რეალი" 5 მილიონ გირვანქას გაამზადებს. 29 წლის პაინცე "იუნაიტედში" 2004 წლის ზაფხულში 6.9 მილიონად გადავიდა. მას "იუვენტუსიც" აკვირდებოდა, მაგრამ ფეხბურთელმა "რეალს" მიანიჭა უპირატესობა.

### რომარიო მიდის

**რომარიო** ფეხბურთიდან წასვლას ბრაზილიის ჩემპიონატის დასრულებამდე აპირებს. სამი თვის წინ "ვასკო და გამის" თავდამსხმელს 41 წელი შეუსრულდა. მან ყველაზე სანუკვარ მიზანს უკვე მიაღწია, პროფესიულ კარიერაში მე-1 000 გოლი შეაგდო და დასვენების უფლება მოიპოვა. სტატისტიკოსებსა და მიმომხილველებს მისი მონაგარი საეჭვოდ მიაჩნიათ. საქმე ისაა, რომ რომარიოს გოლებს მხოლოდ თვითონ რომარიო ითვლიდა. ფიფა მის მიღწევას არ აღიარებს, თუმცა ფორვარდს ეს გარემოება საერთოდ არ აღელვებს. ის ამბობს, რომ კიდევ რამდენიმე თამაშს ჩაატარებს და პენსიაში გავა.



დიდიე დეშამი

სამწვრთნელო ცხოვრება

# დეშამის სიმართლე: სიმშვიდე მჭირდებოდა

## ლიონი გამოირიცხა, პერენი დანიშნულია

ერთ-ერთი ვერსიით, "იუვენტუსიდან" **დიდიე დეშამის** წასვლა "ლიონში" მის შესაძლო გადასვლას უკავშირდებოდა. მოგეხსენებათ, საფრანგეთის ჩემპიონიც უმწვრთნელოდ დარჩა. **ჟერარ ულიემ** კლუბის მესვეურებთან უთანხმოების გამო დატოვა თანამდებობა, რომლის დაკავებასაც დეშამს გაცილებით ადრე უწინასწარმეტყველებდნენ. ცალკეული იტალიური სააგენტოების ცნობით, დეშამთან ერთად "ლიონში", შეიძლება, **დავიდ ტრეზეგეც** გადასულიყო (ტრეზეგეს ვარიანტი არც ახლაა გამორიცხული). თუმცა დეშამი ამტკიცებს, რომ სამშობლოდან მას არავინ შეხმიანებია. ასეც არის, რადგან გუშინ ოფიციალურად გაცხადდა, რომ "ლიონის" მთავარ მწვრთნელად "სოშოს" დამრიგებელი, ადრე კი "მარსელსა" და "პორტსმუთში" მომუშავე **ალენ პერენი** ინიშნება. შეგახსენებთ, რომ "სოშოს" მან წელს საფრანგეთის თასი მოაგებინა...

...მაგრამ დავუბრუნდეთ დიდიეს. ის იძულებული გახდა, ჟურნალისტთა ინტერესი დაეკმაყოფილებინა და წარმატებული სეზონის ფონზე მოულოდნელი გადადგომის ჭეშმარიტ მიზეზებზე ესაუბრა. აქვე, ისიც ვთქვათ, რომ "იუვენტუსის" მოთამაშეთა დიდი და ანგარიშგასაწევი ნაწილი მწვრთნელის გადაწყვეტილებით ნაწყენი დარჩა...

*"ძალიან მძიმე სეზონი გვქონდა, მიუხედავად იმ სიხარულისა, რაც სერია A-ში დაბრუნებამ მოგვიტანა, ფეხბურთელებსაც და სამწვრთნელო შტაბსაც,* - აცხადებს მწვრთნელი "რადიო მონტე კარლოსთან" ინტერვიუში, *- სეზონი მძიმე იყო პირადად ჩემთვისაც. შემდეგ, გავაანალიზე სიტუაცია და გადავწყვიტე, ოთხშაბათს საღამოს გადადგომის განცხადება დამეწერა".*

გავიხსენოთ, რომ დეშამის გადადგომის თაობაზე არაოფიციალური ინფორმაცია პარასკევს გავრცელდა, რაც "იუვენტუსმა", კატეგორიული უარყოფის შემდეგ, მხოლოდ შაბათ დილით დაადასტურა. გავაგრძელოთ:

*"საქმე მარტო ის არ იყო, რომ ყველა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა მსურდა. აქ რამდენიმე განსხვავებული ფაქტორია. ალბათ, დამეთანხმებით, რომ სრულიად სამართლიანად მინდოდა გამეგო, თუ რას აპირებდა კლუბი, რა გეგმები ჰქონდა მომავალი სეზონისთვის, რომელიც, ყველა გათვლით, კიდევ უფრო რთული იქნებოდა და ამაზე არავინ დავობს. ვერ იმას უარყოფს ვინმე, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და მომავალ ჩემპიონატთან დაკავშირებით, ფანების მოლოდინი საფუძვლიანად ოპტიმისტურია. მწვრთნელს მშვიდ ატმოსფეროში მუშაობა სჭირდება, სჭირდება, რათა სიტუაცია დამშვიდებულმა გააანალიზოს. ბედნიერი ვარ, რომ მისია შევასრულე და "იუვენტუსი" ელიტაში დავაბრუნე. ვიგრძენი, რომ კლუბს იმ ვალის ნაწილი მაინც გავუსტუმრე, რაც მან ფეხბურთელობის დროს მომცა. არ მინდოდა, სხვა კლუბებთან საუბარი, რადგან "იუვესთან" კონტრაქტი მაკავშირებდა. უბრალოდ, ამას კლუბისადმი ელემენტარული პატივისცემის ნიშნად ვაკეთებდი. ჩემი ამბიცია იყო, რომ "იუვენტუსთან" ერთად უმაღლეს დივიზიონში მემუშავა... ახლა თავისუფალი ვარ და ვნახოთ, რა წინადადებები წამოვა უახლოეს დღეებში ან კვირებში. მსურს, ისეთ გუნდში ვიმუშაო, რომელსაც დიდი მიზნები ექნება, მაგრამ არ დაველაპარაკები იმ კლუბებს, რომელთაც ახლა მწვრთნელები ჰყავთ. ასეთია ჩემი პრინციპი".*

არ ვიცით, რამდენად სრულია "რადიო მონტე კარლოს" მიერ გავრცელებული მასალა, მაგრამ ფაქტია, რომ "გაძეტა დელლო სპორტისთვის" მიცემულ კომენტაში დეშამი პირდაპირ ამბობს:

*"ალესიო სეკო ყველანაირად ცდილობდა, ჩემ ზურგსუკან ემოქმედა და საქმის კურსში არ ჩავეყენებინე. მე კი მინდოდა, მცოდნოდა, ვისთან აწარმოებდა კლუბი მოლაპარაკებებს, რა სატრანსფერო სტრატეგიით ვიმოქმედებით მომავალი სეზონისთვის... სწორედ ეს იყო ჩვენ შორის უთანხმოების ძირითადი მიზეზი. ვიგრძენი, რომ ჩვენ ერთად ველარ ვიმუშავებდით".*

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა **ალესიო სეკო** "იუვენტუსის" სპორტული დირექტორია. რატომღაც ბევრი მიანიშნებს იმაზე, რომ მას **ლუჩანო მოჯის** სკოლა აქვს გავლილი - სეკო ლუჩანონემ დააფრთიანაო. აქ კი გვახსენდება "იუვენტუსის" ყოფილი მაღალჩინოსნის **მარიო კაპობიანკოს** აღსარება: *"კლუბის მაღალ ეშელონებში ბევრი არაფერი შეცვლილა, შეიცვალნენ მხოლოდ ფიგურები, მენტალიტეტი კი იგივე დარჩა. "იუვე" დღესაც მოჯის ფილოსოფიით მუშაობს".*



ალესიო სეკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# რუდი უდრის რონის

## თუმცა ვან ნისტელროისგან გაცილებით მეტს ითხოვენ


რუუდ ვან ნისტელროი

"რეალი" ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის დასაბრუნებლად გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება. გულშემატკივრები დარწმუნებულები არიან, რომ ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარი როლი **რუუდ ვან ნისტელროიმ** უნდა შეასრულოს. ჰოლანდიელმა ფორვარდმა უკვე დაამტკიცა, რომ მის სანაცვლოდ სოლიდური თანხის გადახდა წარმატებული კაპიტალდაბანდება იყო. მარტივმა სტატისტიკურმა ანალიზმა ცხადჰყო, რომ ვან ნისტელროიმ **რონალდოს** იმდროინდელი მაჩვენებელი გაიმეორა, რომელიც ბრაზილიელმა ფორვარდმა მადრიდული კარიერის მწვერვალზე ყოფნისას აჩვენა. გასულ ტურში "დეპორტივოს" კარის დალაშქვრის შემდეგ ჰოლანდიელს ყველა ტურნირის ჯამში 31 გოლი დაუგროვდა. 2003-04 წლების სეზონში რონალდომ ბურთების ამ რაოდენობას 48 მატჩში მოუყარა თავი. ვან ნისტელროის კი 45 შეხვედრა ეყო. ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ სამეფო კლუბის ისტორიაში გუნდის საუკეთესო ბომბარდირის სტატუსის მოპოვება მხოლოდ ორმა ადამიანმა შეძლო, ისინი **დი სტეფანო** და **უგო სანჩესი** იყვნენ. ვფიქრობთ, ამით ბევრი რამ არის ნათქვამი. რუუდს მართლაც უმნიშვნელოვანესი მისია აქვს შესასრულებელი...

ინჩასებისთვის მეტისმეტად სასიხარულოა, რომ ვან ნისტელროი გადამწყვეტ ორ თამაშს უაღრესად ოპტიმისტურად ხვდება. ჰოლანდიელი 100 პროცენტით არის დარწმუნებული, რომ მის გუნდს ჩემპიონობას ველარავინ შეეცილება. მართალია, "ბარსელონის" "ხეტაფესთან" მატჩში გამარჯვებამ ხასიათი ოდნავ გაუფუჭა, თუმცა უმალ მიხვდა, რომ მთავარი არა კატალონიელთა მიერ ნაჩვენები შედეგები, არამედ თავად სამეფო კლუბის შეხვედრებია: *"რა სულელი ვიყავი, მოვიწყინე, რომ "ხეტაფემ" "ბარსელონას" ქულები ვერ დააკარგვინა, თუმცა იმავე წამს ერთი შესანიშნავი ფაქტი გავაცნობიერე - "რეალის" ბედი მხოლოდ და მხოლოდ, თავად "რეალზეა" დამოკიდებული. ჩემი აზრით, მომდევნო ტურში სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და დაძაბული თამაში გველის. ბუნებრივია, მოგების გარდა არაფერზე ვფიქრობთ. პირადად მე, მზად ვარ, ამ მიზნისთვის "ლა რომარედაზე" ძვლები დავდო. გეფიცებით, არ ვაჭარბებ. ბოლო ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებ და იმდენს შევძლებ, რომ თანაგუნდელებთან ერთად გულშემატკივრები გავახარო. მჯერა, "სარაგოსას" გოლს გავუტან."*

რუუდს ასეთი ენთუზიაზმით **მარკო ვან ბასტენის** სატელეფონო ზარზეც არ უსაუბრია. არადა, ჰოლანდიის ეროვნული გუნდის თავკაცმა "რეალის" ვარსკვლავს მრავალთვიანი პაუზის შემდეგ პირველად უხმო. ისე კი, სანაკრებო პაუზა **ფაბიო კაპელოს** უდიდეს თავისტკივილად ექცა. თავად განსაჯეთ, "სარაგოსასთან" ფინალის ტოლფასი დაპირისპირების წინ იტალიელ სპეციალისტს ერთბაშად 11 ფეხბურთელი გამოეცალა ხელიდან. აქედან რვა ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა. სხვათა შორის, მადრიდული გიგანტი ერთ ფეხბურთელს ახალგაზრდულ ნაკრებში იმისთვის მიავლენს, რომ ის საქართველოს დაუპირისპირდეს. ალბათ მიხვდით, საქმე **ტორესს** ეხება. ახალგაზრდა მცველის გარდა, საკუთარ ქვეყნებს **იკერ კასილიასი, სერხიო რამოსი, მარსელო, რობინიო, ბექჰემი, გახო, კანავარო** და **ვან ნისტელროი** დაეხმარებიან. კაპელოს ყველაზე მეტად სწორედ ამ ბიჭების მივლინება ადარდებს. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, სამეფო კლუბის ვარსკვლავები "სიუდად რეალ მადრიდში" მომავალი კვირის ხუთშაბათამდე ვერ დაბრუნდებიან. შაბათს კი "ლა რომარედაზე" მართლაც გადამწყვეტი პაექრობის გამართვა მოუწევთ. როგორც ხედავთ, სინიორ კაპელოს სრულფასოვანი ვარჯიშის ჩასატარებლად, ფაქტობრივად, ერთადერთი დღე ექნება. გასაკვირი არ არის, რომ სახელგანთქმული მწვრთნელი ამ გარემოების გამო ძალიან ღელავს: *"მთელ დანაზოგს გადავიხდიდი იმისთვის, რომ ჩემი ბიჭები მადრიდში დამეტოვებინა, მაგრამ ეს შეუძლებელია. სანაკრებო ბატალიებმა შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეგვიქმნას. გამორიცხული არ არის, ვინმემ ტრავმა მიიღოს. გარდა ამისა, უკიდურესად ცუდი და პრობლემატურია, რომ თამაშის მოსამზადებლად დრო თითქმის არ გვექნება."*


ფრანჩესკო ტოტი

ევრობომბარდირები ოქროს ბუცისთვის

# ვან ნისტელროი თუ მაინც ტოტი?

...სწორედ ამათგან ერთ-ერთი გახდება 2006/07 წლების სეზონის "ოქროს ბუცის" მფლობელი. ამ მომენტისთვის, **ფრანჩესკო ტოტი** 6 ქულით უსწრებს "რეალის" ფორვარდ **რუუდ ვან ნისტელროის**, რომელსაც კიდევ 2 მატჩი აქვს მარაგში, რათა "რომას" კაპიტანს გაუსწროს. დარჩენილ შეხვედრებში ჰოლანდიელმა 4 გოლი უნდა გაიტანოს, რაც მისი და "რეალის" სადღეისო ფორმიდან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია. ტოტიმ კი სეზონი დაასრულა. მის აქტივში 26 გოლია. სხვათა შორის, მასსა და ვან ნისტელროიზე გაცილებით მეტი აქვს გატანილი "ჰეერენვეენის" ფორვარდ **აფონშუ ალვეშს**, თანაც გაცილებით ნაკლებ მატჩში, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ჰოლანდიის ჩემპიონატი იტალიურსა და ესპანურზე (ორივეს კოეფიციენტი 2.0-ია) დაბალრეიტინგულია (კოეფიციენტი 1.5), მას მაქსიმუმ "ვერცხლის ბუცის" იმედი უნდა ჰქონდეს. ბოლო უქმეებამდე, ევრობომბარდირთა სიას სათავეში სწორედ ალვეში ედგა, მაგრამ ტოტიმ, კვირას, სერია A-ს ბოლო ტურში, 2 გოლი გაუტანა "მესინას" და პირველ პოზიციაზე მოკალათდა.

რაც შეეხება ვან ნისტელროის, ამ მომენტისთვის მას 23 გოლი აქვს გატანილი, რაც, გამრავლებული კოეფიციენტზე, 46 ქულაა. ვნახოთ, რას იზამს "რეალის" თავდამსხმელი უკანასკნელ ორ ტურში. თუ "ოქროს ბუცს" ტოტი მოიგებს, ის იქნება მხოლოდ მეორე იტალიელი, რომელსაც ეს პატივი ხვდება წილად. მაგრამ ეს იქნება აგრეთვე ზედიზედ მეორე სეზონი, რომელიც გამარჯვებას იტალიელს მოუტანს. შარშან, "ოქრო ბუცი" მიიღო **ლუკა ტონიმ**, რომელმაც "ფიორენტინის" მაისურით 31 გოლი გაიტანა.

ახლა კი ვნახოთ, როგორ გამოიყურება ბომბარდირთა პირველი ოცეული.

| ადგ. | ფეხბურთელი | კლუბი/ქვეყანა | გოლები | კოეფ. | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფრანჩესკო ტოტი* | რომა (იტალია) | 26 | 2 | 52 |
| 2 | აფონშუ ალვეში* | ჰეერენვეენი (ჰოლანდია) | 34 | 1.5 | 51 |
| 3 | რუუდ ვან ნისტელროი | რეალი (ესპანეთი) | 23 | 2 | 46 |
| 4 | ფრედერიკ კანუტე | სევილია (ესპანეთი) | 21 | 2 | 42 |
| 5 | დიდიე დროგბა* | ჩელსი (ინგლისი) | 20 | 2 | 40 |
| | თეოფანის გეკასი* | ბოხუმი (გერმანია) | 20 | 2 | 40 |
| | დიეგო მილიტო | სარაგოსა (ესპანეთი) | 20 | 2 | 40 |
| | რონალდინიო | ბარსელონა (ესპანეთი) | 20 | 2 | 40 |
| | კრისტიანო ლუკარელი | ლივორნო (იტალია) | 20 | 2 | 40 |
| 10 | ცვეტან გენკოვი | ლოკომოტ. სოფია (ბულგარეთი) | 26 | 1.5 | 39 |
| 11 | კრისტიან რიგანო | მესინა (იტალია) | 19 | 2 | 38 |
| 12 | ტოდორ კოლევი | სლავია (ბულგარეთი) | 25 | 1.5 | 37.5 |
| 13 | როლანდო ბიანკი* | რეჯინა (იტალია) | 18 | 2 | 36 |
| | ბენი მაკკარტი* | ბლექბერნი (ინგლისი) | 18 | 2 | 36 |
| 15 | ედუარდო და სილვა* | დინამო (ხორვატია) | 34 | 1 | 34 |
| | ნიკოლა ამორუზო* | რეჯინა (იტალია) | 17 | 2 | 34 |
| | კრისტიანო რონალდო* | მანჩესტერი (ინგლისი) | 17 | 2 | 34 |
| | ჯონათან სპინეზი* | კატანია (იტალია) | 17 | 2 | 34 |
| | დიეგო ფორლანი | ვილიარეალი (ესპანეთი) | 17 | 2 | 34 |
| 20 | ბლეზ ნ'კუფო* | ტვენტე (ჰოლანდია) | 22 | 1.5 | 33 |
| | ალექსანდერ ციკლერი* | ზალცბურგი (ავსტრია) | 22 | 1.5 | 33 |
| | დენი კუვერმანსი* | ალკმაარი (ჰოლანდია) | 22 | 1.5 | 33 |

*შენიშვნა: * - აღნიშნულ ქვეყნებში ჩემპიონატები უკვე დასრულდა.*

ფიორენტინა

# ტონის ნება დართეს...

## ფიორენტინა: წადი! ბაიერნი: მოდი!

ორი დღის წინათ, "ფიორენტინის" მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** სპეციალურად მიმართა ტიფოზებს თხოვნით, რათა **ლუკა ტონის** ფლორენციული ღვაწლი სათანადოდ დაფასებული ყო. ამით ნათელი გახდა, რომ ბომბარდირი "ფიორენტინას" ამ დღეებში დაემშვიდობებოდა. ასეც მოხდა. კლუბმა უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ თანახმაა, მწვანე შუქი აუნთოს ფორვარდის სურვილს, დატოვოს ფლორენცია და სხვა თავშესაფარი ეძებოს. გუშინ, ტონი "ვიოლას" პრეზიდენტ **ანდრეა დელა ვალეს** შეხვდა, რის შემდეგაც ბოსმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

*"ლუკა დიდი ჩემპიონი, დიდი ადამიანია და ის იმსახურებს იმას, რომ პატივისცემით მოვეპყრათ მის გადაწყვეტილებას. მას ასე უნდოდა, სხვა რა გზაა. რა თქმა უნდა, გული გვწყდება, ჩვენ გვყავს მუტუ და პაცინი. მათი დიდი იმედიც გვაქვს. ტონის კი მადლობა უნდა ვუთხრათ".*

ლუკამ "არტემიო ფრანკიზე" ორი სეზონი გაატარა და 49 გოლი გაიტანა. განსაკუთრებით წარმატებული იყო წინა ჩემპიონატი, რომელშიც მან 31 ბურთი შეაგდო და "ოქროს ბუცის" მფლობელიც გახდა. ტონი "პალერმოდან" ფლორენციაში 2005 წელს გადავიდა. და სად გადავა ფლორენციიდან?

*"ჩვენ ტონის ყიდვა გვინდა და ამას არც ვმალავთ. ის გოლების გარანტიაა, აქვს მტკიცე ხასიათი, რომელიც გუნდს ყოველთვის ეხმარება. ლუკა განსაკუთრებული ტიპია. დიდი იმედი მაქვს, რომ მას მიუნხენში ჩამოვიყვანთ"* - აცხადებს "ბაიერნის" პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი**.


ლუკა ტონი

ჩელსი

# ლონდონური რომანი დასრულდა

## აბრამოვიჩმა საფულე დახურა, არისტოკრატებმა საკუთარ თავს თვითონ უნდა მიხედონ...

**რომან აბრამოვიჩი** ფულს ჰაერზე აღარ გაისვრის. რუსმა ოლიგარქმა "ჩელსის" დირექტორებს განუცხადა, რომ კლუბმა საკუთარ თავს თვითონ უნდა მიხედოს, ისე, როგორც სოლიდურ ბიზნეს-კომპანიას შეეფერება. "სანის" ცნობით, აბრამოვიჩი არსად წასვლას არ აპირებს. კლუბი კვლავ მის საკუთრებაში დარჩება, თუმცა "ჩელსის" სხვები მიხედავენ. რუსმა ოლიგარქმა საგანგებო თათბირი ორშაბათს გამართა. შეხვედრას დაესწრნენ თავმჯდომარე **ბრუს ბაკი**, ვიცე-თავმჯდომარე **იუჯინ ტენენბაუმი** და აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი**. **ჟოზე მოურინიო** მიწვეული არ ყოფილა. აბრამოვიჩის ახალმა სტრატეგიამ, შეიძლება, **ფრენკ ლემპარდისა** და **ჯონ ტერის** აზარგება გამოიწვიოს.

ინგლისელ ვარსკვლავებს ახალი კონტრაქტის პირობები არ აკმაყოფილებთ. აბრამოვიჩი ხელფასის მაქსიმალური ზღვარის განსაზღვრას ითხოვს. მას უცნაურად ეჩვენება, რომ ლემპარდს კვირაში 118 ათასი გირვანქა ეცოტავება და მეტს ითხოვს. ამ ვითარებაში "ჩელსისთვის" საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ფრენკის ტრანსფერზე დაყენება, რათა მეტ-ნაკლებად სოლიდური კომპენსაცია მიიღოს, თუმცა ჯერჯერობით, დაინტერესებულ კლუბებს ოფიციალური შეთავაზებები არ გაუკეთებიათ.

ლემპარდის ამბავს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით. იქამდე აბრამოვიჩის ახალ სტრატეგიაზე ვისაუბროთ. "ჩელსის", სხვა კლუბების მსგავსად, თვითონვე მოუწევს საკუთარი სატრანსფერო ბიუჯეტის შევსება. მას გარედან ათეულობით მილიონი გირვანქა აღარ ჩაერიცხება. აბრამოვიჩი "ჩელსის" თამაშებს ძველებური ინტენსივობით აღარ დაესწრება და უფრო მეტ დროს გერლფრენდ **დარია ჟუკოვასთან** ერთად გაატარებს. რომან არკადიევიჩს საკლუბო საქმეების გამო მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავენ.

ამ ზაფხულს "ჩელსი" სამ ფეხბურთელს დაიმატებს. კენიონმა ეს განცხადება ორიოდე კვირის წინათ გააკეთა. სამ ტრანსფერში, შეიძლება, ერთი პენსიც კი არ დაიხარჯოს. რატომ? ახლავე აგიხსნით - "არისტოკრატებმა" უკვე გაუფორმეს კონტრაქტი "რედინგის" ნახევარმცველ **სტივ სიდველს**. დღედღეზე ლონდონში გადავა ეინდჰოვენელი მცველი **ალექსი**. "სტემფორდ ბრიჯზე" "ბაიერნის" თავდამსხმელ **კლაუდიო პისაროსაც** ელიან. ალექსი ჰოლანდიაში იჯარით თამაშობდა. ის "ჩელსის" საკუთრებაა. შესაბამისად, არც არაფერი ღირს. სიდველი და პისარო კი თავისუფალი აგენტები არიან და ლონდონელები მათაც უკომპენსაციოდ ჩაიგდებენ ხელში. უჩვეულო ამბავია, მაგრამ ფაქტია, რომ აბრამოვიჩის გუნდი შემადგენლობას თავისუფალი აგენტებით აძლიერებს. ეს ვითარება რადიკალურად განსხვავდება წინა წლებისგან. "ჩელსიში" მისვლის პირველ წელს რუსმა ოლიგარქმა ათ ფეხბურთელში 74 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ ტრანსფერებში კი 250 მილიონი გირვანქა დახარჯა. ენთუზიაზმის განელების მიზეზი შეიძლება ესეც იყოს. მაგალითად, 2003 წელს **ერნან კრესპო** 18 მილიონ გირვანქად შეიძინეს, მაგრამ მან "ჩელსიში" მხოლოდ ორი სეზონი გაატარა. გასულ ზაფხულს თავდამსხმელი "ინტერს" ათხოვეს, თუმცა მისი ხელფასის ნახევარს, კვირაში 45 ათას გირვანქას ისევ ლონდონელები იხდიან. აღარაფერს ვამბობთ **ადრიან მუტუს, ასიერ დელ ორნოს, ხუან ვერონის, მატეა კეჟმანის, ირჟი იაროშიკისა** და **ხალიდ ბულარუზის** წარუმატებელ ტრანსფერებზე.

ახლა კი დაპირებული ინფორმაცია ლემპარდის შესახებ. გაზეთი "ასი" იუწყება, რომ "ბარსელონა" "ჩელსისთან" მოლაპარაკებების დასაწყებად მზადაა. ფრენკის კატალონიაში წასვლას დიდი ხანია წინასწარმეტყველებენ. ინგლისელი ვარსკვლავის მეგობარი გოგონა ბარსელონელია. ფრენკს არასოდეს დაუმალავს, რომ "ჩელსის" შემდეგ ყველაზე მეტად "ბარსას" ქომაგობს. ტრანსფერი არასოდეს ყოფილა ისეთი რეალური, როგორიც დღეს. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია. დაპირისპირება

# რამ გააცოფა ალბელდა?

## ვეტერანმა მცველმა ჯერ საკუთარ გულშემატკივრებს შეუტია, შემდეგ კი ოსასუნა და სოსიედადი მასხრად აიგდო



დავიდ ალბელდა ვილიარეალელი მარკოს სენას წინააღმდეგ

ამ უქმეებზე **დავიდ ალბელდას** ენა პირში არ უჩერდებოდა. "ვალენსიის" გამოცდილმა ნახევარმცველმა სრულიად უჩვეულო ამპლუით დაგვამახსოვრა თავი. ის დაუნდობელი კრიტიკოსისა და ცინიკოსის როლში მოგვევლინა. ალბელდამ ერთბაშად ორი მოულოდნელი და ხმაურიანი განცხადება გააკეთა. მოვლენები ერთმანეთში რომ არ ავურიოთ, რა თქმა უნდა, სჯობს, თანმიმდევრულად მივყვეთ...

მოგეხსენებათ, გასულ შაბათს "ლამურებმა" საშინაო შეხვედრაში "ვილიარეალთან" წააგეს და ესპანეთის ჩემპიონობის თეორიული შანსიც დაკარგეს. ბუნებრივია, "ვალენსიის" გულშემატკივრებმა ეს გარემოება ძალიან მტკივნეულად აღიქვეს. შესაძლოა, მათ გადააჭარბეს კიდეც. ინჩასებმა თავდაპირველად **კიკე სანჩეს ფლორესის** წინააღმდეგ გაილაშქრეს და მთავარი მწვრთნელის გადადგომა უხამსი შეძახილებით მოითხოვეს. ამის შემდეგ ისინი ფეხბურთელებს გადაწვდნენ, ბოლოს კი მოწინააღმდეგე გუნდი "მესტალიიდან" ტაშითა და მხურვალე ოვაციებით გააცილეს. ამ ყველაფრით გაოგნებულმა ალბელდამ სტადიონის გასასვლელთან სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა. ფეხბურთელმა საკუთარი გულშემატკივრის მიმართ წყენა და აღშფოთება არ დამალა: *"ცხოვრებაში არის ისეთი რაღაცეები, რასაც ვერასოდეს გავიგებ. მაგალითად, რატომ კლავენ უდანაშაულო ადამიანებს. ასევე გაუგებარი დარჩება, რატომ მოიქცა ჩვენი ინჩადა ამდენად სამარცხვინოდ. უბრალოდ, გაოგნებული და იმედგაცრუებული გახლავართ. ფეხბურთში არანაირი გარანტია არ არსებობს. ვინც გარანტიას გასცემს, იაფფასიანი მატყუარაა. ნუთუ, ხალხს ეს არ ესმის? ზოგჯერ მოიგებ, ზოგჯერ კი ხელმოცარული დარჩები, მაგრამ რა უბედურებაა, მოწინააღმდეგე გუნდისთვის ოვაციების მოწყობა? წარმოუდგენელია, "ვილიარეალს" მქუხარე ტაშს უკრავდნენ, ჩვენ კი დედას გვაგინებდნენ. როგორც ჩანს დაავიწყდათ, რომ ვალენსიელები ყოველ შეხვედრაში თავს ვიკლავდით. კლუბის ინტერესებს საკუთარ ჯანმრთელობაზე მაღლა ვაყენებდით და ყველაფერს ვაკეთებდით, რაც კი შეგვეძლო. ამის სანაცვლოდ, რა დავიმსახურეთ?! სხვათა შორის, მიმდინარე სეზონში სტუმრად უამრავი დიდებული მატჩი ჩაგვიტარებია. მასპინძლები პირწმინდად დაგვიმარცხებია, მაგრამ იქაური ქომაგების ტაში ერთხელაც არ დაგვიმსახურებია. ვიქნები გულწრფელი და პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩვენი ინჩადის ნაცვლად, მე მრცხვენია. ასე მხოლოდ უსუსურები და ლაჩრები იქცევიან. იმედია, განწყობა მალე შემეცვლება. ახლა კი ყველა ის მშიშარა და არაკაცი გულშემატკივარი მძულს, რომელმაც დედა გვაგინა და "ვილიარეალს" ტაში დაუკრა."*

სავარაუდოა, რომ ალბელდას ამ განცხადების შემდეგ გულშემატკივრები მას დაუფარავ აგრესიას დაუპირისპირებენ. შესაძლოა, კლუბის ხელმძღვანელობა იძულებული გახდეს, აღშფოთებული ფეხბურთელი ფულადი ჯარიმით დააცხროს. როგორც მოგახსენეთ, დავიდმა კიდევ ერთ უსიამოვნებაში გაყო თავი. "ოსასუნისა" და "სოსიედადის" საკვირაო შეხვედრის წინ ვალენსიელმა ჟურნალისტებს ასეთი რამ განუცხადა: *"პამპლონელები სანსებასტიანელებს პრიმერა დივიზიონში დარჩენაში დაეხმარებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ "ოსასუნა" "სოსიედადს" თამაშს მისცემს. ისინი ხომ მონათესავე ხალხია. ბასკებისა და ნავარელების ურთიერთობა ყველასთვის კარგადაა ცნობილი. აბსოლუტურად დარწმუნებული გახლავართ, კვირას მიგელ ანხელ ლოტინას შეგირდები სამ ქულას მოიპოვებენ. სამაგიეროდ, თუ უძლიერესთა ლიგაში ადგილს შეინარჩუნებენ, ვალს გაისად დააბრუნებენ. აზარტულ გულშემატკივრებს შეუძლიათ, ტოტალიზატორში ფსონიც დადონ. მოგება თითქმის 100 პროცენტით ექნებათ გარანტირებული. მოკლედ, ჩემი აზრით, ეს თამაში ჩაწყობილია."*

ღმერთმანი, სერიოზული ბრალდებაა, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ალბელდას პროგნოზი არ გამართლდა. ვინც პრიმერა დივიზიონის წინა ტურის მიმოხილვას გაეცნო, კარგად მოეხსენება, რომ "ოსასუნამ" ფეარ ფლეის პრინციპები არ დაარღვია და მატჩი დამაჯერებელი ანგარიშით, 2:0 მოიგო. ამის შემდეგ პამპლონელთა მთავარ მწვრთნელს, **ხოსე ანხელ სიგანდას** ყველა პირობა გაუჩნდა, რათა ალბელდასთვის საკადრისი პასუხი გაეცა: *"როცა მისი უბადრუკი სიტყვები მოვისმინე, სიბრაზისგან კინაღამ წონასწორობა დავკარგე, მაგრამ მაშინ თამაშზე ვიყავი კონცენტრირებული და ჟურნალისტებთან გასაუბრება გაუმართლებლად მივიჩნიე. ახლა კი წინ ველარაფერი დამიდგება. სენიორ დავიდ, თქვენ "გენიოსი" ყოფილხართ. კორესპონდენტებს გთხოვთ, სიტყვა გენიოსი ბრჭყალებში ჩასვათ, რადგან ალბელდა იდიოტია და არა გენიოსი. პატივცემულო დავიდ, როგორც ხედავ ჩვენი ვალი პირნათლად მოვიხადეთ. როგორც ჩანს, შენგან განსხვავებით, პროფესიონალიზმის ნაკლებობას არ განვიცდით. ახლა თავად დგახარ დილემის წინაშე. პატიოსნება თუ ძმაკაცობა?! მალე "ლევანტეს" შეხვდებით. თქვენს თანაქალაქელებსაც რთული ცხოვრება აქვთ. ჩემპიონობის შანსი უკვე დაკარგეთ, სამი ქულა არაფრად გილირთ და რაღა გაკავებთ, მიეცით თამაში მეზობლებს. ალბელდა, ლამაზო, მოდი ვნახოთ, როგორი პროფესიონალი ხარ. საზოგადოებას გაცხარებისთვის ბოდიშს მოვახსენებ, მაგრამ არ შემეძლო ეს გულისამრევი გამოხდომა უპასუხოდ დამეტოვებინა. პროფესიონალიზმი როგორ მოგვცემდა იმის უფლებას, მატჩი განზრახ დაგვეთმო? ნებისმიერ შეხვედრაში ბოლომდე ვიხარჯებით. უვიცი ხალხი კი სამარცხვინო განცხადებებით ცდილობენ ჩვენთვის ჩირქის მოცხობას."*

დავიდ ალბელდას "ოსასუნის" დამრიგებლისთვის პასუხი ჯერჯერობით, არ გაუცია. კაცმა რომ თქვას, ვალენსიელს არც არაფერი აქვს სათქმელი. მისი პროგნოზი, მხოლოდ და მხოლოდ, მარგინალური მოსაზრება აღმოჩნდა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

კონფლიქტი

# ბეტისი: გვებრძვიან!

## ანდალუსიელები ფეხბურთის ფედერაციას მათ წინააღმდეგ მიზანმიმართულ კამპანიაში ადანაშაულებენ...



ბეტისის ხელმძღვანელობას ეჭვი აქვს, რომ მათ ჩაგრავენ

"ბეტისის" მესვეურები ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის ხელმძღვანელობასთან სერიოზულ კონფლიქტში შევიდნენ. ანდალუსიური კლუბის პრეზიდენტს, **პეპე ლეონს** ეჭვი არ ეპარება, რომ ფედერაციის უმაღლესი ხელისუფალი, **ანხელ მარია ვილიარი** მის კლუბს მიზანმიმართულად ებრძვის. ეს ბრძოლა კი "ბეტისისთვის" სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქულების მოპარვაში გამოიხატება. საქმეში უკეთ გასარკვევად, უმჯობესია სენიორ ლეონის განცხადების ყველაზე საინტერესო ფრაგმენტი შემოგთავაზოთ: *"თუ ვინმეს ჰგონია, ეს ამბები შემთხვევით ხდება, ძალიან შემცდარა. დიახ, ანხელ მარია ვილიარი, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სეგუნდა დივიზიონში აღმოვჩნდეთ. ეჭვი არ მეპარება, ის და მისი ამფსონები, მსაჯებს წინასწარ არიგებენ და ავალებენ, აბსოლუტურად უსამართლოდ დაგვსაჯონ. ამასწინათ, სენიორ ვილიარმა "ბეტისის" მფლობელს, მანუელ რუის დე ლოპერას დაურეკა და უთხრა, თქვენი კლუბის ინკოგნიტო წარმომადგენლები მესტუმრნენ და ღიად დამემუქრნენო. ეს არის გაუგონარი ტყუილი. იქ არავინ მისულა. ამ ფარსით, პრეზიდენტი ცდილობს, თავი დაიცვას. ჩემი აზრით, მისი სიტყვები მუქარის ღია გამოხატულებაა, ნახეთ, რა დღეში ჩაგაგდოთო. იქნებ, ვინმემ ამიხსნას, როგორ მოხდა, რომ ბოლო ტურების შეხვედრებში არბიტრებმა ჩვენს კარში გამოგონილი, არ არსებული პენალტი სამჯერ დანიშნეს?! რა თქმა უნდა, ასეთი რამ შემთხვევით არ მოხდებოდა. მოკლედ, ანხელ მარია ვილიარი ყველაფერს აკეთებდა, აკეთებს და გააკეთებს იმისთვის, რომ "ბეტისს" პრობლემები შეუქმნას. მას შეუპოვრობისა და სამართლიანობის გამო არ ვუყვარვართ."*

ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება რომ არა, ვიფიქრებდით, ბატონი პეპე ლეონი კლუბში არსებული პრობლემების სხვაზე გადაბრალებას ცდილობსთქო... მაგრამ ანდალუსიური კოლექტივის პრეზიდენტს ესპანეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის ვიცეპრეზიდენტმა, **ხავიერ ტებასმაც** აუბა მხარი. მართალია, ის ხსენებულ ორგანოში "ბეტისიდან" მივიდა, მაგრამ მიმომხილველები ტებასს ობიექტურ და სამართლიან ადამიანად მიიჩნევენ. აი, რა განაცხადა ბატონმა ხავიერმა: *"თამამად შეიძლება ითქვას, ამ დაპირისპირების ერთადერთი მიზეზი მე გახლავართ. ფედერაციის მაღალჩინოსნებს არ მოსწონთ და აღიზიანებთ, რომ პროფესიული ლიგის ვიცეპრეზიდენტის სავაძელში "ბეტისის" წარმომადგენელი ზის. მერწმუნეთ, აბსოლუტურად გულწრფელი ვარ და რეალურ ამბავზე გესაუბრებით. თეორიულად შეუძლებელია, მსაჯები მუდმივად ერთი გუნდის საზიანოდ უშვებდნენ შემთხვევით შეცდომებს. მოდით დავფიქრდეთ, თუ პორტუგალიაში, გერმანიასა და იტალიაში არბიტრები ხშირად ხვდებიან სკანდალებში, ზოგჯერ სამუდამო დისკვალიფიკაციებსაც იღებენ, ესპანეთში რატომაა ასეთი სიჩუმე? ნუთუ, ყველაფერი იდეალურადაა? გამოდის, ჩვენი არბიტრები წმინდანები ყოფილან. იქნებ დროა, ვატიკანს ოფიციალური თხოვნით მივმართოთ და ისინი ცოცხალ ანგელოზებად შევრაცხოთ? ბოლოს და ბოლოს, გავარკვიოთ, ციდან ხომ არ ჩამოცვენილან?"*

ანხელ მარია ვილიარის პასუხმა, რა თქმა უნდა, არ დააგვიანა. ცხადია, ესპანური ფეხბურთის უმაღლესმა ხელისუფალმა უკლებლივ ყველა ბრალდება უარჰყო და იქვე დასძინა, თუ ანდალუსიელები გონს არ მოეგებიან, პრობლემების მიზეზების ახსნისას ხელის სხვისკენ გაშვერას თავს არ დაანებებენ და ცილისწამებას მომავალშიც გააგრძელებენ, პეპე ლეონსა და ხავიერ ტებასს სასამართლოში ვუჩივლებო...

ბარსელონა

# შუსტერი ნაძირალაა

## ხეტაფეს დამრიგებელმა ცხვარივით მშვიდი რიიკაარდი გააცოფა, ლეო მესი კი იძულებული გახადა, უჩვეულოდ მძიმე სიტყვები ეთქვა...

**ბერნდ შუსტერმა** ენაგრძელობითა და უკმეხი განცხადებით "ბარსელონის" მწვრთნელები და ფეხბურთელები უკიდურესად განარისხა. თუ პრიმერა დივიზიონის წინა ტურის მიმოხილვას გაეცანით, გეცოდინებათ, რომ "ხეტაფეს" დამრიგებელმა კატალონიური გრანდის გამარჯვება მთავარი არბიტრის, **პერეს ბურულის** მიკერძოებული მუშაობით ახსნა. ბუნებრივია, **ფრანკ რიიკაარდი** ამით აღშფოთებული დარჩა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა კოლეგას საკადრისი პასუხი შაბათსვე გასცა, თუმცა ვერც ეს იკმარა და გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა: *"როცა "ხეტაფემ" ესპანეთის სამეფო თასის ნახევარფინალში 4:0 დაგვამარცხა, აუტანელი ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ შუსტერს წარმატება გულწრფელად მივულოცე. ახლა კი მან აბსურდული ბრალდებები წამოაყენა. არ მიყვარს მყვირალა განცხადებები, ვინმეს შეურაცხყოფაზე არაფერს ვამბობ, მაგრამ ახლა არ შემიძლია, ხმა არ ამოვილო. შუსტერი ისე მოიქცა, როგორც უკანასკნელი ნაძირალა. საკუთარი შეცდომები მან სხვას გადააბრალა."*

რიიკაარდს **ლეო მესიც** არ ჩამორჩა, არგენტინელმა ფორვარდმა შუსტერს თავს ლაფი დაასხა: *"გაუგებარია, რას ამბობდა "ხეტაფეს" მთავარი მწვრთნელი. მან საზოგადოებას მოახსენა, რომ პერეს ბურული გვეხმარებოდა და მხოლოდ მისი დახმარების წყალობით მოვიგეთ. სასაცილოა და სხვა არაფერი. რომელ დახმარებაზეა საუბარი, როცა თავად ჩვენ დავრჩით მისი მუშაობით უკმაყოფილო. თუნდაც რონალდინიოს გაძევება ავილოთ. შესაძლოა, გაუჩო გაცხარდა, მაგრამ რატომ ვერავინ დაინახა, რომ მას ძალიან მტკივნეულად ჩაარტყეს?! და ეს არ არის პირველი შემთხვევა. ყოველ თამაშში უმოწყალოდ გვირტყამენ. განზრახ გვტკენენ ფეხს. მერწმუნეთ, ამის ატანა წარმოუდგენლად ძნელია. მიუხედავად ყველაფრისა, მოედანზე გასვლის არ გვეშინია. რონალდინიოს ბელენგერმა განზრახ ჩაარტყა, თან ქუსლში. განა, ის არ იმსახურებდა დასჯას? პერეს ბურულმა კი ბოლო ეპიზოდი დაინახა და ჩვენი თანაგუნდელი წითელი ბარათით დასაჯა. მოკლედ, შუსტერმა უსინდისო ბრალდება წამოგვიყენა. მართალია, ასაკობრივი განსხვავება მეტი პატივისცემით საუბარს მავალდებულებს, მაგრამ როცა თავმოყვარეობას გილახავენ, ხმა აუცილებლად უნდა ამოიღო."*



ბარსელონისა და ხეტაფეს მატჩი შუსტერის კომენტარების გარეშეც დაძაბული იყო

შუსტერმა მართლაც დიდი შეცდომა დაუშვა. პერეს ბურულს "ხეტაფე" არაფრით დაუზარალებია. გერმანელმა სპეციალისტმა მხოლოდ იმას მიაღწია, რომ უსაშველოდ მშვიდმა ფრანკ რიიკაარდმა მოთმინება დაკარგა და შეურაცხმყოფელი სიტყვები წარმოთქვა.

მემუარები

# 15 წელინადი ბაიერნის სამსახურში

## მიუნხენელი ვარსკვლავი გერმანულ გიგანტში გატარებულ კარიერას აჯამებს

**მეჰმეთ შოლი**

ᲬᲘᲜᲐ შაბათს კარიერის უკანასკნელი ოფიციალური მატჩი ჩავატარე და პროფესიულ ცხოვრებას გამოვეთხოვე. ეს იყო დღე, რომელიც სიკვდილამდე მემახსოვრება და დღე, რომელმაც გაორებული გრძნობა დამიტოვა - კმაყოფილება წარსულის გამო და მწუხარება. ფეხბურთელისთვის ძალიან რთულია, ურთულესია იმის გაფიქრებაც კი, რომ ფეხბურთს აღარასოდეს ითამაშებს. როცა "მაინცთან" მატჩი დასრულდა, წამით გავიფიქრე, რომ ცხოვრება მთავრდება. მეორე დღეს კი, ნიშნად იმისა, რომ საფეხბურთო კარიერა ისტორიას უნდა ჩავაბარო და ახალი ცხოვრება დავიწყო, თავი გადავიპარსე...

კვირას, სალამოს მე და ჩემი მეგობრები სახლის ვერანდაზე ვისხედით. მაგიდის ჩოგბურთს ვთამაშობდით, ლუდს`ვსვამდით და შემწვარ სოსისებს გეახლებოდით. ვიჯექი და ვფიქრობდი, რა შემეწირა ჩემი კარიერისთვის და ბოლოს მოვიფიქრე: თმები! ეს უბრალოდ, აუცილებელი იყო - თითქოს შაბათის მწუხარება თმებს გავატანე და თავიდან დავიბადე.

შაბათი დღე ჩემთვის ძალიან ცუდად დაიწყო. წარმოიდგინეთ, არაფერი გამომდიოდა და თითქოს ყველამ და ყველაფერმა ჩემს წინააღმდეგ შეჰკრა პირი. დილას, სასტუმროში მინი-ბარი ცარიელი დამხვდა - არადა, თამაშის წინ, შუადღისას კოკა-კოლა რომ არ დავლიო, არ შემიძლია. აღმოჩნდა, რომ ტუალეტის ქაღალდიც გათავდა. ნაშუადღევს, ყოველთვის ბრინჯს მივირთმევ ხოლმე და ესეც ვერ მოვახერხე - ბრინჯიც აღარ მქონდა. მერე კი, ფეხის კოჭი სკამის ფეხზე მომიხვდა და კინაღამ კრუნჩხვები დამეწყო. "ერიჰაა!" - გავიფიქრე, დღეს ნამდვილად მაგარი დღე მექნება-მეთქი...

მაგრამ ის დღე ძალიან ლამაზად დამთავრდა, წარმოუდგენლად ლამაზად და ემოციურად როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი ვაჟისთვის. შეცვლის დროს, სანამ გატანილი გოლითა და შესანიშნავი თამაშით მიღებული ადრენალინით გაცხოველებული მოედანს საბოლოოდ დავტოვებდი, ჩემმა ვაჟმა უკვე ყველაფრის გაცნობიერება მოასწრო და აუტის ხაზს იქეთ თვალცრემლიანი მელოდებოდა. თამაშის შემდეგ კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი ყველაფერს, რაც იმ დღეს მოხდა და სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა. მოგვიანებით, ქეიფის დროს, ცოტა არ იყოს გამოვითიშე, მაგრამ ის მომენტები ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა.

ე.ი. 15 წელიწადი მიუნხენის ბაიერნში! არადა, დიდი შანსი იყო, რომ რეკორდმაისტერში არ გადავსულიყავი, რადგან არჩევანი საკმაოდ დიდი იყო: დორტმუნდის "ბორუსია", ერთი სეზონის გუნდი "აინტრახტი" თუ "ბაიერნი"? გადამწყვეტი როლი მიუნხენში სტუმრობამ და გუნდის ბაზის მონახულებამ ითამაშა. **ული ჰიონესმა** პირდაპირ სახლში დამპატიჟა და ძალიან გაკვირვებული გახლდით, არ მეგონა, თუ "ბაიერნის" გენერალურ მენეჯერს ასეთი პატარა და უბრალო სახლი ექნებოდა, ლამაზი, მაგრამ არა ისეთი პომპეზური, როგორებიც ასეთ პიროვნებებს აქვთ ხოლმე. გავიფიქრე: *"კი მაგრამ, ამ კაცს ხომ ძალიან ბევრი ფული აქვს, რატომ არ იშენებს უფრო დიდ სახლს?"* მოგვიანებით მივხვდი, რომ ჰიონესი დიდი კაცია, მაგრამ მას დიდი სახლი არ შეეფერება!


მეჰმეთ შოლი მიუნხენიდან დიდი პატივით გააცილეს

სანამ ული და მე მისაღებ ოთახში ვისხედით, მისი მეუღლე **სუზი** სადილს ამზადებდა. ჩემთან ერთად იყო ჩემი მრჩეველი **ნორბერტ პფლიპენიც** და როგორც კი ულიმ დრო იხელთა (მე ტუალეტში შევედი), მაშინვე ჰკითხა: *"თქვენ ამ პატარა ბიჭისთვის ძალიან ბევრ ფულს ითხოვთ. ღირს კი ამდენი?"* მოგვიანებით, როცა პფლიპენმა ეს მიამბო, ძალიან გავბრაზდი და პირობა დავდე, ჰიონესისთვის რაც შეიძლება მალე დამემტკიცებინა, რომ გაცილებით ძვირადაც ვფასობდი. ოღონდ, არა ფულის გამო, რა თქმა უნდა...

ული ჰიონესი მეც ზუსტად ისე მაქცევდა წნეხის ქვეშ, როგორც მთელ გუნდს და ძალიან მალე მივხვდი, რომ მოვხვდი გუნდში, სადაც ადამიანობა და ნდობა ნომერ პირველი კრიტერიუმია. ხელფასს ანგარიშზე დროულად კი არა, წამობრივი სიზუსტით მირიცხავდნენ. თუნდაც ეს ფაქტი საკმარისია იმის სათქმელად, რომ მიუნხენი "ბაიერნი" ყოველმხრივ სრულყოფილი გუნდია. სწორედ ამიტომ, ამ გუნდის ფეხბურთელი ყოველთვის მიმნდობი, ბეჯითი და მადლიერი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არაა.

მაგალითად, ამ მხრივ **სებასტიან დაისლერმა** იმედები გამიცრუა. პირადად მე ველოდი, რომ ეს ფეხბურთელი როგორმე მაინც აგრძნობინებდა გუნდს, რომ მადლობელია იმისთვის, უმძიმეს დროსაც მხარში რომ ამოუდგა. მაგრამ დაისლერს მადლიერების გრძნობა ერთხელაც არ გამოუხატავს. მას მერე, რაც ყველასთვის მოულოდნელად კარიერა დაასრულა, გუნდის ბაზაზე ერთხელაც არ მოსულა.

ეჭვი არ მეპარება, რომ **ლუკას პოდოლსკი**, ადრე თუ გვიან, "ბაიერნში" ფეხს მოიკიდებს, მაგრამ თუ ასე გააგრძელა, არაფერი გამოუვა. "პოლდიმ", ბოლოს და ბოლოს, "კიოლნი" უნდა დაივიწყოს და ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს, სულ თავიდან. მას ჯერაც ვერ დაუჯერებია, რომ კიოლნის პრინცად წოდებულს, "ბაიერნში" სათადარიგოთა სკამის ხეხვა უწევს და რომ ამის მიზეზი, მხოლოდ და მხოლოდ, მისი ცუდი თამაშია. ჩემი აზრით, პოდოლსკიმ სასწრაფოდ უნდა გაითავისოს, რომ არც პრინცია და არც გმირი. რეკორდმაისტერში ადგილის პოვნას ლუკასი მხოლოდ ამ შემთხვევაში მოახერხებს.

შვაინიზე ჯერჯერობით, არაფერს ვიტყვი. ეს ისეთი ფეხბურთელია, რომელიც ნებისმიერ გუნდს გამოადგება. ბასტიანი "ბაიერნსაც" ძალიან სჭირდება. შვაინის ერთადერთი პრობლემა ის გახლავთ, რომ ის ერთადერთია მისი გენერაციის ნახევარმცველებში, რომელსაც გრანდიოზული კარიერის მოწყობა შეუძლია. და სწორედ ამიტომ ელიან მისგან სასწაულებს.

იცით, როგორ ვიგრძენი, კარიერის დამთავრების დრო მართლა რომ მოვიდა? ბოლო დროს ფეხბურთის თამაშზე დიდ სიამოვნებას, ჩემი შვილის თამაშისთვის თვალის დევნება მანიჭებს. როცა ვუყურებ, როგორ თამაშობს ჩემი ბიჭი, უდიდესი კმაყოფილების გრძნობა მეუფლება. ფაქტია: რაც უფრო ემატება ასაკი ადამიანს, მით უფრო უხარია შვილის ყურება...

■ ■ ■

ვისაც ხეირიანად ზეიმი შეუძლია, მას მუშაობაც ძალუძს. ხოლო, ვინც მუშაობს, შეუძლებელია, ოდესმე დიდ წარმატებას არ მიაღწიოს...

ხომ იცით, "ბაიერნს" ყოველთვის უდიდესი ამბიციები აქვს და აქ წარმატებად მხოლოდ ტიტულის მოპოვება მიიჩნევა. ჰო, წლეულს ძალიან ცუდად ვითამაშეთ და კარგ ნიშნებს არ ვიმსახურებთ, შესაბამისად, არ ვიმსახურებთ ზეიმსაც, მაგრამ ამ სეზონამდე "ბაიერნი" ყოველთვის წარმატებული იყო და ამიტომაც, ბოლო წლებში ხშირად ვზეიმობდით ხოლმე.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ყველაზე ცხოველური და ყველაზე ლამაზი ზეიმი არა წარმატების, არამედ წარუმატებლობის შემდეგ გვქონდა. კერძოდ, 1999 წლის ლეგენდარული ფინალის შემდეგ, ბარსელონაში. საფინალო სასტვენის შემდეგ, ძალიან ცოტა ხანს ვიტირეთ, მერე კი, ყველამ ერთად ვთქვით: "მანჩესტერო, ჩვენ დავბრუნდებით!" სასტუმროში წავედით და განვაცხადეთ, რომ ბანკეტი უნდა შემდგარიყო. **ბაბელი, ბასლერი, ციკლერი, ტარნატი, ფინკი** და მე - იმ ღამეს ჩვენ მართლა გავგიჟდით! დილის ექვს საათამდე ვსვამდით, ვცეკვავდით, ვღრიალებდით და ვინ იცის, რა არ ჩავიდინეთ. მერე გვითხრეს, რომ ზეიმის დასრულების შემდეგ, მაგიდები და სკამები დამტვრეული იყო. მოკლედ, საბანკეტო დარბაზი ისეთ მდგომარეობაში ჩავაგდეთ, რომ იქ უკანასკნელი მათხოვარიც კი არ შევიდოდა. ეს იყო ყველაზე ბინძური და ამავე დროს ყველაზე მაგარი ქეიფი, "ბაიერნში" გატარებული 15 წლის განმავლობაში.

ზუსტად ორი წლის შემდეგ კი შეგდა ზეიმი, რომელსაც მეორე ადგილზე გავიყვან. 2001 წელს ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ და ის ზეიმი არა იმ დღეს, არამედ მეორე დღეს გაიმართა. მიუნხენში რომ ჩავედით, თავიდან თითქმის ყველას სახლში წასვლა უნდოდა. მაგრამ გვითხრეს, ფანები მარიენპლატცზე გველიან და აუცილებლად უნდა მივიდეთო. მიუნხენის ქუჩები გადაჭედილი იყო და მანქანებით წინ ძალიან ნელა მივიწევდით. ჩემს გვერდით **ჯოვანი ელბერი** იჯდა, რომელმაც მითხრა: *"მეჰმეთ, მოდი, თითო კათხა ლუდი დავლიოთ!"* ცხადია, დავთანხმდი, მაგრამ ერთი კი არა, დაახლოებით 7-8 კათხა გამოვცალეთ. შესაბამისად, აღარ მახსოვს, როგორ მივედით მარიენპლატცზე და როგორ მიგვილეს ფანებმა. ვიდეო-ჩანაწერი მაქვს და როცა ვუყურებ ხოლმე, ვერ ვიჯერებ, რომ მეც იქ ვიყავი.

დაუვიწყარია **ჯოვანი ტრაპატონის** მწვრთნელობის დროს მომხდარი ორი ისტორიაც.

ახალი დანიშნული იყო, როცა მდინარეზე იახტით გავისეირნეთ. ძალიან ცხელოდა და, რა თქმა უნდა, დიდი რაოდენობით ლუდი დავლიეთ. ტრაპი შოკირებული იყო და ყვიროდა: *"ვფიქრობდი, ეს საფეხბურთო გუნდია! არ არის! ეს არ არის! საფეხბურთო გუნდი არ არის! ეს!"*

მერე ტრაპთან ერთად სარდინიაზე გავემგზავრეთ. შეკრება რომ დამთავრდა, რესტორანს მივაშურეთ. კარგად გამოვთვერით და უკან დაბრუნებისას, გზად "ამის პატრონმა რა ქნას" გავაჩაღეთ. სხვათა შორის, ეს თამაში რეკორდმაისტერში დღესაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და მასში აბსოლუტურად ყველა ჩართულია ხოლმე - ული ჰიონესით დაწყებული, ვიდრე **მარტინ დემიკელისამდე**. იმ კონკრეტულ შემთხვევაში კი **მარიო ბასლერს** არ გაუმართლა. მას ფრანგულად უნდა ეკოცნა მეკარე **სვენ შოიერისთვის**. *"სვენ, მოდი ჩემთან!"* - ჩაიცინა მარიომ. *"მოკეტე!"* - ყვიროდა სვენი. *"მოდი, მოდი!"* - აგრძელებდა მარიო. ასეთი კოცნა არცერთ ფილმში არ მინახავს! თანაც, ბოლოს ორივე ყვიროდა: *"ვიცი, რომ ეს შენც გინდა!"* ყველანი ვხარხარებდით. მხოლოდ ტრაპმა ვერ გაიგო ვერაფერი და გაკვირვებული მოგვჩერებოდა...

არასდროს დამავიწყდება **იენს იერემისის** საქციელიც, ის, რაც მან ლონდონის "არსენალთან" მატჩის დროს გააკეთა. ხომ იცით, როგორი მეომარიც იყო - მის წინააღმდეგ თამაშს მტერსაც კი არ ვუსურვებ. იმ შემხვედრაში იენსი **პატრიკ ვიერას** მეურვეობდა და ერთ-ერთი მომენტის შემდეგ, როცა ფრანგი მაგრად მოცელა, წამოდგა და დამტვრეული ინგლისურით უთხრა: *"ხედავ შუა ხაზს? გადმოხვალ აქეთ, იქნება აუააა! აქეთ აუა, იქეთ არაფერი! გირჩევ, არ გადმოხვიდე!"*

ანაც **ვილი სანიოლი**... როცა კარგ ხასიათზეა, მასთან ყოფნას არაფერი სჯობს. ერთხელაც, ვილი მსაჯ **მარკუს მერკს** ეუბნება: *"ჰერ მერ, ცვლილება!"* მსაჯი სათადარიგოთა სკამისკენ იყურება და ამბობს: *"ვერაფერს ვხედავ!"* და რას პასუხობს ვილი? *"შენ უნდა შეგცვალოთ, ჰერ მერკ!"*

მოკლედ, რაც ამ 15 წლის განმავლობაში ვნახე და გამოვცადე, ფეხბურთელი რომ არ გამოვსულიყავი, სიკვდილამდე ამის ნახევარსაც ვერ გამოვცდიდი. მაგრამ ეს ყველაფერი იმ შესანიშნავი ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში გვერდით მყავდნენ. ეს იყო მართლაც გრანდიოზული პერიოდი, რომელიც ოდესმე უნდა დამთავრებულიყო და აი, დამთავრდა კიდეც. მაგრამ იწყება ახალი ერა - რა თქმა უნდა, მიუნხენში ვრჩები, რადგან აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში, რადგან ბავარია ჩემი სამშობლოა. რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამ მხარეზე, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ბავარიის ყველაფერი მიყვარს: კულტურა, ტრადიციები, ბავარიული ენა, ლუდი, მდინარეები, ტბები, მთები - უბრალოდ, ყველაფერი. და მიხარია, რომ ამიერიდან ამ ყველაფრისთვის უფრო მეტი დრო მექნება...

მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**












ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერები

# ჩვენებს არ უთამაშიათ



მარკოიშვილი და რანიკო არ თამაშობენ

**გასულ უქმეებზე ესტონეთისა და სლოვენიის ჩემპიონატების ფინალები გაიმართა, მაგრამ მათში ქართველებს მონაწილეობა არ მიუღიათ.**

ესტონეთის პირველობის ფინალური სერიის მეოთხე მატჩის შემდეგ, **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკი" 3:1 იგებდა და მეხუთე შეხვედრას შინ მართავდა. ჩემპიონობა ერთ ნაბიჯში იყო, მაგრამ სტუმრად მოპოვებული ორი გამარჯვების შემდეგ, როკერები ტარტუში დამარცხდნენ - 74:78. სერიაში სხვაობა ერთამდე შემცირდა- 3:2.

მომდევნო მატჩი ესტონეთის დედაქალაქ ტალინში, "კალევის" მოედანზე გაიმართება (29 მაისს), ხოლო თუ ანგარიში გათანაბრდა, გადამწყვეტ, მეშვიდე შეხვედრას "როკი" უმასპინძლებს (1 ივნისს).

როგორც უკვე გითხარით, "როკერთა" რიგებში არ გამოჩენილა გიორგი ცინცაძე, რომელმაც სერიის მე-3 მატჩში ფეხი დაიზიანა და ექიმების ვარაუდით, ის ვერც დარჩენილ შეხვედრებში ითამაშებს.

ცინცაძის დღეშია **მანუჩარ მარკოიშვილი** - ფეხის ტრავმა აქვს, ხოლო მის გარეშე "ოლიმპია" "ჰელიოსთან" ვერაფერს ახერხებს. სლოვენიის ჩემპიონატის ფინალური სერია "ჰელიოსის" არენაზე გაიხსნა. მასპინძლებმა არც ამჯერად დაუხარეს თავი ქვეყნის 14-გზის ჩემპიონს და ორი ქულის სხვაობით დაამარცხეს - 76:74. სლოვენიაში ფინალური სერია 3 მოგებამდეა და მარკოიშვილის თანაგუნდელებს სიტუაციის გამოსწორების შანსი ჯერ კიდევ აქვთ, თუმცა ჩნდება ორი მაგრამ:

...ორი ლიდერის, მანუსა და ფინელი რანიკოს გარეშე რამდენად მოახერხებენ არანაკლებ ძლიერი შემადგენლობის "ჰელიოსის" გატეხვას.

...და მეორე - რომელი უფრო იმსახურებს ჩემპიონობას, "ოლიმპია" თუ "ჰელიოსი"? ჩვენ კი გვინდა მანუჩარი ზედიზედ მესამედ გახდეს სლოვენიის ჩემპიონი, მაგრამ ფაქტია, რომ "ოლიმპია" წლევანდელ სეზონში წინა წლებთან შედარებით შესუსტებულია. მეტსაც გეტყვით - მოთამაშეთა სახელფასო დავალიანება დიდი ხანია არ გაუსტუმრებიათ. შესაბამისად, შუა სეზონში შემადგენლობა ათასნაირად გადახალისდა:

ჯერ მთავარი მწვრთნელი, **ტომო მაჰორიჩი** გაიქცა, შემდეგ კაპიტანი **მარკო მილიჩი**, მერე თურქი ლიდერი - **ენდერ არსლანი**... ფინალებში კიდევ ორი წამყვანი მოთამაშე დააკლდათ - მანუჩარ მარკოიშვილი და ტეემუ რანიკო (ტრავმების გამო).

მოკლედ, ბევრ კითხვას 31 მაისს გაეცემა პასუხი, როცა "ოლიმპია" მეორე მატჩში "ჰელიოსს" უმასპინძლებს.

იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალები 30 მაისს დაიწყება. **ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკი" პირველ შეხვედრაში "რომას" ეთამაშება. სამწუხაროდ, სათაურში "უქართველებოდ" ვლადიმერ ბოისაც იგულისხმება. მას რაღაც ვირუსი შეეყარა და გუშინდელი ვარჯიშის გამოტოვება მოუხდა. ვოვა ჯერჯერობით, მხოლოდ ვარჯიშებს ტოვებს და იმედი დავიტოვოთ, რომ პირველ ნახევარფინალში სიენელებს ჩვეულად დაეხმარება.

# ვის დაიმატებს ატლანტა?


ზაზა ფაჩულია

NBA-ს დრაფტამდე ერთი თვით ადრე ყოველწლიურად თამაშდება ლატარია, რომლის შემდეგაც ფლეი ოფში ვერმოხვედრილი გუნდები ნომრებს ინაწილებენ და დრაფტისას კალათბურთელებს სწორედ ამის მიხედვით ირჩევენ. **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტას" ლატარიაში მე-3 ნომერი ერგო, მეორე - "სიეტლს" შეხვდა, ხოლო პირველი - "პორტლენდს".

ასე რომ, დრაფტზე საუკეთესო მოთამაშის არჩევის პატივი პორტლენდელებს ერგოთ. თუკი ცნობილ ამერიკულ გამოცემა "ფოქსსპორტს" ვენდობით, "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" პირველ ნომრად ტეხასელ მეფარე **კევინ დურანს** აირჩევს, რომელიც ცენტრ **გრეგ ოდენთან** ერთად დრაფტის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სასურველ კანდიდატად ითვლება.

ასე რომ, წინასწარ გადაწყვეტილია, რომ ოდენ-დურანის დუეტი "პორტლენდსა" და "სიეტლში" გადანაწილდება. ხოლო "ფოქსსპორტის" ინფორმაციით, "ატლანტას" მესამე ნომრად ოჰაიოელი გამთამაშებელი **მაიკ კონლი** შეხვდება.

გაზეთ "ატლანტა კონსტიტუშენის" მტკიცებით, "ჰოქსს" სწორედ გამთამაშებელი და ერთი მეფარე აკლია და დრაფტის პირველ წრეში თუ მაიკ კონლის აირჩევს, მეორე წრეზე, მე-11 ნომრად ვაშინგტონელ ცენტრ **სპენსერ ჰეივსს** აიყვანს. იქვე ვხვდებით მოკლე კომენტარს: *"თუკი ოდენსა და დურანს არ ჩავთვლით, წლევანდელი დრაფტის მონაწილეთაგან ვერავინ შეძლებს ცენტრის, ზაზა ფაჩულიას ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდებას. ამიტომ, თუ "ჰოქსის" ხელმძღვანელობა მაინც აირჩევს სპენსერ ჰეივსს, მას გაისად ფაჩულიას შემცვლელის ფუნქციების შესრულება მოუწევს. თუმცა, შეიძლება ჯორჯიელებმა სენსერს უკანახაზელი ეისი ლოუ არჩიონ. დრაფტის მე-3 და მე-11 ნომრებად გამთამაშებელთა აყვანა "ატლანტას" უკანა ხაზში არსებულ ყველა პრობლემას მოუხსნის".*

ეს ყველაფერი ვარაუდია, სინამდვილეში, ვინ ვის შეხვდება, 28 ივნისს დრაფტისას შევიტყობთ. ზაზას კონკურენტებზეც მას შემდეგ უფრო თამამად შეგვეძლება საუბარი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## რაგბი

ლეგიონერები

# ორი მოგება ჩემპიონობამდე

საფრანგეთის პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშება დასრულდა. **დავით ზირაქაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** "კლერმონმა" მესამე ადგილი დაიკავა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობს. ნახევარფინალში ვულკანები ნეიტრალურ მოედანზე ეთამაშებიან "ტულუზს".

სენსაციურად განვითარდა მოვლენები სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში. პირველ დივიზიონს სახელოვანი კლუბები, "აჟენი" და "ნარბონი" დაემშვიდობნენ. ასე რომ, საქართველოს ნაკრების კონსულტანტს **ანრი ბრონკანს** ისევ მეორე დივიზიონში მოუწევს ერთი სეზონის გატარება, ამჯერად "აჟენის" მწვრთნელის თანამდებობაზე. "ნარბონისა" და აჟენის" ადგილს ელიტარულ პირველ დივიზიონში **ილია ზედგინიძის** "ოში" და "დაქსი" დაიკავებენ. ამ უკანასკნელმა ფინალში "ლა როშელი" დაამარცხა 22:16.

ბოლო, 26-ე ტურში "კლერმონმა" სტუმრად ითამაშა **ავთო კოპალიანის** "მონტობანთან" და 21:19 დაამარცხა. შველიძე და ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. გოდერძი 46-ე წუთზე შეცვალეს, ზირაქამ კი, თავიდან ბოლომდე ითამაშა. კოპალიანი განაცხადში არ იყო.

ქართველ მორაგბეთა ყველა სხვა გუნდი დამარცხდა. **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი გიორგაძის** "ბურგუენმა" საკუთარ მოედანზე წააგო "ტულუზთან" 20:21. ხინჩაგიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, გიორგაძე განაცხადში არ იყო.

სტუმრად დამარცხდა "ბიარიცთან" **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრი" 17:32. "გლობუსა" სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 68-ე წუთიდან ჩაერთო. სტუმრადვე წააგო "პერპინიანთან" **მამუკა გორგოძის** "მონპელიემ" 9:14. გორგოძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

საფრანგეთი. I ტური. XXVI დივიზიონი. **ბურგუენი-ტულუზი 20:21, ბრივი-ბაიონი 6:9, აჟენი-სტად ფრანსე 5:18, მონტობანი-კლერმონი 19:21, ალბი-ნარბონი 29:0, პერპინიანი-მონპელიე 14:9, ბიარიცი-კასტრი 32:17.**

საბოლოო მდგომარეობა: 1.სტად ფრანსე-87 ქულა, 2.ტულუზი-86, **3.კლერმონი-84,** 4.ბიარიცი-76 / 5.პერპინიანი-75, **6.ბურგუენი-58, 7.მონტობანი-54,** 8.ბაიონი-51, 9.ბრივი-50, 10.ალბი-50, **11.კასტრი-49, 12.მონპელიე-48** / 13.აჟენი-44,14.ნარბონი-39

**ნახევარფინალი**

**1 ივნისი: სტად ფრანსე-ბიარიცი**
**2 ივნისი: ტულუზი-კლერმონი**

მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრები გაიმართა ფედერალ 1 დივიზიონში. ნახევარფინალში მხოლოდ **თედო ზიბზიბაძისა** და **ვანო ნადირაძის** "პერიგომ" გაალწია". პერიგოელებმა მეორე შეხვედრაში მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს "ლანამეზანი" 13:12. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ნადირაძე 53-ე წუთზე შეცვალეს. პირველი შეხვედრა ამ გუნდებს შორის ფრედ 22:22 დასრულდა. "პერიგოს" მეტოქე ნახევარფინალში იქნება "ორიიაკი", რომელთანაც ახლახანს გააფორმა კონტრაქტი საქართველოს ნაკრების გარემარბმა **მალხაზ ურჯუკაშვილმა**. მოგებული მეორე დივიზიონის საგზურს მოიპოვებს.

მეოთხედფინალის მეორე მატჩში **დავით გასვიანის** "ექსმა" შინ "ნიმს" სძლია 28:16, მაგრამ პირველის მატჩი უფრო დიდი სხვაობით, 25:41 ჰქონდა წაგებული და გათამაშებას გამოეთიშა. გასვიანი თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო.

**ბესიკ ჯანგავაძე**


მონტობანი-კლერმონი. შუაში დავით ზირაქაშვილი



ნიკოლოზ ცქიტიშვილი

# მწვრთნელი წავიდა, ცქიტიშვილი?

"კახა სან ფერნანდომ" **ნიკა ცქიტიშვილსა** და მის თანაკლუბელ **ფემერლინგს** ახალი კონტრაქტები რომ შესთავაზა, წინა კვირას ვწერდით. იქვე დავსვით კითხვა - დათანხმდებოდა თუ არა ნიკა სევილიელთა წინადადებას.

გუშინ, სწორედ ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს ნაკრების ფორვარდს, რომელმაც განაცხადა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.:

**ნიკა ცქიტიშვილი:** *"ჯერ ვფიქრობ. "კახა სან ფერნანდოში" თავს კარგად ვგრძნობდი, როგორც სპორტული თვალსაზრისით, ისე ცხოვრების პირობებით. მაგრამ დარჩენა-არდარჩენის საკითხი არ გადამიწყვეტია. ჩემი მენეჯერი სხვადასხვა ვარიანტზე მუშაობს და, ვიმედოვნებ, რომ მომავალი სეზონის დაწყებამდე სასურველ გუნდს მოვნახავ. "კახა" იქნება ეს, თუ სხვა, მომავალი გვიჩვენებს. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ისეთ კლუბში მირჩევნია გადასვლა, რომელიც გაისად ევროლიგაზე ითამაშებს".*

ვიდრე ცქიტოს მენეჯერის ხვადასხვა ვარიანტებზე მუშაობს, ერთ სიახლეს მოგახსენებთ - გუშინ "კახა სან ფერნანდო" მთავარმა მწვრთნელმა **მონჩო ლოპესმა** დატოვა. 38 წლის სპეციალისტმა კლუბის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა და სევილიელებს ასე დაემშვიდობა - დღეიდან "კახას" მთავარი ფანი ვიქნებიო.

მწვრთნელის გადადგომამ შეიძლება ნიკას გადაწყვეტილებაზეც იმოქმედოს. ცქიტიშვილი ხომ სწორედ ლოპესის გუნდში მისვლის შემდეგ იქცა ერთ-ერთ საკვანძო კალათბურთელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ ზურაბ კაკაბაძესთან

# კავკასიის ლიგიდან ლონდონამდე

**ამასწინათ** შემოგთავაზეთ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მიმოხილვა. ალბათ, უპრიანი იქნება ისიც გავიგოთ, თავად ჩვენი ხელბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობა რას ფიქრობს განვლილ სეზონზე და რა გეგმები აქვს სამომავლოდ. ვესაუბრებით საქართველოს ხელბურთის ასოციაციის გენერალურ მდივან ზურაბ კაკაბაძეს.



**- ეროვნული ჩემპიონატით დავიწყოთ. როგორ შეაფასებდით სეზონს?**

- საქართველოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა ასეთი დაძაბული ბოლო წლებში არასოდეს ყოფილა. თუმცა, გვქონდა სირთულეებიც. რამდენიმე შემთხვევაში, იძულებულები გავხდით, კალენდარში შეგვეტანა ცვლილებები, იყო პრობლემები კლუბების მხრიდან, დეკემბერში კი ეროვნული ნაკრების ინტერესების გამო, ჩემპიონატის დროებით შეჩერება მოგვიხდა. მაშინაც ვამბობდი და ახლაც იგივე აზრზე ვარ, რომ ჩემპიონატის შეჩერება არასწორი ნაბიჯი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, გაზაფხულიდან გართულებებმა საგრძნობლად იკლო. ალბათ დამეთანხმებით, რომ ფინიში საკმაოდ კარგი სანახავი გამოდგა.

**- მაგრამ სტუ-"თელავი" – "თბილისის" განმეორებით ფინალურ მატჩს, სკანდალიც მოჰყვა. ხომ არ ჯობდა, რომ ფლეი ოფის ფინალში, ჩემპიონი ორი მატჩის ჯამის ნაცვლად, ორ მოგებას გამოევლინა?**

- რაც მეორე ფინალურ მატჩში მოხდა, ამისგან დაზღვეული არავინაა. ეს ჩვეულებრივი პროცესია – ვილაც იგებს, ვილაც აგებს და დამარცხებული მუდამ უკმაყოფილოა. რაც შეეხება ფინალის შემდეგ ხელბურთის ასოციაციაში შემოტანილ "თბილისის" პროტესტს, ესეც სავსებით ნორმალურად მიმაჩნია. გუნდებს თუ უკმაყოფილების გრძნობა გაუჩნდებათ, მოედანზე კი არ უნდა არჩიონ საქმეები, სწორედ ასე, ცივილურად უნდა შემოიტანონ საჩივარი, რომელსაც განიხილავენ კომპეტენტური, მიუკერძოებელი ადამიანები. გამოჩნდა, რომ "თბილისი" შეგნებულად არავის დაუჩაგრავს და არც ის სადავო პენალტი ყოფილა. შესაბამისად, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

და თუ ვარაუდებზე ვლაპარაკობთ, მაშინ რა გარანტია გვქონდა, რომ მესამე მატჩშიც არ მოხდებოდა ამგვარი გაუგებრობა და აურზაური? ჩემი აზრით, ფინალების ორ მატჩად ჩატარებამ გაამართლა. თუმცა, ეს სისტემაც არაა საბოლოო. ახალი სეზონის დაწყებამდე, აუცილებლად შევხვდებით კლუბებს და თუკი მათგან მოვისმენთ საფუძვლიან, ერთმანეთთან შეთანხმებულ არგუმენტებს სხვა სისტემაზე, არც შეცვლა იქნება პრობლემა...

**- პრობლემები იყო მსაჯობაში. ეროვნულ ჩემპიონატს სამად სამი მოქმედი არბიტრი ჰყავს, რაც ძალიან ცოტაა. როგორ აპირებთ ამ საკითხის გადაჭრას?**

- რომ გურამ ძაგანიასა და დავით დანელიას შემდეგ, 1991 წლიდან, არ გვყოლია საერთაშორისო კლასის არბიტრები. ალბათ ყველამ კარგად იცის, რა ხდებოდა წინა წლებში, როდესაც საქართველოს ჩემპიონატში მსაჯობა არავის უნდოდა და ჩვენი ხელბურთის ასოციაციის მაშინდელი ხელმძღვანელობა იძულებული იყო, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან მოეწვია არბიტრები. თუმცა, კლუბებს არც მათი განსჯილი მატჩები მოსწონდათ...

ბოლო ორი წელიწადია, სიტუაცია მეტ-ნაკლებად დავარეგულირეთ. ამჟამად, გვყავს ინა ჭკუასელისა და ნინო ელოშვილის წყვილი, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატსაც ემსახურებიან და ევროპის ხელბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებზეც დადიან. შარშან, მათ იმსაჯეს ბოსნიაში გამართულ "ჩელენჯ ტროფიზე" და შვედეთში – უმცროსი ასაკის გოგონათა ევროპის პირველობაზე. წლეულს კი ნორვეგიაში წავლენ 20-წლამდელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე სამსაჯოდ. რაც შეეხება კიდევ ერთ არბიტრ ელენე არაბულს, მას სამწუხაროდ, მეწყვილე არ ჰყავს. ვაპირებთ საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას, და შესაძლოა, მას აზერბაიჯანელი არბიტრი დავუწყვილოთ, რომელთან ერთადაც ადრე უმსაჯია.

ამას გარდა, ვიწყებთ სხვა მსაჯების აღზრდასაც. გვყავს რამდენიმე კანდიდატი, რომლებსაც ბავშვთა ჩემპიონატიდან დავაწყებინებთ და მერე ეროვნულ ჩემპიონატშიც გამოვიყენებთ. საერთოდ, მსაჯებსა და დელეგატებში მუდამ უნდა იყოს კონკურენცია, რათა სულ ფორმაში იყვნენ. როცა კონკურენტი არ გყავს, ასე ვთქვათ, ზედმეტად ეჩვევი შენს საქმეს, თავს იარხეინებ და მერე შეცდომებს უშვებ.

**- კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება კლუბების სიმცირე. უახლოეს წლებში მოსალოდნელია თუ არა მათი ზრდა?**

- ორიოდე წლის წინათ ხომ გვქონდა ათგუნდიანი ჩემპიონატი, მერე რა მივიღეთ ამით? ამასწინათ, სწორად გენერათ, რომ იმ ათი გუნდიდან თითქმის ნახევარი ხელოვნურად იყო შექმნილი. არ შეიძლება, რომ ეროვნულ ჩემპიონატში გამოდიოდეს უფულო კლუბი, რომელშიც მხოლოდ ძალიან ახალგაზრდები და ასაკოვანი ხელბურთელები გასამრჯელოს გარეშე, ასე ვთქვათ, გასართობად თამაშობდნენ, კლუბს კი მთელ რიგ ტურებში ერთი ქალაქიდან მეორეში ჩასასვლელი ფული არ ჰქონდეს. ამჟამად გვყავს ხუთი კლუბი და ამ გუნდებსაც საკადრო პრობლემები აქვთ. მეტი გუნდისთვის საჭირო ხელბურთელები ახლა უბრალოდ, არ გვყავს და ეს უნდა ვაღიაროთ.

მოკლედ, ზემოთ ნახსენები 10 კლუბის ჩამოყალიბება შეცდომა იყო. თუმცა, აქედან მაინც ვნახეთ სარგებელი. კერძოდ, მაშინ ყველა კლუბს ვთხოვეთ, რომ ჩამოეყალიბებინათ ბავშვთა ჯგუფები. შესაბამისად, დედაქალაქის გარდა, ახლა გვყავს ბავშვების გუნდები გორში, ქუთაისში, სამტრედიაში, ბათუმში, ფოთში, თელავსა თუ ყვარელში. თვით რუსთავშიც კი, სადაც კარგა ხანია, ხელბურთი არ ყოფილა, ორი ჭაბუკების და ერთიც გოგონების გუნდია. ახლა ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ამ ბავშვების მიხედვაა, რითაც რამდენიმე წელიწადში, ქართული ხელბურთი სერიოზულ შევსებას მიიღებს და სპორტის ეს სახეობა რეგიონებში საგრძნობლად გამოცოცხლდება.

ივნისის ბოლოს, ევროპის ხელბურთის ფედერაციის დახმარებით, სემინარებს ჩავუტარებთ საშუალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებს, რის შემდეგაც ისინი მიიღებენ სერთიფიკატებს და თავის სკოლებში მეორე-მეხუთე კლასელ ბავშვებს შეასწავლიან ხელბურთის ანა-ბანას, ანუ მინი-ხელბურთს. ამ პროგრამაში საწყის ეტაპზე ჩართული იქნება თბილისის ექვსი და რეგიონების ცხრა სკოლა. მომავალში კი მათ რაოდენობას გავზრდით. საერთოდ, ყველა დალაგებულ ქვეყანაში, ბავშვები ხელბურთს 6 წლის ასაკიდან სწავლობენ, როცა ჩვენთან ასეთი ასაკი 13-15 წელიწადია. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც ქართველი ახალგაზრდა ხელბურთის სწავლას იწყებს, მის უცხოელ თანატოლს ამ დროს უკვე სადღაც 7-8 წლის სტაჟი აქვს. ამიტომაც ჩამოვრჩებით ამდენით ევროპას. ეს პრობლემა სასწრაფოდაა მოსაგვარებელი, რისთვისაც ყველაფერს ვაკეთებთ. ჩვენი ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტ თამაზ თევზაძის ძალისხმევით, ახლო ურთიერთობა ჩამოვაყალიბეთ ნორვეგიელებთან, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად, ბავშვთა ხელბურთის განვითარებაში დაგვეხმარებიან. მალე ჩვენი 1992-93 წლებში დაბადებული ჭაბუკების 7-კაციანი გუნდი ნორვეგიულ ტურნირზე წავა, რომელსაც "ტალანტების ფესტივალი" ჰქვია. ამის შემდეგ კი, ნორვეგიას ამავე ასაკის 16-კაციანი გუნდით ვეწვევით. სკანდინაველები ასევე საკუთარ თავზე იღებენ, რომ ერთ-ერთ ასაკში, საქართველოს პირველობის ჩატარების ორგანიზებაში დაგვეხმარონ .

**- ზემოთ საერთაშორისო ტურნირი ახსენეთ...**

- მოლაპარაკებას ვაწარმოებთ აზერბაიჯანის ხელბურთის ფედერაციასთან ერთობლივი ტურნირის გამართვაზე, რომელსაც სავარაუდოდ, დავარქმევთ "კავკასიის ლიგას". საწყის ეტაპზე, ამ ტურნირში იასპარეზებენ სტუ-"თელავი", "თბილისი" და ორიც აზერბაიჯანის წამყვანი კლუბი. მომავალში კი სხვა მეზობელი ქვეყნების დამატებაც შეიძლება, თუკი, რა თქმა უნდა, მათ ამის სურვილი ექნებათ. კავკასიის ლიგა ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატის პარალელურად, სექტემბრიდან დეკემბრამდე, მიმოსვლითი სისტემით. ამით მივიღებთ იმას, რომ ჩვენს წამყვან კლუბებს უფრო მეტი დაძაბული მატჩის ჩატარება მიუწევთ, ევროთასებს გაცილებით კარგ ფორმაში შეხვდებიან და ნელ-ნელა ჩამოყალიბდებიან იმ გუნდებად, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზეც მიაღწევენ წარმატებებს. ამას გარდა, უკეთ მოემზადებიან ჩვენს კლუბებში მოთამაშე ნაკრების წევრებიც. ადრე ხშირად მომხდარა, რომ აქაურ კლუბებში მოთამაშე ხელბურთელებს ნაკრებში საერთო ფიზიკური მზადების კურსის გავლა უწევდათ, რაც უბრალოდ, სასაცილოა. როდესაც მოთამაშე ნაკრებში მიდის, თავის კლუბში ისე უნდა იყოს მომზადებული, რომ ნაკრებში თანაგუნდელებთან შეთამაშების მეტი არაფერი სჭირდებოდეს.

ამას გარდა, კავკასიის ლიგის გამართვით, შესაძლებელი იქნება ტელეკომპანიებისა და ბიზნესმენების დაინტერესება. შეცდომა დავუშვით, რომ წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის ფინალების პირდაპირი რეპორტაჟი არ ვაჩვენეთ. სამაგიეროდ, ამ ფინალებმა დაგვანახა, რომ ტელეკომპანიებისა და სპონსორების მიზიდვა რეალურადაა შესაძლებელი. ეს კი ხელბურთის პოპულარიზაციის ამაღლების წინაპირობაა.

გეგმაში გვაქვს ასაკობრივი ჩემპიონატების ტურებზე, რეგიონული ტელევიზიების დაინტერესებაც. თუკი ვთქვათ, ლიმონათის მწარმოებელ რომელიმე კომპანიას იმის გარანტია ექნება, რომ რომელიმე რეგიონში გამართულ მატჩებს ადგილობრივი ტელევიზია გააშუქებს და იქ ამ კომპანიის ნაწარმის რეკლამირება მოხდება, ამაზე ალბათ არავინ იტყვის უარს.

**- დაბოლოს, ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ, რა გეგმები გაქვთ ქართული ხელბურთის უპირველეს გუნდთან დაკავშირებით?**

- ამ საკითხზე, ნაკრების მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი მუშაობს და მას გვერდში ვუდგავართ. 23-28 ოქტომბერს, ევროპის ხელბურთის ფედერაციის ეგიდით, გაიმართება "ჩელენჯ ტროფის" გათამაშება, რომელში მონაწილეობა ჩვენც გვსურს. თუმცა, ჯერ ამ ტურნირის ჩატარების სისტემა უნდა გაირკვეს, რაც 15 ივნისამდე მოხდება. სავარაუდოდ, "ჩელენჯ ტროფიზე" 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ორ ქვეჯგუფად დაიყოფა. ძალიან გვინდა, რომ ჩვენი ჯგუფის მატჩები თბილისში ჩავატაროთ და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

ჯერ კიდევ 2005 წელს ვამბობდით, რომ 2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლის პრეტენზია არ გვქონდა. შესაბამისად, ამ ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე უარს ვამბობთ. მით უმეტეს, რომ კვლავ ძველი სისტემით, იანვრის ოციოდე დღეში მოგვიწევს 6 მატჩის ჩატარება, რაც მიულებლად მიგვაჩნია.

მოკლედ, ძირითად აქცენტს ვაკეთებთ 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაზე, რის შემდეგაც 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე გასვლისთვის ვიბრძოლებთ.

2008 წლის ზაფხულში, ჩვენი ეროვნული ნაკრები ითამაშებს მსოფლიო უნივერსიადაზე. გაისადვე, ოღონდ შემოდგომით, გუნდი ჩაერთვება ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, რომელიც 2009 წლის შემოდგომამდე გაგრძელდება. სისტემა მთლიანად იცვლება. იქნება ექვსგუნდიანი ჯგუფები, საიდანაც ორ-ორი გამარჯვებული ყოველგვარი ფლეი ოფის გარეშე გავა პირდაპირ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელიც ავსტრიაში 2010 წლის იანვარში გაიმართება.

**კობა ხატისაშვილი**



# კოკაის დაღმასვლა

2003 წლის ნოემბრის შემდეგ, რაც ჰავაური წარმოშობის ფალავანმა **მუსაშიმარუმ** კარიერა დაასრულა, სუმოს ერთადერთი დიდი ჩემპიონი (იოკოძუნა) ჰყავდა. ივლისის ბაშოდან ამ ტიტულის მფლობელს, მონღოლ **ასაშორიუს** თანამემამულე **ჰაკუჰო** შეემატება. ჰაკუჰომ 15 გამარჯვებით მოიგო მაისის ბაშო. გუშინ კი საგანგებო კომიტეტმა ერთხმად დაასკვნა, რომ მას იოკოძუნას ტიტული უნდა მიენიჭოს. ჰაკუჰო სუმოს 69-ე იოკოძუნა იქნება, ის მეოთხე უცხოელია, რომელიც უმაღლეს ტიტულს შეწვდა (**აკებონო, მუსაშიმარუ, ასაშორიუ**).

ქართველმა მეორე მაეგაშირა კოკაიმ ბაშო ანტირეკორდის გამეორებით (3-12) დაასრულა. კოკაი, რა თქმა უნდა, რეიტინგში უკან დაიხევს. 25 ივნისს ახალი ბანძუკე (რეიტინგი) გამოქვეყნდება. სავარაუდოდ, ჩვენი თანამემამულე მერვე ან მეცხრე მაეგაშირა გახდება.



# სამი მედალი პოლონეთში

ამ უქმეებზე ქართველმა ძიუდოისტებმა წარმატებით იჭიდავეს პოლონეთში გამართულ ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირზე - 1 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ **გიორგი მემარნიშვილი** (73 კგ) გამოვიდა, რომელმაც 5 შეხვედრა ჩაატარა და ყველა წარმატებით. ფინალში მან შვეიცარიელი სირილ გროსკლაუსი დაამარცხა და ოქროს მედალი ირგუნა.

პირველი ბრინჯაო **ზვიად კაპანაძემ** (60) მოიპოვა. იგი ნახევარფინალში უპრობლემოდ გავიდა - ორი შეხვედრა მოიგო, იქ კი მომავალ ჩემპიონთან, აზერბაიჯანელ შარხან ახმადოვთან დამარცხდა. სანუგეშოს ფინალში მან უკრაინელი ოლეგ გლუშჩენკო დასცა და ბრინჯაოც მოიპოვა.

ანალოგიური ხარისხის მედალი **ზებედა რეხვიაშვილმაც** (66) მოიპოვა. ერთადერთი შეხვედრა მანაც მომავალ ჩემპიონთან - უკრაინელ არტემ ბულიგასთან წააგო, ოღონდ მეოთხედფინალში. მანამ ჩვენებურმა ორი მეტოქე დაამარცხა და მერე სანუგეშოშიც ამდენივე მოიგო, მედალი კი უნგრელ მარტონ კოვაჩთან ბრძოლაში მოიპოვა.

ამათ გარდა, აღსანიშნავია **ვაჟა დაბრუნდაშვილის** (+90) მეხუთე, **ოთარ კაიდარაშვილის** (50) და **გიორგი კობერიძის** (90) მეშვიდე ადგილები.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

# უკრაინამ მესამე ადგილს ჩამოგვაცილა




სამწუხაროდ, საქართველო-უკრაინის მეგობრობამ მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე არ გაჭრა - უკრაინელმა ლამაზმანებმა ქართველები დაამარცხეს და მესამე ადგილზე თავად გადავიდნენ.

პირველ დაფაზე თეთრებით **მაია ჩიბურდანიძე კატერინა ლაჰნოს** ხვდებოდა და თავიდან მცირე უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ მოსაგებაჲ რესურსი აღარ ეყო - ყაიმი. მეორე დაფაზე შავებით **ლელა ჯავახიშვილი ანა უშენინას** ეთამაშებოდა. გამარჯვებული ვერც აქ გამოვლინდა და მხარეები ყაიმზე შეთანხმდნენ გადამწყვეტი მესამე და მეოთხე დაფებზე გამართული ბრძოლები უნდა გამხდარიყო. სამწუხაროდ, როგორც უკვე არაერთხელ ამ ჩემპიონატში "დამკვრელურმა" ძალამ - მესამე-მეოთხე დაფებმა გვიმტყუნეს და მატჩიც დავთმეთ: **ნინო ხურციძე** მესამეზე თეთრებით **ინა გაპონენკოს** ხვდებოდა. დებიუტში არც ნინოს ჰქონია პრობლემები და ინიციატივასაც ფლობდა, მაგრამ შუა თამაშში ერთობ საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო - პაიკში მხედარი შესწირა, თუმცა სათანადო დივიდენდები ვერ მიიღო და უფიგუროდ დარჩენილმა მარცხი აღიარა.

მსგავსი კაზუსი მოუვიდა **სოფიკო ხუხაშვილსაც** - იმ განსხვავებით, რომ მას ფიგურა არ შეუწირავს, - იგი პოზიციურად და ელემენტარულ გათვლებში შეცდა, რის შედეგადაც ორი პაიკით ჩამორჩა, მიუხედავად იმისა, რომ ენდშპილში მეტოქეებს სხვადასხვაფერის კუ დარჩათ, რაც, უმეტეს შემთხვევაში პარტიის გადარჩენის შანსს იძლევა. სამწუხაროდ, ქართველის პოზიცია უიმედო იყო და დამარცხდა.

ამ წაგებით მესამე ადგილი დავკარგეთ. თეორიულად ჯერ კიდევ შეგვრჩენია შანსი, მაგრამ ჩვენი აზრით - არარეალურია. უკრაინელები კვლავ რომ მოვიტოვოთ უკან, ამისთვის ბოლო ტურში ჩვენ სომხები დიდი ანგარიშით (3:1, 3.5:0.5, 4:0) უნდა დავამარცხოთ, უკრაინელებმა კი ვიეტნამთან წააგონ. ჩვენ რომ სომხებს სასურველი ანგარიშით მოვუგოთ, არ არის გასაკვირი, ვიეტნამელთა მიერ უკრაინელების დიდი ანგარიშით დამარცხება კი - ძნელად წარმოსადგენია... ბოლო ტურს ერთადერთი ინტრიგა შერჩა: ვინ დაიკავებს მე-3 ადგილს. პირველ და მეორე ადგილოსნები კი - ცნობილია: მსოფლიო ჩემპიონები ჩინელები გახდნენ, ვერცხლის მედალი რუსებს ერგოთ. ჩინელებმა გუშინ ბოტსვანას მოუგეს 4:0, რუსებმა კი ჩეხებს გადაუარეს - 3.5:0.5.

**ზვიად შათირიშვილი**

| VIII ტური | |
|---|---|
| ვიეტნამი-გერმანია | 2:2 |
| ჩინეთი-ბოტსვანა | 4:0 |
| რუსეთი-ჩეხეთი | 3.5:0.5 |
| პოლონეთი-სომხეთი | 3:1 |
| საქართველო-უკრაინა | 1:3 |

| სატურნირო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. ჩინეთი | 15 (28) |
| 2. რუსეთი | 13 (20) |
| 3. უკრაინა | 12 (19.5) |
| 4. საქართველო | 10 (18) |
| 5. გერმანია | 8 (16.5) |
| 6. ვიეტნამი | 8 (16) |
| 7. პოლონეთი | 7 (16) |
| 8. სომხეთი | 4 (15) |
| 9. ჩეხეთი | 3 (11) |
| 10. ბოტსვანა | 0 (0) |

ბოლო ტური

**უკრაინა-ვიეტნამი; სომხეთი-საქართველო; ჩეხეთი-პოლონეთი; ბოტსვანა-რუსეთი; გერმანია-ჩინეთი.**

# იძებნება გოდერძი ველიჯანაშვილი

**გუშინ საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე ეს განცხადება გამოქვეყნდა**

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე: ბოლნისის რაიონის გამგეობის თანამდებობის პირების მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე.

წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ბოლნისის რაიონის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველოს 2005 წლის 10 მარტის ბრძანებით დაფუძნდა ძიუდოისტ გოგონათა სპორტული კლუბი „ნიკე", რომლის მთავარ მწვრთნელად **გოდერძი ველიჯანაშვილი** დაინიშნა.

სპორტული კლუბის საქმიანობა ბოლნისის რაონის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. საქართველოსა და სხვა ქვეყნებში ძიუდოისტ გოგონათა ნაკრების სხვადასხვა ტურნირზე მონაწილეობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გოდერძი ველიჯანაშვილის სახელზე 1.665.700 ლარი გადაირიცხა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ველიჯანაშვილი ხელოვნურად ზრდიდა სხვადასხვა ტურნირისა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრების მონაწილეთა რაოდენობას. სპორტსმენები ტურნირებზე არ მიჰყავდა, ღონისძიებებისთვის გამოყოფილ თანხებს კი თავად ითვისებდა.

გოდერძი ველიჯანაშვილმა მისთვის გამოყოფილი თანხის კანონიერების დასადასტურებლად, არაერთგზის დაამზადა ყალბი საგადასახადო დოკუმენტები (სხვადასხვა სასტუმროსა და ოტელში სპორტსმენთა ღამის თევისა და კვების დამადასტურებელი საბუთები. აგრეთვე, საავიაციო და სატრანსპორტო ფირმების ბილეთები), რომლებიც ბოლნისის რაონის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველოს ბუღალტერიაში წარადგინა. მის მიერ მითვისებულმა თანხამ 579.862 ლარი შეადგინა.

გოდერძი ველიჯანაშვილი თავს არიდებს წინასწარ გამოძიებას. ამიტომ იგი დაუსწრებლად იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ" და მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტებით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" და 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. გამოძიების შუამდგომლობის საფუძველზე რუსთავის საქალაქო სასამართლომ ველიჯანაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და მასზე გამოაცხადა ძებნა.

ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება გოდერძი ველიჯანაშვილის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულებრივ ფაქტებზე და დგინდება ბოლნისის რაიონის გამგეობის თანამშრომლების როლი ველიჯანაშვილის დანაშაულებრივ საქმიანობაში.

საქართველოს პროკურატურა

თარიღი

**ჯემალ ნათელაშვილი.** დაიბადა 29.05.1944, დუშეთი. ძიუდო, სამბო (70 კგ). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ძიუდოში (1968) და სსრკ ჩემპიონატის მეორე პრიზიორი სამბოში (1966). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი.

ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა

კლასიფიკაცია

# შაფათავას მიღწევა

ქართულ ჩოგბურთს ვაჟთა ტალანტების ნაკლებობა აშკარად ეტყობა. მხოლოდ ორი საერთაშორისო დონის ჩოგბურთელი გვყავს და ისინიც ტრავმების გამო ხშირად უქმობენ. **ლადო ჩიხლაძეს** ინდივიდუალურ ასპარეზზე თვეა არ უთამაშია, ხოლო **ირაკლი ლაბაძე** ბოლოს ტურნირებზე ნოემბერში ვიხილეთ. ბუნებრივია, მათი მდგომარეობა მსოფლიო კლასიფიკაციაში დღითიდღე უარესდება. გუშინ ATP-იმ ახალი რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ჩვენი პირველი ჩოგანი ლაბაძე მსოფლიო კლასიფიკაციაში 202-ე ადგილზეა, რაც წინა კვირის შედეგს ერთი ადგილით ჩამორჩება. უფრო მნიშვნელოვნად დაიკლო ლადო ჩიხლაძემ, ის მსოფლიოს 476-ე ჩოგანია (-7). ირაკლის 202 სარეიტინგო ქულა აქვს, ლადოს - 59. **ნოდარ ითონიშვილი** 2 ქულით მსოფლიოს 1348-ე ჩოგანია (-7).

ახლახან უკრაინულ ჩერკასიში 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში სამი ქართველი მონაწილეობდა. 19 წლის ნოდარ ითონიშვილი მე-10 ნომრად განთესეს, ხოლო ნაკრების წევრები 18-18 წლის **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია** განუთესავები იყვნენ. პირველი ბრძოლას ჭანტურია გამოეთიშა, რომელიც რუს **ერვანდ გასპარიანთან** (1292) დამარცხდა - 6:2, 3:6, 6:7. ითონიშვილმა იოლად მოუგო ბელარუს **ალექსანდრ ვასილევსკის** - 6:3, 6:0. მოიგო ხრიკაძემაც, მან უკრაინელი **სტანისლავ გოტმანი** დაამარცხა - 6:2, 6:2. მეორე წრეში ხრიკაძე რუს **ალექსეი მილერთან** დამარცხდა - 7:5, 5:7, 3:6. ითონიშვილმა კვლავ იმარჯვა, ამჯერად მან უკრაინელი **დმიტრო ბოდანოვი** დაამარცხა - 6:0, 6:3. ჩერკასის ტურნირის ძირითად ბადეში საბოლოოდ ვერც ნოდარ ითონიშვილი გავიდა, რადგან ქართველმა ჩოგბურთელმა ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში უკრაინელ **ვლადისლავ კლიმენკოსთან** (1292) წააგო - 4:6, 3:6. როგორც ხედავთ, დამაიმედებელ შედეგებს ვერც ახალგაზრდები აჩვენებენ.

ქალთა რეიტინგ-ლისტში კვლავ 11 ჩვენებურია. ჩვენს პირველ ჩოგანს **მაკა ჩახნაშვილს** 202 ქულა აქვს და მსოფლიოს 152-ე ჩოგანია, მისი მდგომარეობა ბოლო კვირის განმავლობაში არ შეცვლილა. სამი საფეხურით დაიხია უკან **ანა ტატიშვილმა**, რომელიც 68 ქულით მსოფლიოს 325-ე ჩოგანია. შემდეგ მოდის **სალომე დევიძე**, 27 ქულით დევიძე მსოფლიო კლასიფიკაციის 532-ე საფეხურზეა (+7). მნიშვნელოვნად დაიხია უკან **სოფიო მელიქიშვილმა**, ის 19 ქულით მსოფლიოს 645-ე ჩოგანია (-82). გასულ წელს მელიქიშვილი მსოფლიოს 259-ე ჩოგანი იყო, რეგრესი აშკარაა.

სხვა ქართველები: 655 (+61) **სოფიო შაფათავა**, 772 (+1) **ოქსანა კალაშნიკოვა**, 788 (+1) **ეკა გორგოძე**, 790 (-46) **მანანა შაფაქიძე**, 1023 (+62) **სოფიო ქვაცაბაია**, 1301 (+3) **მარიამ ქურდაძე** და 1326 (+11) **თეონა ცერცვაძე**. შაფათავა, კალაშნიკოვა და ქვაცაბაია ასე მაღლა რეიტინგში არ ყოფილან. ამ კვირაში ქართველები მხოლოდ სტამბოლში 10-ათასიან ტურნირზე არიან: სოფიო შაფათავა, მანანა შაფაქიძე და სოფიო ქვაცაბაია ძირითად ბადეში, ხოლო ურეიტინგო **თინათინ ყაველაშვილი** - საკვალიფიკაციოში. მაკა ჩახნაშვილი უკვე გამოვარდა "როლან გაროსის" საკვალიფიკაციო ბადიდან, ანა ტატიშვილს ბებია გარდაეცვალა და თბილისშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# პირველობა ფავორიტებს დარჩათ

დასრულდა ახალგაზრდული საჩოგბურთო ტურნირი, რომელშიც 10-12-14 და 16-წლამდელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შეჯიბრებას კომპანია "იუ-ჯი-თი" სპონსორობდა და ტურნირიც მისი სახელობის იყო. - "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის ღია პირველობა იუ-ჯი-თის თასზე".

რამდენიმე ჩოგბურთელის გარდა, რომლებიც უცხოეთში თამაშობენ, ყველა უძლიერესმა მოიყარა თავი.

16-წლიანებში გამარჯვებულები ერთი დღით ადრე გამოვლინდნენ, რომელთა შესახებაც "ლელომ" უკვე ამცნო მკითხველს, თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: გოგონებში **ანა ჯიქიამ** გაიმარჯვა, ბიჭებში კი **შოთა პაიჭაძემ**. პაიჭაძე პირველ ნომრად იყო განთესილი და მისი გამარჯვება ლოგიკური იყო, მაგრამ ანა ჯიქიას ზეობა ოდნავი მოულოდნელობის ეფექტს ნამდვილად ატარებს, - ის მესამე ნომრად იყო განთესილი, პირველი ნომერი **ნინო სუჯაშვილი** გახლდათ, მაგრამ ანამ ნახევარფინალში ორ სეტში აჯობა - 7:5, 6:3.

14-წლიანებში მოიგო იმან, ვისაც უნდა მოეგო, თუმცა **გიორგი ციცაძე** მეორე ნომერი იყო - აქ პირველ ნომრად **დათო ხუციშვილი** ითვლებოდა. ციცაძემ ხუციშვილი ფინალში იოლად - 6:4, 6:1 დაამარცხა. გოგონებში **სალომე კვიტაშვილმა** პირველი ნომრობა არ შეარცხვინა და ფინალში **თამარ კომახიძესთან** პრობლემები არ შექმნია - 6:2, 6:0. თამარი მეხუთედ იყო განთესილი და ამის გამო ფინალისტობა კარგ შედეგად უნდა ჩაეთვალოს.

12-წლიანებში პირველ ნომრად განთესილებმა იმარჯვეს თანაც ისე, რომ მთელი ტურნირი ერთი სეტიც არ წაუგიათ და მეტიც - საშიშროების წინაშეც არ მდგარან... ფინალური ორთაბრძოლა გოგონებში **ბარბარე ერისთავმა ანი გოგვაძეს** 6:3, 6:1 მოუგო, ხოლო ბიჭებში **სანდრო დავლიანიძემ მიშიკო ხმიადაშვილი** დაამარცხა - 6:4, 6:4. გოგვაძეც და ხმიადაშვილიც განთესვით მეორე ნომრები იყვნენ.

ოდნათ დაირღვა "წესი" ათწლიანებში. ბიჭებში არც არაფერი შეცვლილა, - ვისაც პირველი ნომერი ჰქონდა მინიჭებული, ასევე დაასრულა ტურნირი - **ალექსანდრე ბაქშიმ** მეორე ნომრად განთესილი **გიორგი დათაშვილი** დაამარცხა - 6:1,6:0. გოგონებში კი მეოთხე ნომრად განთესილმა **მარი ჭიჭაშვილმა** იმარჯვა. ჭიჭაშვილმა მეოთხედფინალში მეექვსე ნომერი **ელენე ყარანგოზიშვილი** დაამარცხა; ნახევარფინალში კი პირველ ფავორიტს, **ანი ჩიტიშვილს** დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:1, 6:1. შედარებით გაუჭირდა მარის ფინალში, სადაც მესამე ნომერ **ნანო ჯანელიძეს** სამ სეტში აჯობა - 3:6, 7:5, 7:4.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

# ლებრონი გამოფხიზლდა

**აღმოსავლეთი**

**კლივლენდი-დეტროიტი 88:82**

22:22, 24:21, 16:20, 26:19

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (32 ქ. 9 მ. 9 პ. 2 ჩ), ილგაუსკასი (16 ქ. 7 მ), პავლოვიჩი (13 ქ. 5 პ. 2 ჩ), გუდენი (12 ქ. 6 მ).

**დეტროიტი:** რ. უოლასი (16 ქ), უებერი (15 ქ. 7 მ), ბილაპსი (13 ქ. 2 ჩ), პრინსი (13 ქ), მაკ-დაესი (8 ქ. 9 მ).

**სერია 1:2**

ამ სერიაში მოვლენები ისეთივე სცენარით ვითარდება, როგორც დასავლეთის ფინალში. "დეტროიტმა" შინ ორი მატჩი მოუგო მეტოქეს და სტუმრად ფავორიტის რანგში ჩავიდა. მაგრამ, ისევე როგორც "იუტამ", "კლივლენდმაც" მოახერხა სერიაში ანგარიშის მინიმუმამდე დაყვანა.

თუმცა თუ "იუტამ" "სპურსი" საშინელი ანგარიშით გაანადგურა, "კავალიერზისა" და "პისტონზის" რიგით მესამე დაპირისპირებაში ბოლომდე დიდი ბრძოლა იყო, ყველაფერი კი **ლებრონ ჯეიმსის** ბრწყინვალე თამაშმა გადაწყვიტა.

მატჩის სტარტზე, მასპინძლებმა მცირე ნოკდაუნში გაგზავნეს მეტოქე - "კლივლენდი" 7:0 დაწინაურდა. თუმცა პირველი მეოთხედის ბოლო წამზე სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს - 22:22.

მეორე მეოთხედი "დეტროიტის" მცირე უპირატესობით მიმდინარეობდა. უფრო სოლიდური ანგარიშით დაწინაურებაში მას ხელს ჯეიმსი უშლიდა, რომელმაც მეორე 12-წუთეულში 12 ქულა მოიხვეჭა.

მოკლედ, ქულა-ქულაზე თამაში მეოთხე მეოთხედის მესამე წუთამდე მიდიოდა. ანგარიში 68:68 იყო და სწორედ აქ "აფეთქდა" "კლივლენდი". ლებრონმა კინალამ მოგლიჯა მეტოქის ფარი, რასაც მალე **ჟიდრუნას ილგაუსკასის** ზუსტი ტყორცნაც მოჰყვა - 72:68.

გადამწყვეტ მომენტში კარგად ითამაშა მასპინძლების დებიუტანტმა - **დანიელ გიბსონმა**. სწორედ მისი სამქულიანის წყალობით, "კლივლენდი" ხუთი ქულით გავიდა წინ - 77:72.

"კავალიერზი" ამ უპირატესობას ინარჩუნებდა, ხოლო, როცა გიბსონმა **ტაიშონ პრინსს** ჩაუჭრა ბურთი და მისი პასით ლებრონმა სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ კი, ილგაუსკასმა ამას ორი ქულაც დაამატა, მასპინძლები 8 ქულით გავიდნენ წინ - 84:76. აშკარა იყო, რომ "დეტროიტი" მატჩის გადარჩენას ვეღარ შეძლებდა.

ამჯერად ჩააგდეს მატჩი "დეტროიტის" წამყვანმა კალათბურთელებმა - **ჩონსი ბილაპსმა და რიჩარდ ჰემილტონმა**. პირველმა 14-დან 4 "ცოცხალი" ტყორცნა მოათავსა კალათაში, ჰემილტონმა კი 8-დან 2 ბურთი ჩააგდო.

რა თქმა უნდა, მატჩის შემდეგ "კლივლენდის" მთავარმა მწვრთნელმა - **მაიკ ბრაუნმა** ცალკე გამოყო ამ გამარჯვებაში ლებრონ ჯეიმსის წვლილი: *"ლებრონმა თავის თავზე აიღო ამ თამაშზე პასუხისმგებლობა. ჩვენ ყველას მისი იმედი გვქონდა და მანაც არ დაგვალალატა".*

*"მზად ვიყავი მოვლენების ამგვარი განვითარებისთვის. ეს სერია, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემს კარიერაში და იქნებ გუნდის ისტორიაშიც. ეს კარგად ვიცი და ამიტომაც 100 პროცენტზე მეტადაც ვიხარჯები მოედანზე"*, - განაცხადა მატჩის გმირმა, რომელსაც სამმაგ დუბლამდე თითო მოხსნა და პასი დააკლდა.

წინ არის სერიის უმნიშვნელოვანესი მეოთხე მატჩი, რომელიც ისევ "კლივლენდის" მოედანზე გაიმართება. "დეტროიტმა" უნდა დაამტკიცოს ფავორიტის სტატუსი და ისიც, რომ რეგულარულში, საუკეთესო შედეგი ჰქონდა გასვლით მატჩებში.

სხვათა შორის, ეს გუნდები შარშანდელ ფლეი ოფშიც შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინაც, სერია "დეტროიტმა" 2:0 წაიყვანა, რასაც "კლივლენდის" სამმატჩიანი მოგებათა სერია მოჰყვა. მაგრამ, საბოლოოდ, მომდევნო წრეში მაინც "პისტონზი" გავიდა.



ლებრონ ჯეიმსი

**ჩოგბურთი**

საფრანგეთის ღია პირველობა

# კოკისპირულმა როლან გაროსი დახურა

პარიზის როლან გაროსის კორტებზე კვირას დაწყებულ საფრანგეთის ღია პირველობაზე კვლავაც სტიქია ბატონობს. წვიმის გამო გუშინაც რამდენჯერმე შეწყდა თამაში და თუ კვირას შვიდი შეხვედრის დასრულება მოხერხდა, გუშინ მეორე წრეში მხოლოდ ექვსმა ჩოგბურთელმა გააღწია.

გუშინაც თამაში რამდენიმე საათის დაგვიანებით დაიწყო. წვიმა მხოლოდ საათნახევრით-შეწყდა, მერე კი კვლავ დაუშვა. საღამოს კიდევ ერთხელ, მცირე ხნით გადაიღო და მერე ცამ ისევ მოხსნა პირი. ჰოდა, ტურნირის ორგანიზატორები რომ დარწმუნდნენ, გადაღებას აღარ აპირებსო, ყველა შეხვედრა, მათ შორის მსოფლიოს პირველ ჩოგან **როჯერ ფედერერისა**, დღეისათვის გადმოიტანეს.

ამინდის "მშრალი ფანჯრით", ლიდერთაგან ყველაზე უკეთ ისარგებლეს ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა** და რუსმა **ნიკოლაი დავიდენკომ**, რომლებმაც იოლად დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები - ფრანგი ამომავალი ვარსკვლავი **ალის კორნე** და იტალიელი **სტეფანო გალვანი**.

კორტზე გამოსვლა მოასწრო ფედერერმაც, ვინც ამერიკელ **მაიკლ რასელს** პირველი სეტი 6:4 მოუგო, მეორეს კი 4:1 იგებდა, მაგრამ წვიმა სწორედ ამ დროს წამოვიდა, რის გამოც ჩოგბურთელებს კვლავ გასახდელში უხმეს. ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა ხორვატი **ივან ლიუბიჩიჩიც**, ვინც პირველი ვეტი 6:1 მოუგო ფრანგ **არნო კლემანს**, მეორეში კი ანგარიში თანაბარი (4:4) იყო, როცა თამაში შეწყდა.

ვენუსს და კორნეს კვირას უნდა ეთამაშათ, მაგრამ ისევ წვიმის გამო, მთელი დღე გასახდელში გაატარეს. გუშინაც, სანამ კორტზე გამოსვლის საშუალება მიეცემოდათ, სამი საათი ითმინეს, სანამ ამინდი გამოსწორდებოდა. ჰოდა, ამერიკელმა, ვინც ერთ დროს მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, ლოდინით დაგროვილი ჯავრი თავის 17 წლის მეტოქეზე იყარა. თუმცა მოსაგებად მაინც დიდი გარჯა დასჭირდა.

პირველ სეტში მას თავის სერვისზე ოთხჯერ მოუწია ქულის შესანარჩუნებლად ბრძოლა. კორნე, ვისაც რეიტინგში 118-ე ადგილი უკავია და პროფესიულ კარიერაში არასოდეს მოუგია ტურნირი, თავისი თამაშით კმაყოფილი დარჩა. მეორე სეტში მას კიდევ ჰქონდა ბრეიკის შანსი, მაგრამ ამერიკელმა კვლავ გადაარჩინა ქულა და კვლავ ერთი ბრეიკის წყალობით მოიგო.

*"ამ ეტაპზე, ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ტრავმა არ მივიღო და რაც შეიძლება ბევრ შეხვედრაში მივიღო მონაწილეობა. სხვაგვარად ვერც ვიფიქრებდი, რადგან ბოლო რამდენიმე სეზონია, ჩემი ძირითადი პრობლემა ტრავმებია. თუ ტრავმებს აღარ მივიღებ, იმის შანსიც მექნება, რომ კიდევ ერთხელ მოვიგო დიდი სლემის ტურნირი"*, - განაცხადა 26 წლის ამერიკელმა, ვინც დიდი სლემის წინა ორ ტურნირზე მაჯის ტრავმის გამო ვერ ითამაშა, ისე კი კარიერაში ხუთი სლემ-ტიტული აქვს მოპოვებული.

გაცილებით იოლად მოიგო დავიდენკომ, რაშიც მას ხელი მეტოქემაც შეუწყო. მესამე სეტში, როცა რუსს მატჩ პოინტი ჰქონდა, კვლავ გაწვიმდა. მაგრამ გალვანის მიერ დარტყმული ბურთი პერიმეტრს გასცდა და შეხვედრაც ასე დასრულდა.

*"მესამე სეტის ხუთი გეიმის შემდეგ, როცა 4:1 ვიგებდი, გავიფიქრე, რომ კიდევ ერთი ბრეიკი მჭირდებოდა იმისათვის, რომ წვიმისთვის მომესწრო. მინდოდა, რომ შეხვედრა დღესვე დამესრულებინა"*, - ნამატჩევს ყვებოდა დავიდენკო, ვისაც თურმე სანერვიულო მანამდეც ბევრი ჰქონია, სანამ სასტუმროდან კორტებზე მივიდოდა. საქმე ისაა, რომ გზად საცობში მოყვა და წვიმა რომ არა, თამაშზე დააგვიანდებოდა. რა მოჰყვებოდა ამას, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს - დავიდენკოს წაგება ჩაეთვლებოდა.

დავიდენკომ პირველი სეტი ერთი ბრეიკის წყალობით მოიგო. შემდეგ კი იტალიელისგან, ვინც თავის კარიერაში არასოდეს გასცდენია დიდი სლემის ტურნირების მეორე წრეს, ჯეროვან წინააღმდეგობას აღარ წასწყდომია. მეორე სეტის პირველ ორ გეიმში მეტოქეებმა თითო ქულა აიღეს, რის შემდეგაც დავიდენკომ ზედიზედ ექვსი გეიმი მოიგო.

ანალოგიური სცენარით წარიმართა მესამე სეტიც. დავიდენკომ მეტოქის სერვისი მეოთხე გეიმში აიღო და ეს მეექვსეშიც გაიმეორა, შეხვედრას კი წერტილი თავის სერვისზე დაუსვა. ცნობისათვის, ყველაზე რეალური მეტოქე, ვინც შეიძლება ფედერერს ფინალში გასვლაში ხელი შეუშალოს, სწორედ დავიდენკოა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ვენუს უილიამსი

**კაცები**

ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)-სტეფანო გალვანი (იტა) 6:3, 6:1, 6:1

**ქალები**

**ტატიანა გარბინი (იტა, 19)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 7:6(2), 6:4; **ეშლი ჰერკლროუდი (აშშ)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 6:2, 7:6(1); **ლი ნა (ჩინ, 16)**-სანდრა კლიოზელი (გერ) 7:6(4), 6:0; **სამანტა სტოშური (ავსტრა, 27)**-ჯამეა ჯეკსონი (აშშ) 6:1, 6:2; **ვენუს უილიამსი (აშშ, 26)**-ალის კორნე (საფ) 6:4, 6:3; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-სევერინ ბრემონი (საფ, 31) 6:3, 6:3

**ჰოკეი**

## პიტსბურგმა კიდევ ერთი ახალგაზრდა დაიმატა

ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველაზე ახალგაზრდულმა გუნდმა - "პიტსბურგ პინგვინზმა" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა ახალგაზრდა მცველ **ჯონათან დ'ავერსასთან**.

21 წლის ჰოკეისტმა ბოლო ოთხი სეზონი ონტარიოს პროვინციის ლიგაში გაატარა, სადაც მაღალი შედეგიანობით გამოიჩინა თავი, გასულ სეზონში კი, დ'ავერსა მცველებს შორის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. სულ კი, 259 მატჩში, მან 26 შაიბა გაიტანა და 124 შედეგიანი გადაცემა გააკეთა - იტყობინება NHL-ის ოფიციალური ვებ-გვერდი.

**კალათბურთი**

## ბენეტონი ქალაქს იცვლის

თავის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი სეზონის შემდეგ, იტალიის "ბენეტონმა" შესაძლოა ქალაქი გამოიცვალოს.

კლუბის პრეზიდენტი **ჯილბერტო ბენეტონი** ქალაქ ტრევიზოს დატოვებასა და პანტოვაში გადაბარგებას გეგმავს. ეს ქალაქი ვენეციის ახლოს მდებარეობს.

პანტოვაში "ბენეტონი" "პალავენტო არენაზე" ჩაატარებს თამაშებს. ეს დარბაზი 9 ათას მაყურებელს იტევს, იმ დროს, როცა ტრევიზოში, "ბენეტონის" საშინაო არენაზე მხოლოდ 5 ათასი ადამიანი ეტევა.

## სტუდენტები სამქულიანს შორიდან ისვრიან

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ამერიკის სტუდენტურმა ლიგის (NCAA) ხელმძღვანელობამ ფარსა და სამქულიან ხაზს შორის მანძილის გაზრდა გადაწყვიტა.

დღეისათვის, ეს ხაზი ფარიდან 19 ფუტსა და 9 დუიმზე (6.02 მეტრი) არის დაშორებული და ახლა, ეს მანძილი 20 ფუტი და 9 დუიმი იქნება (6.32 მეტრი). ანუ, სიგრძე ზუსტად 1 ფუტით (30 სმ) გაიზარდა.

## დერონ უილიამსმა ჯაზმენთა ვარჯიში გამოტოვა

დღეს დილით, სოლტლეიკსიტიში დასავლეთი კონფერენციის ფინალური სერიის მეოთხე მატჩი უნდა გამართულიყო - "იუტა" "სან ანტონიოს" მასპინძლობდა.

მატჩის წინ, გაურკვეველი იყო, შეძლებდა თუ არა თამაშს "ჯაზის" ახალგაზრდა გამთამაშებელი **დერონ უილიამსი**. ამ კალათბურთელმა გუნდის ბოლო ვარჯიში გამოტოვა. უილიამსი დარბაზში კი გამოცხადდა, მაგრამ მოედანზე არ გასულა, რადგან მოწამვლის ნიშნები აღენიშნებოდა. საბოლოოდ, მთავარმა მწვრთნელმა **ჯერი სლოუნმა** დერონი შინ გაუშვა.

უილიამსი **კარლოს ბუზერთან** ერთად, სერიის მესამე მატჩის გმირი გახდა. კვირას მოპოვებული გამარჯვებით, "იუტამ" "სან ანტონიოსთან" სერიაში მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა (1:2).

**ავტოსპორტი**

## მაკლარენში ფავორიტები არ არიან

ფორმულა 1-ის წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერის "მაკლარენის" შეფი **რონ დენისი** არ ეთანხმება მათ, ვინც ამტკიცებს, რომ მონაკოს გრან-პრიზე გუნდური სტრატეგიის შემუშავებისას, საჯინიბოს ხელმძღვანელებმა აქცენტი **ფერნანდო ალონსოზე** გააკეთეს.

*"ბევრს ჰგონია, რომ ამ ჩემპიონატში ჩვენი ფავორიტი ფერნანდო ალონსოა, ზოგიერთს კი, ასეთად ლუის ჰემილტონი მიაჩნია. მაგრამ სინამდვილეში, "მაკლარენი" თვალს ადევნებს იმას, რომ ორივე პილოტს წარმატების მიღწევის თანაბარი შანსი ჰქონდეს. ჩვენ ფავორიტი არ გვყავს"*, - აცხადებს დენისი.

ინდი 500

# ნვიმამ ფრანკიტი ახეირა

შოტლანდიელი **დარიო ფრანკიტის** გამარჯვებით დასრულდა ავტოსპორტის ისტორიაში ყველაზე დასწრებადი რბოლა - ინდიანაპოლისის 500 მილი, რომელიც ძლიერი წვიმის გამო, ორჯერ შეწყდა (ინდი რეისინგ ლიგის წესებით, ოვალზე წვიმაში რბოლა აკრძალულია) და დაგეგმილი 200-ის ნაცვლად, 166 წრის შემდეგ დასრულდა.

34 წლის ფრანკიტი სულ მეორე შოტლანდიელი პილოტია, ვინც ძველი აგურნაშენის (ინდიანაპოლისის ტრეკს ხშირად ასეც მოიხსენიებენ, რადგან თავიდან მისი გზის საფარი აგურით იყო აწყობილი) რბოლა მოიგო. პირველად ეს ლეგენდარულმა **ჯიმ კლარკმა** 1965 წელს, "ლოტუსის" ბოლიდით შეძლო. შეგახსენებთ, რომ კლარკი ორჯერ გახდა ფორმულა ერთში მსოფლიოს ჩემპიონი.

*"ვინ წარმოიდგენდა, თუ ამას შევძლებდი? ეს ინდი 500-ია და მე ის მოვიგე. ეს დაუჯერებელია. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ყველა თანაგუნდელს, რომლებმაც ჯაფა გასწიეს ჩემი ცხოვრების ყველაზე გამორჩეული გამარჯვებისთვის, რბოლის დასაწყისში სტრატეგიის შეცვლა მოგვიხდა, რამაც საბოლოოდ, გამარჯვება მოგვაპოვებინა. ეს ნამდვილი სასწაულია"*, - განაცხადა ფრანკიტიმ, ვინც "ანდრეტი-გრინის" გუნდის "დალარა-ჰონდას" ბოლიდს მართავდა.

ფრანკიტის თანაგუნდელმა და იმავდროულად, გუნდის თანამფლობელმა, სახელოვანი სარბოლი დინასტიის წარმომადგენელმა **მაიკლ ანდრეტიმ** კვლავ ვერ მიაღწია მიზანს - ვერ მოიგო ინდი 500, რბოლა, რომლის მოსაგებადაც, ორწლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა სარბოლი ბოლიდის საჭეს. იმ დროს, როდესაც ინდის ორგანიზატორებმა რბოლა წვიმის გამო საბოლოოდ შეწყვიტეს, ანდრეტის მე-13 ადგილი ეკავა. მაიკლის შვილს, მისსავე გუნდში მოასპარეზე **მარკო ანდრეტის** კი, რბოლის ნაადრევად დასრულებამდე ოთხი წრით ადრე, ავარია მოუვიდა, რითაც მეტწილად განაპირობა შოტლანდიელის ტრიუმფი.

ავარიას ტრასაზე პეისკარის გამოსვლა მოჰყვა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სანამ ის არ გავიდოდა, გასწრება არ შეიძლებოდა. ამასთან, ცა კვლავ მოიღრუბლა და აშკარა იყო, რომ წუთი-წუთზე კვლავ გაწვიმდებოდა. *"რვა კვარტალს იქით უკვე წვიმს"*, - შეატყობინა თავის პილოტს გუნდის მენეჯერმა **ჯონ ანდერსონმა**. და მართლაც, რამდენიმე წუთში გაწვიმდა. იმ მომენტში სწორედ ამაზე ვოცნებობდიო, - ნარბოლევს განაცხადა ფრანკიტიმ, ვინც 10.5-მილიონიანი საპრიზო ფონდიდან 1.5 მილიონ დოლარს მიიღებს.



დარიო ფრანკიტი და ეშლი ჯადი გამარჯვებას ზეიმობენ

რბოლა რომ დასრულდა, დარიოს ერთ-ერთმა პირველმა მისმა მეუღლემ, ცნობილმა მსახიობმა **ეშლი ჯადმა** მიულოცა, რომელიც კოკისპირულ წვიმას არ შეუშინდა, თავისი ტრიუმფატორი ქმრისკენ გაიქცა და თან, ფეხსაცმელიც გაიხადა - ემანდ, არ დავეცე და მუხლები არ დავიმტვრიოო.

რბოლაში სამი ქალი პილოტი მონაწილეობდა. მათგან ყველაზე კარგი შედეგით ასპარეზობა ამერიკელმა **დანიცა პატრიკმა** დაასრულა, ვინც ფინიშს მერვემ მიაღწია. კიდევ ერთი ამერიკელი, **სარა ფიშერი** ფინიშთან მე-18 იყო. რაც შეეხება კარაკასელ (ვენესუელა) **მილკა დუნოს**, 65-ე წრეზე მას ავარია მოუვიდა.

დაბოლოს, ისევ ანდრეტის ოჯახის შესახებ. შეგახსენებთ, რომ სახელოვან დინასტიას ფორმულა ერთის ყოფილმა ჩემპიონმა, **მარიო ანდრეტიმ** ჩაუყარა საფუძველი, რომელმაც ინდი 500 ერთხელ, 1969 წელს მოიგო. მაიკლი მიზანთან რამდენჯერმე ახლოს იყო, მაგრამ ყოველთვის ხელმოცარული რჩებოდა. რბოლის მოგება შარშან მის შვილს, მარკოს შეეძლო, მაგრამ მან ფინიშის ხაზი მეორემ გადაკვეთა.

სხვათა შორის, გუშინდელ რბოლაში "ანდრეტი-გრინმა" ხუთი მანქანა გამოიყვანა, რომელთაგან რბოლის ერთ მომენტში, სამს მოწინავე სამი პოზიცია (ბრაზილიელი **ტონი კანაანი** ლიდერობდა, მეორე მარკო ანდრეტი იყო, მესამე კი - დანიცა პატრიკი) ეკავა. ამ სამიდან კანაანი რბოლას ყველაზე მეტ წრეზე ლიდერობდა, მაგრამ ბოლო პიტ-სტოპის შემდეგ, 166-ე წრეზე ის **ჟაკ ლაზიეს** ბოლიდს დაეჯახა და რბოლას გამოეთიშა.

არადა, ამ ავარიამდე მან პიტსტოპის დროს მხოლოდ ორი საბურავი გამოცვალა, რაც წესით აკრძალულია. ამის გამო, მსაჯებმა ის ბოქსებში კიდევ ერთხელ იხმეს, საიდან გამოსულსაც ლაზიესთან ინციდენტი შეემთხვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### 91-ე ინდი 500

**მანძილი:** 664 კმ (სტანდარტული 800 კმ - 500 მლ)
**წრეები:** 166 (სტანდარტული 200)
**პეისკარის გამოსვლა:** 11 (55 წრეზე)
**ლიდერის ცვლილება:** 23 - 9 პილოტს შორის

1. **დარიო ფრანკიტი** (შოტლანდია, დალარა-ჰონდა) 2 სთ 44 წუ 03.5608 წმ, საშ.სიჩქარე - 243 კმ/სთ (151.774 მლ/სთ); 2. **სკოტ დიქსონი** (ახ.ზელანდია, დალარა-ჰონდა) ჩამორჩენა 0.3610 წმ; 3. **ჰელიო კასტრონევესი** (ბრაზილია, დალარა-ჰონდა) იმავე წრეში (166 წრე); 4. **სემ ჰორნიშ უმცროსი** (აშშ, დალარა-ჰონდა) 166 წრე; 5. **რაიან ბრისკო** (ავსტრალია, დალარა-ჰონდა) 166 წრე; 6. **სკოტ შარპი** (აშშ, დალარა-ჰონდა) 166 წრე; 7. **ტომას შექტერი** (სამხ.აფრიკა, დალარა-ჰონდა) 166; 8. **დანიცა პატრიკი** (აშშ, დალარა-ჰონდა) 166; 9. **დეივი ჰემილტონი** (აშშ, დალარა-ჰონდა) 166; 10. **ვიტორ მეირა** (ბრაზილია, დალარა-ჰონდა) 166; 11. **ჯეფ სიმონსი** (აშშ, დალარა-ჰონდა) 166; 12. **ტონი კანაანი** (ბრაზილია, დალარა-ჰონდა) 166; 13. **მაიკლ ანდრეტი** (აშშ, დალარა-ჰონდა) 166; 14. **ეი.ჯეი. ფოიტი IV** (აშშ, დალარა-ჰონდა) 165; 15. **ალექს ბარონი** (აშშ, დალარა-ჰონდა) 165...



მსოფლიო რეკორდი

# ლისენკომ თავისივე რეკორდი გააუმჯობესა

ქალაქ სოჭში, რუსეთის ჩემპიონატზე ასპარეზობისას, უროს ტყორცნაში მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა ევროპის ჩემპიონმა **ტატიანა ლისენკომ**. მან ურო 78.61 მეტრზე გასტყორცნა და თავისივე ძველი სარეკორდო მაჩვენებელი (77.80 მეტრი), რომელიც შარშან, ტალინში დააფიქსირა, 81 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

რუსი უროს მტყორცნელის კარიერაში, ეს მსოფლიოს მეოთხე რეკორდია. სანამ რეკორდების დამხობას მიჰყოფდა ხელს, ლისენკო ჰელსინკის (2005 წლის) მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალს დასჯერდა, შარშან კი ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა. სულ მის ანგარიშზე მსოფლიოს ოთხი რეკორდი მოდის.

ლისენკომ სარეკორდო ტყორცნა პირველივე ცდაზე შეასრულა. მის გარდა კი, ტურნირზე ბრწყინვალე შედეგი კიდევ რამდენიმე მტყორცნელმა დააფიქსირა. ევროპის ჩემპიონს ყველაზე მეტად მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი, **გულფია ხანაფეიევა** მიუახლოვდა, რომელმაც ურო 77.36 მეტრზე გაისროლა (პირადი რეკორდი). სხვათა შორის, ევროპის შარშანდელ ჩემპიონატზე ხანაფეიევა ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ეს ორი მტყორცნელი მალე მონაწილეობას მიიღებს ზნამენსკების სახელობის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც მათ გარდა გამოვლენ ფრანგი **მანუელა მონტებრუნი**, პოლონელი **კამილა სკოლიმოვსკა**, გერმანელი **ბეტი ჰაიდლერი** და კუბელი **იიპსი მორენო**.

ლისენკომ სეზონი შესანიშნავად დაიწყო - აპრილში სოჭშივე, სეზონის საუკეთესო შედეგი (77.30 მეტრი) აჩვენა, თუმცა სოჭამდეც და სოჭის შემდეგაც, ორ ტურნირზე განიცადა მარცხი. ჯერ იალტაში (უკრაინა), ევროპის თასის ეტაპზე ასპარეზობისას, მონტებრუნთან წააგო, შემდეგ კი დოჰაში, ყატარის სუპერ დიდ პრიზზე, სკოლიმოვსკასთან დამარცხდა. ჰოდა, ორივე მარცხისთვის, ზნამენსკების მემორიალზე შეუძლია რევანშის აღება.

ყველაზე მთავარი კი მისთვის მსოფლიოს ჩემპიონატია, რომელსაც აგვისტოში იაპონიის ქალაქი ოსაკა უმასპინძლებს. რუს მძლეოსანთა ნაკრების მწვრთნელი **ვალერი კულიჩენკო** ამბობს, რომ ლისენკო შესანიშნავ ფორმაშია, მაგრამ ოსაკამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და მეტოქეებიც ძლიერები ეყოლებაო.

■ ■ ■

აშშ-ის შტატ ორეგონის ქალაქ ეუჟენში ასპარეზობისას, 800 მეტრზე რბენაში, სეზონის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა მოზამბიკელმა ვეტერანმა **მარია ლურლეს მუტოლამ**. საკმაოდ ცუდი ამინდის მიუხედავად, მუტოლამ, ვისთვისაც ეს მიმდინარე სეზონში პირველი გამოსვლა იყო, დისტანცია წუთსა და 58.79 წამში გაირბინა. ცნობისთვის, მუტოლას, ვინც ახლა 34 წლისაა, ეს ტურნირი ბოლოს 15 წლის წინათ სტუდენტობისას აქვს წაგებული, რის შემდეგაც, ეუჟენის საუნივერსიტეტო "ჰეივორდ ფილდზე" ზედიზედ 14 ტურნირი მოიგო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ტატიანა ლისენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## TV სპორტი

### 29 მაისი. სამშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**14:10** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:15** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**19:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:20** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**19:50** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:50** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:50** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის გოლები.
**22:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:05** ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მილანი-ლივერპული. ათენი. საბერძნეთი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:10** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რეჯინა-მილანი.
**09:00** სპორტკლუბი.
**09:45** ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**10:20** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ჰოლანდია.
**12:15** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხეტაფე.
**14:00** სპორტის სახეები.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
**18:30** სპორტინფორმი.
**18:40** ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. I მატჩი. ანაჰაიმი-ოტავა.
**20:30** სპორტინფორმი.
**20:41** წყალბურთი.
**21:57** ფეხბურთი. შოტლანდიის თასი. ფინალი. სელტიკი-დანფერმლაინი.
**23:48** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**00:15** სპორტინფორმი.
**00:25** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:20** სპორტინფორმი.
**01:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მილანი-ლივერპული. ათენი. საბერძნეთი.
**03:45** ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.

**EUROSPORT**

**10:30** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
**10:45** მულტისპორტი.
**11:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**11:45** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. II დღე.
**12:45** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
**13:00** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
**18:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVI ეტაპი (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
**22:30** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
**22:45** პროფესიული კრივი. რ. როსელია (საფრანგეთი)-გ. აეტოვიჩი (სერბეთი). საფრანგეთი (LIVE).
**00:45** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
**01:45** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**02:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:45** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი. III მატჩი.
**13:30** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. იტალია.
**18:00** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბულგარეთი-არგენტინა. პოლონეთი.
**19:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**21:00** მულტისპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. ბრიტანეთი.
**23:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. ბრიტანეთი.
**00:00** ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ორლეანი-ნიუ იორკი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** პრო-რესტლინგი.
**02:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ფლეი ოფი. ფინალი | |
| დერბი-ვესტ ბრომვიჩი | 1:0 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფრემი-ბრაბრანდი | 4:1 |
| ოლსტიკე-კიოგე | 1:2 |
| აკადემისკი-ფრედერისია | 2:2 |
| აგფ ორჰუსი-თისტედი | 1:0 |
| ორჰუსი-სიონდერილი | 2:3 |
| ჰერფიოლგე-ნაესტვედი | 0:2 |
| ჰიკ-ფრემადი | 2:0 |
| ლუნგბიუ-კიოლდინგი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| ჰალმსტადი-ბრომაპოიკარნა | 1:0 |
| ჰელსინგბორგი-ერებრუ | 4:1 |
| გიოტებორგი-გაის | 1:0 |
| იურგორდენი-აიკ | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ატვიდაბერგი-ბუნკეფლო | 2:1 |
| დეგერფორსი-ენჩოპინგი | 0:0 |
| ნორჩოპინგი-ფალკენბერგი | 3:0 |
| **ფინეთი** | |
| ტამპერე-ლაჰტი | 1:0 |
| **შვეიცარიის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ბაზელი-ლუცერნი | 1:0 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-სტ. პატსი | 2:0 |
| **ისლანდია** | |
| ფილკირი-აკრანესი | 2:2 |
| ბრეიდაბლიკი-ვალური | 0:0 |
| კეფლავიკი-ჰკ | 3:0 |
| რეიკიავიკი-ვიკინგური | 1:2 |
| **ნორვეგია** | |
| ლინი-ტრომსიო | 4:3 |
| ოლესუნდი-ვიკინგი | 0:2 |
| ოდ გრენლანდი-ბრანი | 0:2 |
| ლილესტრიომი-სტაბეკი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრინი-სკეიდი | 3:0 |
| ჰაუგესუნდი-ბოდო გლიმტი | 2:1 |
| ლოვ ჰამი-მანდალი | 4:0 |
| მიოლდე-კონგსვინგერი | 0:2 |
| მოსი-სპარტა | 2:1 |
| რაუფოსი-ჰამ კამი | 1:4 |
| სიოგნდალი-ჰიონეფოსი | 4:1 |
| ტრიომსდალენი-ნოტოდენი | 2:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ბუდეიოვიცე-სლავია | 1:2 |
| იაბლონეცი-სლოვაცკო | 3:1 |
| კლადნო-პლზენი | 1:1 |
| ბოლესლავი-ლიბერეცი | 4:0 |
| პრშიბრამი-ბრნო | 0:1 |
| სპარტა-მოსტი | 5:0 |
| ტეპლიცე-ბანიკი | 1:2 |
| ზლინი-სიგმა | 1:1 |
| **უნგრეთი** | |
| მტკ-უიპეშტი | 2:0 |








# სახიფათო თამაშები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ პიროვნებები საქართველოში კანონებზე მაღლა დგანან.

კანონიერად არჩეული გიორგი ნემსაძე გადადგა იმიტომ, რომ "ვილაცებს" მთავრობაში არ სურდათ მისი პრეზიდენტობა. შესაძლოა, პარალელის გავლება ზვიად გამსახურდიას დამხობასთან. მაშინაც გადამწყვეტი აღმოჩნდა არა **არჩევნების შედეგები,** არამედ საზოგადოების გარკვეული ფენების ნება.

მთლად დემოკრატიულად და გარედან ჩაურევლად არ მომხდარა არც სახელმწიფო უნივერსიტეტების ხელმძღვანელობის ბოლოდროინდელი ცვლილება და არც სხვა მრავალი დაწესებულების გარდაქმნა.

2003 წლის რევოლუციაც, სიმართლე რომ ვთქვათ, არა მთელი საზოგადოების, არამედ მისი გარკვეული, თუნდაც დიდი ნაწილის მიერ იყო წარმართული. ამ ადამიანების "ლოკომოტივად" მოგვევლინა მომავალი პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელმაც, სხვა თანამოაზრეებისგან განსხვავებით, მოახერხა დიდი პოპულარობის მოპოვება და კრიტიკულ ვითარებაში უნარიანად, გაბედულად იმოქმედა.

დღეს ისინი ხელისუფლებაში არიან და, როგორც ჩანს, აქვთ მონოპოლია მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ყველა სფეროში. როდესაც არჩევნების შედეგი მათთვის მოსაწონია, ყველანი ერთად ვზეიმობთ დემოკრატიის მორიგ გამარჯვებას. თუკი ამომრჩევლების გემოვნება რატომღაც განსხვავებული აღმოჩნდა, ესე იგი არჩევნებიც არასწორი ყოფილა. ან, იქნებ, გამარჯვებული კანდიდატი სულაც გასართობად იყრიდა კენჭს, ვთქვათ, "მაზიანზე", პროფესიულ ცხოვრებაში კი სულ სხვა გეგმები აქვს. ასეთ შემთხვევაში ხომ სრულიად ბუნებრივია, რომ ის ერთ-ორ საათში გადადგეს...

მოკლედ რომ ვთქვათ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების დროს მთავრობამ კვლავ შეძლო საკუთარი ნების "გატრევა" და ამომრჩევლების ნების საწინააღმდეგოდ შეუნარჩუნა თანამდებობა თავისთვის სასურველ კანდიდატს, ნოდარ ახალკაცს.

ეს არადემოკრატიულია, რაც, თავისთავად, ცუდია, მაგრამ ფედერაციაში განვითარებული მოვლენები უფრო დიდ პოლიტიკურ საფრთხეს შეიცავს, ვიდრე პირველი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. პირველ რიგში, ეს იქნება სტიმული, რომ მომავალში ხელისუფლებამ ანალოგიური მეთოდები კიდევ უფრო თამამად გამოიყენოს. ეს იქნება სტიმული არა მარტო დღევანდელი, არამედ მომავალი მთავრობებისთვისაც.

ბევრმა შეიძლება თქვას, რომ თუ ხალხის უმრავლესობა აზროვნებს "არასწორად", დიქტატურა გამართლებულია. მაგრამ რომც დავუშვათ, რომ ხელისუფლების ასეთი ჩარევა სასიკეთო შედეგებს მოიტანს მომავალში, არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ ასე მოხდება ყველა მომდევნო მსგავსი შემთხვევის დროს.

ყველაფერთან ერთად, როდესაც მთავრობა მიდის უმრავლესობის ნების წინააღმდეგ, თავისთავად იქმნება დაძაბულობა. თუ უმრავლესობა უკმაყოფილოა და, შინაგანად მაინც დაპირისპირებულია მმართველთან, მართვაც რთულდება და ნაკლებად ეფექტური ხდება. თამამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალკაცს ფედერაციაში ბევრი დამატებითი წინააღმდეგობა შეხვდება მომავალში. ნებისმიერ პრობლემურ სიტუაციაში, ნებისმიერი დაპირისპირებისას მას ყველა ნიშნისმოგებით შეახსენებს, თუ როგორ მოხვდა თანამდებობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ნემსაძე ფორმალურად საკუთარი ნებით გადადგა, მოვლენები საკმაოდ ულამაზოდ განვითარდა. ეს, რა თქმა უნდა, წამგებიანია ახალკაცისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც. როგორც ჩანს, მათ ჰქონდათ საკმაოდ დიდი მოტივაცია, რათა ასეთ წამგებიან სვლებზე წასულიყვნენ. ან ფედერაციის პრეზიდენტის ვინაობას ჰქონდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, ან ხელისუფლებაში მიიჩნიეს, რომ ნემსაძის პრეზიდენტობა ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის დამღუპველი იქნებოდა. ორივე შემთხვევაში ის, რაც მოხდა, არანორმალურია.

არაა ნორმალური, როდესაც მთავრობის წევრები წყვეტენ, თუ ვინ იქნება უკეთესი პრეზიდენტი ფედერაციისთვის. ეს უნდა გადაწყვიტონ უშუალოდ ამ დარგის სპეციალისტებმა (მარტივად რომ ვთქვათ, ამომრჩევლებმა) და არა პოლიტიკურმა ფიგურებმა. როგორც ჩანს, მთავრობა არ თვლიდა არც ნემსაძეს და უფრო კი მის უკან მდგომ ხალხს კომპეტენტურებად. შესაძლოა, მათ პატიოსნებაშიც ეპარებოდა ეჭვი.

შეუძლებელია იმაზე საუბარი, რა მოხდებოდა და რა შედეგს მივიღებდით, ნემსაძე რომ დარჩენილიყო ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე. უბრალოდ, ვარაუდები უნდა გამოვთქვათ.

აქ ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი **კლაუს ტოპმიოლერის** მომავალს შეეხება. ნემსაძემ საკმაოდ გვიან, მაგრამ მაინც დააფიქსირა, რომ გერმანელ მწვრთნელს კონტრაქტს ორი წლით გაუგრძელებდა. მაგრამ არსებითი იყო მისი გარემოცვისა თუ არჩევნების წინ მის გვერდით დამდგარი ხალხის დამოკიდებულება ტოპმიოლერისა და ზოგადად, უცხოელი მწვრთნელის მიმართ. გაიხსენეთ მათ მიერ ნაკრების გერმანული შტაბის მიმართ გამოთქმული ეპითეტები და ნემსაძის გარანტიები შესაძლოა აღარც მოგეჩვენოთ მტკიცედ.

თუმცა, ეს, ჯერ ერთი, ცალკე საუბრის თემაა და მეორეც - როგორც გითხარით, მხოლოდ ვარაუდების სფეროა - რაც არ მომხდარა, იმაზე ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ და სჯობს, უკვე მომხდარს, ანუ პოლიტიკურ ასპექტებს დავუბრუნდეთ.

მაშინ, როდესაც ახალკაცი საქართველოს პრეზიდენტის ახლობელია, ნემსაძე საკრებულოს დეპუტატია "ნაციონალური მოძრაობიდან". ის, რომ ფეხბურთის ფედერაცია პოლიტიკური დაპირისპირების არენად იქცევა, თავისთავად არაა კარგი. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა ხელისუფლების შიდა დაპირისპირება. ერთი მხარე, ნემსაძის უკან მდგომი, თითქოს მეორის დაქვემდებარებაშია. საოცარია, რომ ეს გუნდი უგულებელყოფს ზემდგომთა შეხედულებებს და აღწევს გამარჯვებას.

ყრილობის 19 დელეგატი მხარს უჭერს ნემსაძეს, ხოლო 13 ახალკაცს. როდესაც ნემსაძე აცხადებს გადადგომის შესახებ, ვრწმუნდებით, რომ მთავრობა სიტუაციას აკონტროლებს. ყოველ შემთხვევაში, აკონტროლებს ნემსაძეს. უცნაურია, რომ მთავრობამ ვერ შეძლო წინასწარ "დაემუშავებინა" დელეგატების უმრავლესობა და თავიდან აეცილებინა აშკარად უხერხული სიტუაციის შექმნა.

თუ ყრილობის დელეგატების უმრავლესობა კონტროლს არ ექვემდებარებოდა, ხელისუფლებას არ ჰქონდა სხვა გზა, თუ არა ოპოზიციური ნიშის შევსება "თავისიანით". ნემსაძის ადგილას რომ ყოფილიყო ადამიანი, რომლის უკან არც მთავრობა იდგა და არც მმართველი პარტიის რომელიმე გუნდი, ის არც ერთ საათში გადადგებოდა და არც უხმაუროდ წავიდოდა თანამდებობიდან. კონტროლირებადმა კანდიდატმა კი შეაგროვა ოპოზიციური ხმები და მორჩილად გადგა განზე.

ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მობეზრებულ და ზედმეტად გააქტიურებულ "პარტმუშაკებს" შეგნებულად დააშვებინეს შეცდომა. მათ მიაყვანინეს საქმე ბოლომდე და შემდეგ, მართალია უხერხულ ვითარებაში, მაგრამ მაინც მიუჩინეს თავისი ადგილი. თუ ნემსაძის მხარდამჭერი პოლიტიკური გუნდი თანდათან ეკრანებიდან გაქრობას დაიწყებს, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ვერსია ახლოს იყო სიმართლესთან.

**სანდრო თარხან-მოურავი**

სპორტული გაზეთი
მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა